

# აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი

მარა ხუციშვილი

ეროვნირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო  
წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის  
ამაღლების გზები  
(კახეთის მხარის მაგალითზე)

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა 08.00.13 – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ჯემალ მახარაძე  
ეკონომიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თემურ კანდელაკი  
ეკონომიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თბილისი – 2006

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

- I თავი      ნიადაგის ეროზიული პროცესები და  
მათზე მოქმედი ფაქტორები;
- 1.1. მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების  
ამაღლების თეორიული საფუძვლები;
  - 1.2. ნიადაგის ეროზის ძირითადი სახეები  
და მისი გამომწვევი ფაქტორები;
  - 1.2.1. ნიადაგის ეროზის გამომწვევი  
ბუნებრივ-სამეურნეო ფაქტორები;
- II თავი      კახეთის მხარის რაიონებში ეროზირებულ  
მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების  
ეკონომიკური ეფექტიანობის დონე და  
განვითარების ტენდენციები;
- 2.1. ეროზირებულ მიწებზე  
სასოფლო-სამეურნეო წარმოების  
ეკონომიკური ეფექტიანობის  
მეთოდოლოგიური საფუძვლები;
  - 2.1.1. აგროსატყეო სისტემების  
ფუნქციონირების ეფექტიანობის  
შეფასების მეთოდოლოგიის  
ძირითადი პრინციპები;
  - 2.2. მიწის რესურსების გამოყენების  
ეკონომიკური ეფექტიანობა;
  - 2.3. დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების  
თავისებურებები ეროზირებულ  
მიწებზე;
  - 2.4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების  
ძირითადი საწარმოო ფონდების და  
შრომითი რესურსების გამოყენების  
ეკონომიკური ეფექტიანობა;
  - 2.5. მინდორსაცავი ტყის ზოლების  
გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა;
- III თავი      ეროზირებული მიწების სასოფლო-  
სამეურნეო ათვისების ეკონომიკური  
ეფექტიანობის ამაღლების გზები;
- 3.1. ეროზირებული მიწების სასოფლო-  
სამეურნეო ათვისების პრიორიტეტული  
მიმართულებანი;
  - 3.2. ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-  
სამეურნეო წარმოების ეკონომიკური  
ეფექტიანობა;
- დასკვნები და წინადადებები;  
გამოყენებული ლიტერატურა.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

**პრობლემის აქტუალობა.** თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ეკონომიკის განვითარების ხასიათმა და ზრდის ტემპმა მკვეთრად გაზარდა ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე. ქვეყნის კეთილდღეობის დონე, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია მისი ეკონომიკური სისტემა, განსაკუთრებით კი მისი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების როგორი გარანტიებია შექმნილი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა პირდაპირ კავშირშია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის აუცილებლობასთან, არამედ ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით კი მისი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის – მიწის ეფექტურ გამოყენებასთან. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ წარმოების მუდმივად მზარდი ტენდენციებისა და ბუნებრივი რესურსების განუხრელად დაცვის, მისი კვლავწარმოების პრობლემებში განხილული უნდა იქნეს ურთიერთმოთხოვნათა პრინციპების დაცვის საფუძველზე. ცხადია, აქ საკითხი ეხება ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის ურთიერთკავშირს.

აღნიშნულ ურთიერთკავშირში საჭიროა ცალკე გამოიყოს ლოკალური ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემა, სადაც განხილული იქნება წარმოების ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული უბანი, ახლომდებარე ბუნებრივ გარემოსთან, ან მის შემადგენელ კონკრეტულ რესურსებთან ურთიერთკავშირში. ასევე ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რეგიონული ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემა, რომელშიც განლაგებულია უფრო დიდი რაოდენობით ეკონომიკური ობიექტები და გულისხმობს საწარმოთა ფართო ჯგუფებსა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთკავშირს.

ქვეყნის აგრარული სექტორის წინაშე მდგომი პრობლემები უნდა გადაწყდეს საწარმოო პოტენციალის მაღალეფებური გამოყენებისა და მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის დინამიური განვითარების გზით. ამ პრობლემათა შორის განსაკუთრებული და დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულად დასაბუთებულ ეროვნის საწინააღმდეგო

ლონისძიებების განხორციელებას, რასაც სპეციფიკურ და რეგიონების მიხედვით დიფერენცირებულ მოთხოვნებს უყენებს მრავალფეროვანი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები.

ეროვნის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთაგორიანი საქართველოსათვის. აქ მთის ლანდშაფტებს უკავია ტერიტორიის დაახლოებით 54, მთისწინებს 33, ხოლო დაბლობს და ვაკეს 13%. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 30%-ზე მეტი ეროვნიას განიცდის. მცირე მიწიანი საქართველო, ამ და სხვა საშიში გეოლოგიური პროცესების მიხედვით, წარმოადგენს არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის, არამედ, შეიძლება ითქვას, თვით მსოფლიოს ერთ-ერთ საინტერესო და რთულ რეგიონს.

ნიადაგის ეროვნიასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენებითაა გამოწვეული რიგი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების (მოსახლეობის მიგრაცია და ა.შ.) წარმოშობა.

იმ პროცესთა შორის, რომლებიც იწვევენ ნიადაგის დეგრადირებას (ეროვნია, დამლაშება, დაჭაობება, წყლით შეტბორვა და სხვა) ეროვნია ყველაზე მეტად საშიშია, როგორც თავისი გავრცელების მასშტაბებით, ისე ზემოქმედების შედეგებით. დაჭაობების ან გამოშრობის შედეგად ნიადაგის მდგომარეობა მართალია მნიშვნელოვნად უარესდება, მაგრამ იგი არ ატარებს შეუქცევად ხასიათს; ეროვნირებული ნიადაგი კი ფაქტიურად სამუდამოდაა დაკარგული, ვინაიდან ნიადაგის ახალი ფენის შექმნას სჭირდება მეტად ხანგრძლივი პერიოდი და რამდენიმე თაობის მიზანსწრაფული მეცადინეობა, მნიშვნელოვანი ფულად-მატერიალური ხარჯები.

ამჟამად, როგორც საქართველო, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიმჩნევა ეროვნიული პროცესების გაძლიერების ტენდენცია. ეს მრავალი მიზეზებითაა განპირობებული. კერძოდ:

- სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით დიდქანობიანი

ფერდობების ათვისება, რომლებიც განსაკუთრებით საშიშია წყლისმიერი ეროზიის განვითარების თვალსაზრისით;

- ნიადაგის დამუშავების დროს იმ ელემენტარული წესების უგულებელყოფა, რომელთა დაცვაც აუცილებელია ეროზიული პროცესების ინტენსიურობის შემცირებისათვის;
- ტყის და ბუჩქნარის მოჭარბებული და უსისტემო გაკაფვა;
- სათიბების და საძოვრების გადამეტებული ექსპლუატაცია;
- გარემომცველი ტერიტორიის დაბინძურების შედეგად ნიადაგის მცენარეული საფარის დაკნინება-გამეჩერება და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თავისი რელიეფური და კლიმატური პირობების გამო მიეკუთვნება ეროზიის მხრივ საშიშ რეგიონს, ბოლო წლებში, გარკვეული მიზეზებისა და სათანადო სახსრების უქონლობის გამო სრულიად შეწყდა ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის სამუშაოები. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას არ შეეძლო ზეგავლენა არ მოეხდინა მის მდგომარეობაზე. შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში ყველაზე მეტად დაზარალდა ეროზიულად საშიში ფართობები. ეროზიული პროცესების გაძლიერებამ გაზარდა კატასტროფიული წყალდიდობების წარმოქმნის საფრთხე. მძიმე ეკონომიკური სიტუაციის მიუხედავად, უნდა გამოინახოს სახსრები ქვეყნის უპირველესი სიმდიდრის-ნიადაგის გადასარჩენად. ამასთან აუცილებელია ამ სფეროში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები ყოველთვის როდია დაკავშირებული მნიშვნელოვან ფულად-მატერიალურ დანახარჯებთან. ზოგჯერ საგებით საკმარისია ელემენტარული ნორმების და მოთხოვნების დაცვა, მიწისა და ბუნებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებებიც, კერძოდ – წყლისმიერი ეროზიის და დვარცოფების საწინააღმდეგო, მდინარეების ნაპირსამაგრი ნაგებობების ასაშენებლად, დამცავი ტყის ზოლების გასაშენებლად, ტერასების მოსაწყობად და სხვა.

ქართველ ერს ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. ამაზე მეტყველებს ჩვენი წინაპრების მიერ საქართველოს სამხრეთ რაიონებში აშენებული ტერასები, რომლებიც დღემდე საიმედოდ იცავენ ფართობებს წყლისმიერი ეროზიისაგან.

ამჟამად საქართველოში ეროზიის ზემოქმედებას განიცდის 1113910 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის ეროზირებულია ერთი მილიონი ჰექტარი.

კახეთის რაიონებში სოფლის მურნეობის ცალკეული დარგების პროდუქტიულობის ამაღლების დონისძიებათა კომპლექსში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეროზიული მოვლენების უარყოფითი შედეგების შეწყვეტას და ეროზიის მიერ გამოყოფილი, ჩამორეცხილი და გამოქარული ნიადაგების აღდგენას განეკუთვნება. კახეთის რეგიონში სხვადასხვა ეროზიული მოვლენებისაგან ზიანდება 179300 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის 94043 ჰა სახნავი, 2825 ჰა სათიბი, 72537 ჰა საძოვარი, 10300 ჰა მრავალწლიანი ნარგავი.

როგორც მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითა და პრაქტიკული გამოცდილებით არის დადასტურებული საქართველოს ბუნებრივი პირობები და უმეტესწილად ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედება აპირობებს ნიადაგის ეროზიული პროცესების ძლიერ განვითარებას, რაც თავის მხრივ ეროზიული პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებების და ტენდენციების შესწავლას და მისგან ნიადაგის დაცვის და ნაყოფიერების ამაღლების დონისძიებების დამუშავება-დანერგვას მოითხოვს.

აქედან ცხადია, რომ სადისერტაციო ნაშრომის, რომელიც აგრძარული რეფორმის პირობებში კახეთის რეგიონში ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების დონისძიებების კვლევას ეძღვნება, აქტუალობა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

**საკითხის შესწავლის მდგრადობა.** მიწის რესურსების, ინტენსიფიკაციის, ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების, ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლების თეორიული და პრაქტიკული

საკითხები, სხვადასხვა დროს შესწავლილი აქვთ ქართველ და საზღვარგარეთელ მეცნიერებს.

მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ მეტად მდიდარი და თვალსაჩინო მასალაა შეგროვილი და შესწავლილი, დღემდე ჩატარებულ გამოკვლევებში სათანადო ასახვა ვერ პოვა პრობლემის ბევრმა ასპექტმა. კერძოდ, ეროვნირებული მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები, განსაკუთრებით კახეთის მხარის რაიონებში, ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს აგრარული რეფორმის პირობებში ეროვნირებულ მიწებზე სოფლის მეურნების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის, ეროვნის საწინააღმდეგო ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროსატყეო-მელიორაციული და პიდროტექნიკური დონისძიებების ფართო მასშტაბით განხორციელების აუცილებლობა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება.

ამდენად, ამ კუთხით ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა არის ერთ-ერთი პირველი ცდა, რაც განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის მიზანს და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანს შეადგენდა კახეთის მხარის რაიონებში ეროვნიული პროცესების და მათი საწინააღმდეგო დონისძიებების თავისებურებების, ტენდენციების და კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი პროცესები:

- ეროვნირებული მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა აგრარული რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- ეროვნიული პროცესების გაძლიერების ტენდენციების, თავისებურებების და კანონზომიერებების დადგენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებების ეკონომიკური დასაბუთება;
- ეროვნირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის საწარმო პოტენციალის დადგენა და მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა;

- ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადადგილების ეკონომიკური დასაბუთება და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზული პარამეტრების დადგენა;
- აგრარული რეფორმის პირობებში ახალი ორგანიზაციული ფორმების და მათი სრულყოფის დონისძიებების შემუშავება.

**კვლევის ობიექტი.** კვლევის ობიექტს წარმოადგენდა კახეთის მხარის 8 რაიონი და მათი ის ნაწილი, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განიცდიან ეროზიული პროცესების შედეგად ნიადაგის დეგრადირებას.

**კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა.** კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე თანამედროვე ეკონომიკური შეხედულებანი, თეორიული ნაშრომები, ეროზიის პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების მიერ შემუშავებული მეთოდური მითითებანი, საქართველოს პრეზიდენტის და ხელისუფლების ბრძანებულებები, დადგენილებები და განკარგულებები, მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული კონცეფციები, რეკომენდაციები და წინადადებები.

პრობლემის ცალკეული ასპექტების გამოყვანისას გამოყენებულია ეკონომიკურ მოვლენათა და მაჩვენებელთა ანალიზისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდი – მონოგრაფიული, სტატისტიკური დაჯგუფების, საანგარიშო-კონსტრუქციული, საბალანსო, ეკონომიკურ მათემატიკური მოდელირების, ესქერაპოლაციის, ნორმატიული და სხვა.

ფართოდ იქნა გამოყენებული საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საკვლევი რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებათა მასალები და სხვა წყაროები.

**მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ გამოკვლევას, რომელშიც კომპლექსურადა გაანალიზებული

საბაზო ურთიერთობის პირობებში კახეთის მხარის რაიონებში ეროვნირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. თეორიული განზოგადოებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე პკლევის მეცნიერული სიახლე შემდეგში მდგომარეობს:

- დასაბუთებულია ეროვნირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდიკის სრულყოფის წინადადებები, აგროსატყეო სისტემების ფუნქციონირების უფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით;
- დამუშავებულია ეროვნისაგან ნიადაგის დაცვის, ბუნების ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნების, ეკონომიკურობანიზაციული წინადადებები;
- ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით დადგენილია ეროვნირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები და სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის ინტეგრაციური შეფასება;
- დასაბუთებულია საკვლევ რაიონებში ეროვნირებული მიწების ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების საქმიანობის კომპლექსური ღონისძიებების გაუმჯობესების წინადადებები;
- დადგენილია საკვლევ რაიონებში ეროვნირებული სავარგულების რაციონალური სტრუქტურისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პროგნოზული პარამეტრები, სპეციალიზაციის დონის განსაზღვრით;
- დადგენილია ეროვნის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა, დაფინანსების ალტერნატიული წყაროებით;
- დასაბუთებულია გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოების, საკრედიტო კავშირების

ორგანიზაციულ-ეკონომიკური საფუძვლები და მათი  
ფუნქციონირების აუცილებლობა.

**პუბლიკაცია და პრობაცია.** ნაშრომის ძირითადი დებულებები,  
წინადაღებები და რეკომენდაციები მოცემულია ავტორის მიერ  
გამოქვეყნებულ 5 სამეცნიერო ნაშრომში.

კვლევის შედეგები განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს  
აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილებების გაფართოებულ  
სხდომაზე.

**სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო  
ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 162 გვერდს, შედგება შესავლის,  
სამი თავის, დასკვნებისა და წინადაღებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის  
122 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

# თავი I. ნიადაგის ეროვნული პროცესები და მათზე მოქმედი ფაქტორები

## 1.1. მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლების თეორიული საფუძვლები

მიწა ყოველგვარი წარმოების აუცილებელ მატერიალურ პირობას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მიწა თავდაპირველად არსებობდა როგორც ბუნების დოვლათი ადამიანის ყოველგვარი ზემოქმედებისა და თანამონაწილეობის გარეშე, როგორც ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი, მაგრამ მისი გამოყენების ხასიათი, მასშტაბი, სფერო და ფორმა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ამასთან მიწას, როგორც წარმოების ძირითად საშუალებას სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში განსხვავებული როლი აკისრია.

მრეწველობაში იგი გვევლინება როგორც სივრცობრივი საოპერაციო ბაზისი, სადგომი ადგილი და საქმიანობის სფერო, მიწათმოქმედებაში აქტიურად მოქმედი წარმოების ძირითადი საშუალება. თუმცა მხოლოდ წარსული და ცოცხალი შრომის შეერთების შემდეგ ხდება იგი წარმოების ძირითად საშუალებად სოფლის მეურნეობაში. სწორედ მიწისა და შრომის ადამიანთა სასიცოცხლო მატერიალურ პირობათა შეერთებით იქმნება ნივთიერი სიმდიდრე. სახმარი ღირებულება, რამდენადაც სოფლის მეურნეობაში წარმოების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია მიწასთან, მის ბიოლოგიურ თვისებებთან, იგი შრომის საგანიცაა და შრომის იარაღიც. შრომის საგანი მაშინაა, როცა ადამიანები მოქმედებენ მასზე, ამუშავებენ მას და ქმნიან პირობებს კულტურულ მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის, მაგრამ როცა ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ, მექანიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს ადამიანი თავისი პრაქტიკული მიზნისათვის წარმართავს და აიძულებს მას იმოქმედოს მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე, მაშინ მიწა გვევლინება, როგორც შრომის იარაღი.

მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, სოფლის მეურნეობაში განსხვავდება წარმოების სხვა საშუალებებისაგან და ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, კერძოდ – შეუნაცვლებლობით, განფანტულობით, განსაზღვრულობით, მოუძველებლობით, უცვეთობით გადაუტანლობით.

მიწის განსაკუთრებული თვისებაა ნაყოფიერება, რომელსაც აპირობებს მასში არსებული წყალი, საკვები ნივთიერებანი, ჰაერი, სითბო და ნიადაგში არსებული მრავალრიცხოვანი მიკროორგანიზმების ცხოველმყოფებლობა. რაც უფრო ხანგრძლივად და სწორად გამოიყენება მიწა, მით უფრო მაღლდება მისი ნაყოფიერება.

ვ. ვილიამსის განმარტებით, ნაყოფიერება არის ნიადაგის უნარი დააკმაყოფილოს მცენარეების მაქსიმალური მოთხოვნილება შესათვისებელი წყლითა და საზრდოოთი ერთდროულად, განუწყვეტლივ მცენარეების მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

მიწასთან განუყრელადაა დაკავშირებული წარმოების ისეთი საშუალებანი, როგორიცაა, შენობები, სარწყავი და დამშრობი ნაგებობანი – არხები, გზები, ხიდები, გუბურები და წყალსაცავები, დამცველი ტყის ზოლები, ნარგავები, ნათესები და სხვა, რომელთა გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია. მიწის ნაყოფიერება შეიძლება დაუსრულებლად ამაღლდეს შრომის ფულად-მატერიალური საშუალებების და მეცნიერების მიღწევების გონივრული გამოყენებით.

ამრიგად, ნიადაგის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება. ნიადაგის ამ თვისებების შესწავლას და ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის დარგების სწორი გაადგილების და სპეციალიზაციის, პროდუქციის წარმოების დასაბუთებული პროგნოზული მაჩვენებლების განსაზღვრის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის შედეგების ობიექტურად შეფასებისა და სათანადო ღონისძიებათა შემუშავებისათვის.

ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები ნიადაგის ნაყოფიერებას განიხილავენ როგორც ბუნებრივ-ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიას.

მიჩნეულია, რომ არსებობს ნიადაგის ბუნებრივი, ხელოვნური, ეკონომიკური, აბსოლუტური და შეფარდებითი ნაყოფიერება.

ბუნებრივი ნაყოფიერება ყალიბდება სანგრძლივი ნიადაგწარმოქმნითი პროცესის შედეგად ადამიანის ჩარევის გარეშე, ამასთან ის განისაზღვრება ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებებით და კონკრეტული კლიმატური პირობებით. ბუნებრივად მიწის ყველა ნაკვეთს გააჩნია გარკვეული თვისებები და ნაყოფიერება. ბუნებრივი ნაყოფიერება დამოკიდებულია ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა შემცველობაზე და მცენარის მიერ მათი შეთვისების ხარისხზე, ნიადაგის მექანიკურ და ქიმიურ შედგენილობაზე, აგრეთვე სხვა ფაქტორებზე. საერთოდ, ნიადაგში მცენარისათვის საჭირო ნივთიერებათა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მას სჭირდება, ხოლო ზოგ შემთხვევაში იგი მიუღწეველი და არასაკმარისია; მცენარისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის მიზნით ადამიანი ზემოქმედებას ახდენს მასზე, რითაც ხელს უწყობს მასში არსებული მცენარისათვის ჯერ კიდევ გამოუყენებელი სასარგებლო ნივთიერებების აღვილად შეთვისებას, ქმნის პირობებს – წარმოქმნას ისეთი ნივთიერებანი, სადაც ისინი არასაკმარისია. ყოველივე ეს კი მიიღწევა ნიადაგის დამუშავების და მცენარეთა მოვლის სხვადასხვა ხერხებისა და მეთოდების სრულყოფილად გამოყენებით. სწორედ ამ მიზნით შეაქვთ ნიადაგში სხვადასხვა სახის მინერალური და ორგანული სასუქები, წარმოებს ნიადაგის ეროზიული პროცესების გავრცელების და გაძლიერების პროცესების შეჩერების ღონისძიებების განხორციელება, გასარწყავება, დაშრობა და ტარდება აგრეთვე ისეთი აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რითაც მაღლდება ნიადაგის ბუნებრივი, ხოლო იქმნება ახალი ხელოვნური ნაყოფიერება. ნიადაგის ხელოვნური ნაყოფიერების სისტემატიკური ამაღლება სოფლის მეურნეობის თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის საფუძველია. რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია

გაფართოებული კვლავწარმოების ერთ-ერთი ფორმაა და წარმოადგენს მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების ეფექტიანობის ამაღლების, ნაყოფიერების გადიდების ეკონომიკურ პროცესს, თავისთავად იგულისხმება, რომ ფართობის ერთეულზე დამატებით დაბანდების მიზანია პროდუქციის გამოსავლის გადიდება იგივე ფართობიდან. ამრიგად, ეკონომიკური ნაყოფიერება არის ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერების ერთობლიობა და გულისხმობს მის ეფექტურ გამოყენებას, მიწაზე შრომისა და კაპიტალდაბანდებათა შემდგომი გადიდების გზით.

როგორც ავღნიშნეთ, ნიადაგი იმყოფება ადამიანთა კულტურული ზემოქმედების სფეროში, ამიტომ მისი ნაყოფიერება – პროდუქციის მოცემის უნარი, განსაზღვრულია არა მარტო ერთი რომელიმე პირობით, არამედ ბუნებრივი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და საწარმოო ძალთა განვითარების არსებული დონის მიხედვით. წარმოების პროცესში ადამიანთა ზემოქმედების შედეგად ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია დასავლეთ საქართველოს ეროზირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისება.

ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობით, რომლის განუწყვეტელი ზრდა წარმოადგენს მიწის გამოყენების პროცესში მისი ნაყოფიერების გადიდების მაჩვენებელს. ამის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთი მაგალითიც კი კმარა, კერძოდ თუ საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1913 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა შეადგენდა 6,1 ცენტნერს, 1997 წლისათვის მან 28,0 ცენტნერს გადააჭარბა, ხოლო ცალკეული რაიონებისა და მეურნეობების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მატება კიდევ უფრო მაღალია.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანმიმდევრული განხორციელების პირობებში, სოფლის მეურნეობის რაციონალური გაძლიერებისას ფართობის ერთეულზე დანახარჯების გადიდების კვალდაკვალ უპირატესად იზრდება მის ერთეულზე მიღებული პროდუქციის მოცულობა (შეფარდებითი ნაყოფიერება), რაც მიწის რაციონალურად გამოყენების საწინდარია.

ნიადაგის შეფარდებითი ნაყოფიერება სხვა არ არის რა, თუ არა ბუნებრივი თვისებების უფრო რაციონალურად გამოყენება, რის შედეგად წარმოიქმნება დამატებითი შემოსავალი – დიფერენციული რენტა.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორია, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების დონისძიებები მარტო შედარებით ცუდი სარისხის მიწებზე როდი ტარდება. ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობიდან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საზოგადოების მოთხოვნილების უფრო უკეთ დაკმაყოფილების ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი დონისძიებანი ყველა სახის მიწაზე, ზოგჯერ ნაკლები დანახარჯებით რაც შეიძლება მეტი რაოდენობით პროდუქტების მიღების მიზნით უპირატესად სწორედ კარგ მიწებზე ხორციელდება.

ცნობილია, რომ ეროვნიული პროცესების საწინააღმდეგო დონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია ამ მიწების რაციონალურად გამოყენებისაკენ, მნიშვნელოვნად აამაღლებს მათ ნაყოფიერებას, მაგრამ იგი არ ამცირებს ნიადაგთა შორის საკვები ნივთიერებების შემცველობის მიხედვით განსხვავებას. იგი მხოლოდ აღმოფხვრის იმ დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლის მათ ათვისებას მცენარეთა მიერ.

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაში, ნაყოფიერების მიხედვით ნიადაგთა შორის განსხვავების შემცირებაში, განსაკუთრებით დიდია ქიმიზაციის როლი. უდაოა, რომ თუ ეროვნირებულ ნიადაგებში შევიტანო ორგანული და მინერალური სასუქების აუცილებელ რაოდენობას, ისინი ნაყოფიერების მიხედვით ეროვნირებული ზონის გარეთ არსებულ ნიადაგებს მიუახლოვდებიან; არ უნდა უგულებელვყოთ ის გარემოება, რომ შედარებით დარიბ ნიადაგებზე იმავე მოსავლის მისაღებად მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის სასუქის შეტანაა საჭირო. ეს უკანასკნელი კი, ბუნებრივია, დაკავშირებულია შრომისა და წარმოების საშუალებათა დამატებით დანახარჯებთან და თავის ასახვას პოულობს ერთეული პროდუქციის თვითღირებულებაში.

ამრიგად, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, მიწების ქიმიზაცია, მელიორაცია და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება ვერ ხსნის განსხვავებას ნიადაგების ნაყოფიერებაში და რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, კარგი მიწების განსაზღვრულობის პრობლემას. ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების საერთო ამაღლების პირობებშიც კვლავ არსებობს, საშუალო და ცუდი ნაყოფიერების მიწები, რაც გამომდინარეობს არა მარტო თეორიიდან, არამედ დამტკიცებულია პრაქტიკულადაც. ფაქტები დამაჯერებლად ადასტურებს, რომ ეროზირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის ჩატარებული დიდი სამუშაოების შედეგად ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების მნიშვნელოვნად ამაღლების მიუხედავად ეს ნიადაგები კვლავ რჩება ნაკლებ ნაყოფიერად დასავლეთ საქართველოს სხვა ზონის ნიადაგებთან შედარებით.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებო მაღალი მოსავლის მისაღებად ესოდენ აუცილებელი, ქვეყნის რაიონებს შორის არსებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების დიდი განსხვავება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულად დასაბუთებულ განლაგებას ბუნებრივ-ეკონომიკური ზონებისა და რაიონების მიხედვით, მათ უფრო ღრმა და მყარ სპეციალიზაციას, მოცემულ ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში უპირატესად იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, რომლისთვისაც აქ საუკეთესო პირობებია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ნაკლები დანახარჯებით რაც შეიძლება მეტი პროდუქტების წარმოებისათვის; მაგრამ მართებული არ იქნება აქედან დასკვნის გაკეთება, თითქოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი განლაგება და სპეციალიზაცია აღმოფხვრის განსხვავებული ბუნებრივი ნაყოფიერების მიწის ნაკვეთებზე დახარჯული შრომის ნაყოფიერების დონეში განსხვავებას. ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური განლაგებისა და სპეციალიზაციის პირობებშიც ტოლი დანახარჯებით კვლავ უთანაბრო შედეგები მიიღება, ე.ი. რჩება განსხვავება ნიადაგების ნაყოფიერებაში.

## 1.2. ნიადაგის ეროზიის ძირითადი სახეები და მისი გამომწვევი ფაქტორები

ეროზიული პროცესების ზემოქმედებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი მიმდინარეობდა ჯერ კიდევ მსოფლიო ცივილიზაციის გაჩენამდე. წვიმის წვეთები და ფერდობებზე წყლის ნაკადის ჩამოდინება იწვევდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაშლასა და ჩამორეცხვას – ხოლო ქარის დაბერვა, ნიადაგის ნაწილაკების წატაცებას. აღნიშნულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეუცვალეს დედამიწის ზედაპირს სახე, განაპირობეს ხევებისა და ხრამების წარმოქმნა, მდინარეთა გამოტანის კონუსების შექმნა, ნიადაგის ფენის დეგრადირება ერთგან და შექმნა მეორეგან. მოსახლეობის ზრდასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენას თან მოჰყვა ეროზიული პროცესების გაძლიერება. ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენით ეროზიულმა პროცესებმა განსაკუთრებით ფართო გავრცელება პპოვა ბოლო ათწლეულებში. სულ უფრო მეტ ფართობებზე ეროზიული პროცესები აღწევენ საშიშ დაუშვებელ მასშტაბებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში პერიოდებისა და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენების შედეგად, ეროზიის პრობლემებს დაემატა გარემოს ქიმიური დაბინძურების პრობლემაც. ეროზიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან გამოტანილი სხვადასხვა ქიმიური შენაერთების შემცველი ნიადაგის ნაწილაკები აჭუჭყიანებენ წყლის რესურსებს და მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემებს ქმნიან.

ბოლო მონაცემებით, ეროზიის შედეგად, მსოფლიოს მასშტაბით, წლის განმავლობაში საშუალოდ იკარგება  $0,059$  მმ სისქის ნიადაგის ფენა. ცალკული რეგიონებისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს: აზიაში –  $0,093$  მმ-ს, ევროპაში –  $0,036$  მმ-ს, ჩრდილოეთ ამერიკაში –  $0,049$  მმ-ს, ხოლო საქართველოში –  $0,50$  მმ.

მსოფლიოში ყოველწლიურად სახნავი მიწებიდან იკარგება 26 მილიარდი ტონა ნიადაგი, რაც 9 მლნ ჰა სარწყავი მიწის ნიადაგის

საფარის ექვივალენტურია. ცნობილია ისიც, რომ მსოფლიო ცივილიზაციის არსებობის განმავლობაში კაცობრიობამ წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად დაკარგა 2 მილიარდამდე ჰა ნაყოფიერი მიწა, რაც მეტია ვიდრე ამჟამად მსოფლიოში არსებული სახნავისა და საძოვრების საერთო ფართობი. ეროზიული პროცესების გამო, მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს გაუდაბნოების პროცესი. ყოველწლიურად მსოფლიოში ამ პროცესს განიცდის 5-7 მილიონი ჰა ფართობი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით ეროზიისა და მისი თანმდევი პროცესების შედეგად, კაცობრიობამ ჩვენი ათასწლეულის ბოლომდე შეიძლება დაკარგოს იმ სასოფლო-სამეურნეო საგარეულების მესამედი, რაც იყო მსოფლიოში ჩვენი საუკუნის სამოცდაათიან წლებში.

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც დროულად გააცნობიერეს ეროზიული პროცესებით შექმნილი საფრთხე, მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ბრძოლა ამ მოვლენის წინააღმდეგ, რაც უკვე იძლევა გარკვეულ დადებით შედეგებს. მაგალითად, აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით აქ 1986-დან 1987 წლამდე ნიადაგის ეროზიით გამოტანილი ნიადაგის წონა შემცირდა 460 მილიონი ტონით, წელიწადში ეს არის ეროზიული პროცესების ინტენსივობის შემცირების ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც კი ოდესმე აღნიშნულია მსოფლიოს პრაქტიკაში. ამ მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-სათვის, რადგან ამ ქვეყნაში ეროზიას განიცდიდა სახნავი მიწების თითქმის 40%. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროზიული პროცესების ინტენსივობის შემცირების მიზნით აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით მიღებული პროგრამის შესაბამისად 16 მლნ ჰა სახნავი მიწა გადაყვანილია საძოვრებად და ტყეებად. ეროზიის პრობლემის მიმართ ასეთი დიდი უურადღების გამოჩენა, აშშ-ში დაიწყეს 1935 წლის გაზაფხულზე თავს დამტკიცირი დიდი უბედურების (ქარისმიერი ეროზიით გამოწვეული მტკიცირების) შემდეგ. ამ დროიდან მოყოლებული, აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის ნაყოფიერების შენარჩუნების სამსახურმა დაიწყო ეროზიული პროცესების

შედეგად ნიადაგის კარგვის სიდიდის სისტემატური შეფასება. აღნიშნული სამსახურის მონაცემებით, მარტო 1977 წელს აშშ-მა დაკარგა 3 მილიარდ ტონამდე ნიადაგი, მხოლოდ სახნავი ფართობებიდან. ამ დანაკარგების ორი მესამედი მოდიოდა წყლისმიერ, მესამედი ქარისმიერ ეროზიაზე. დაადგინეს რა ქვეყნის ტერიტორიაზე ეროზიული პროცესების გავრცელების მასშტაბები და აღიქვეს ამ პროცესებით შექმნილი საფრთხე, აშშ-ში დაიწყეს სისტემატური მუშაობა ეროზიული პროცესების შესამცირებლად, რამაც თავისი დადებითი შედეგები გამოიდო.

საქართველო მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ეროზიულ პროცესებს მეტად ფართო გავრცელება და საშიში ხასიათი აქვთ. საქართველოს მთაგორიან რაიონებში იშვიათად ნახავთ ისეთ ფერდობს, რომელიც არ იყოს ეროზირებული და ხევებით დასერილი. შეიმჩნევა ინტენსიური მეწყერული და ლვარცოფული მოვლენები.

ეროზიული პროცესების ინტენსივობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა მთაგორიანი ადგილების, დიდქანობიანი ფერდობების ინტენსიური ათვისება, ამ მიზნისათვის შეუფერებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებით. იმის ნაცვლად, რომ ეს ფერდობები გამოყენებული ყოფილიყო კულტურულ საძოვრებად (რაც გაცილებით ნაკლებ საშიში იქნებოდა ეროზიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით) მათზე დაიწყეს უფრო მომგებიანი სათოხნი კულტურებისათვის, ან საერთოდ სახნავად შეუფერებელი ფართობების ათვისებას ქვეყნის მასშტაბით ხშირად ჰქონდა დირექტიული ხასიათი, როდესაც ზემოდან მითითებების მოთხოვნების შესასრულებლად დაუსაბუთებლად და სასწრაფოდ ზრდიდნენ ხან ვენახით, ხანაც ხეხილით და მარცვლეულით დაკავებულ ფართობებს იყენებდნენ რა ამ მიზნით მოცემული კულტურებისათვის აშკარა შეუფერებელ ფართობებს. ასეთმა მიღგომამ დიდი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს უპირველეს სიმდიდრეს – მიწას. ბუნება ბრძენია და ვერ იომენს უგუნურ ჩარევას. იქ, სადაც ასეთ ქმედებას ჰქონდა ადგილი განსაკუთრებით გამძაფრდა ეროზია, რიგ ადგილებში განვითარდა გაუდაბნოების, დამლაშების, დაჭაობების,

ნიადაგის სტრუქტურის დარღვევის, ნიადაგში პუმუსის შემცველობის შემცირების და მათი თანმდევი პროცესები.

ეროზიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა შექმნილი ზემო იმერეთის, აჭარის, სვანეთის და საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში. ამასთან ეროზიული პროცესები მარტო მაღალმთიანი რეგიონების სენი როდია. ამ მოვლენებს ადგილი აქვს თვით კოლხეთის დაბლობზეც.

საქართველოში ხრამებით და ხევებით დასერილი და დეგრადირებულია ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა. ყოველწლიურად (წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად) იკარგება მილიონობით ტონა ნაყოფიერი ნიადაგი, ფართობებიდან გამოიტანება ათასობით ტონა არაორგანული და ორგანული სასუქის ექვივალენტური საკვები ნივთიერებები.

ეროვნული მეურნეობისათვის ეროზიის შედეგად მიყენებული ყოველწლიური პირდაპირი ზარალი ასეული მილიონობით ლარის ტოლია.

თუ საქართველოს ტერიტორიას განვიხილავთ ეროზიის სხვადასხვა სახეთა გავრცელების თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ზონები:

1. ძირითადი თავსხმა წვიმებით გამოწვეული ეროზიის ზონა;
2. თოვლის დნობით გამოწვეული ეროზიის ზონა;
3. თოვლის დნობითა და თავსხმა წვიმებით გამოწვეული ეროზიის ზონა;
4. ქარისმიერი ეროზიის გავრცელების ზონა;
5. ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის ერთობლივი ზემოქმედების ზონა.

აღნიშნული ზონები ერთმანეთს ცვლიან სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. საქართველოს სამხრეთ ნაწილში ძირითადად ჭარბობს თავსხმა წვიმებით გამოწვეული ეროზია, ხოლო ჩრდილოეთში კი პირიქით, უფრო გავრცელებულია თოვლის დნობით გამოწვეული ეროზია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიის მცენარეული საფარი, რომელმაც უნდა დაიცვას ნიადაგი წვიმის წვეთების უშუალო

მოქმედებისაგან, ამჟამად ძლიერაა დეგრადირებული. ვაკეებისა და ფერდობების მნიშვნელოვანი ნაწილი გადახნულია, ტყეების დიდი ნაწილი გაჩეხილია, ბუნებრივი ჭალები და ვაკეები შეცვლილია მელიორაციული ღონისძიებების გატარების შედეგად. არადა, სწორედ ასეთი მცენარეული საფარის გარეშე დარჩენილ, უტყეო რაიონებში, განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ეროზიის და მასთან დაკავშირებული ხევების წარმოქმნის პროცესები.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, საქართველოში ნიადაგის ეროზიის პროცესებმა მეტად საშიშ ზღვარს მიადგინეს და გამოიწვიეს მნიშვნელოვანი ფართობების დეგრადირება. შესაბამისად საჭიროა დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამუშაოები ეროზიული პროცესების გავრცელების არეალისა და ინტენსივობის შესამცირებლად.

განასხვავებენ ერომანეთისაგან ნიადაგწარმოქმნილი ქანებისა და უშუალოდ ნიადაგის ფენის ეროზიას, როდესაც ადგილი აქვს ნიადაგის ფენის დაშლასა და შემადგენელი ნაწილაკების გადაადგილებას ზედაპირული წყლებისა და ქარის ზემოქმედებით.

განასხვავებენ აგრეთვე კომუნიკაციურ ეროზიას, როდესაც ადგილი აქვს ნიადაგებისა და გრუნტის ჩამორეცხვას გზებისა და მილსადენების ტრასებზე, ამ ნაგებობების მშენებლობის დროს შექმნილი ფერდობებიდან. ეროზიის ეს სახე საკმაოდაა გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე. ადგილი აქვს ეროზიულ პროცესებს სამშენებლო მოედნებზე, ტყეთა გაკაფვის ადგილებში, სამთო მრეწველობის კარიერებზე. მართალია ამ სახის ეროზიის ზეგავლენა მიწის რესურსების რაოდენობრივი შემცირების თვალსაზრისით შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ ეროზიის ასეთი ლოკალური კერები მნიშვნელოვნად აუარესებენ გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გეოლოგიური ეროზიის სარტყლის გარეთ, ფართოდაა გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებით ინტენსიფიცირებული ე.წ. სამიწაომოქმედი ეროზია და საძოვრების ეროზია. ჩამორეცხილი ნიადაგის მოცულობის მიხედვით, ეროზიის ეს სახეები მნიშვნელოვნად ჭარბობენ იმ ეგზოგენურ

პროცესებს, რომელთაც ადგილი აქვთ ვაკე ადგილებში, ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო საგარეულებზე მიმდინარე ეროზიულ პროცესებს და მათი ინტენსივობის შემცირების ღონისძიებებს განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს.

ადსანიშნავია, რომ საძოვრებზე, ზედაპირული ეროზის პროცესები, საშუალოდ გაცილებით უფრო ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს, ვიდრე სახნავ ფართობებზე, საძოვრებზე მიმდინარე ეროზიული პროცესების ინტენსივობა დამოკიდებულია კლიმატურსა და რელიეფურ ფაქტორებზე, საძოვრების დატვირთვაზე, ანუ პირუტყვის გამოძოვების ინტენსივობაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარე ეროზიულ პროცესებს აქვთ კომპლექსური, ბუნებრივ-ანთროპოგენური ხასიათი. ამასთან, ანთროპოგენური, სამეურნეო ხასიათის ფაქტორთა მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად იცვლება ნიადაგის მცენარეული საფარი, ნიადაგის ზედაპირის მდგომარეობა და აქედან გამომდინარე, ზედაპირული ჩამონადენის ფორმირების პროცესის მექანიზმი და პარამეტრები.

ფართობებიდან ნიადაგის ჩამორეცხვის ინტენსივობის საშუალო წლიური მაჩვენებელი საკმაოდ ცვალებადია (10; 50; 80 და ზოგჯერ მეტი ტონა/ჰა). ეროზის მინიმალური მაჩვენებლებით ხასიათდება დაბლობი ადგილები. ქანობის მატებასთან ერთად იზრდება ეროზის ინტენსივობა და იგი მაქსიმუმს აღწევს მთისწინა და მთის ფერდობებზე.

თანამედროვე გაგებით ეროზია წარმოადგენს კომპლექსურ მოვლენას, რომელიც შედგება შემდეგი პროცესებისაგან: ნიადაგის ჩამორეცხვა, ფართობის ზედაპირზე ფორმირებული წყლის ნაკადების მიერ ჩამორეცხილი ნაწილაკების ტრანსპორტირება და დალექვა.

ეროზიული პროცესების შეფასებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მიწის გამოყენების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები.

ეროზიული პროცესების კონტროლირება, მათი გავრცელების არეალისა და ინტენსივობის შემცირება ტოლერანტულ საზღვრებამდე

შეიძლება მოხერხდეს ორგანიზაციულ, სამეურნეო, აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებით. ამ ღონისძიებებმა უნდა მოგვცეს იმის საშუალება, რომ ფართობებზე დარეგულირდეს ზედაპირული ჩამონადენის ინტენსიურობა, ნიადაგში გაიზარდოს ტენის მარაგი, ალდგეს მცენარეული საფარი, გაიზარდოს ეროზიორებული ნიადაგების პროდუქტიულობა, შეწყდეს ან შესუსტდეს ქარისმიერი ეროზია.

იმისდა მიხედვით თუ რომელი ფაქტორები განაპირობებენ ძირითადად ეროზიის პროცესს, განარჩევენ ეროზიის შემდეგ სახეებს:

**წყლისმიერი ეროზია** მდგომარეობს ფართობის ზედაპირზე ჩამომდინარე წყლის ნაკადის მიერ ნიადაგის ზედაპირული ფენის ნაწილაკების ჩამორეცხვაში. იმისდა მიხედვით თუ რა ფაქტორები განაპირობებენ აღნიშნული წყლის ნაკადის ფორმირებას, განასხვავებენ წვიმებითა და თოვლის დნობით გამოწვეულ წყლისმიერ ეროზიის პროცესებს.

წყლისმიერი ეროზიის ქვესახეს წარმოადგენს ე.წ. ირიგაციული ეროზია, რომელიც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვისას ნიადაგის ზედაპირის ჩამორეცხვით.

წყლისმიერი ეროზიის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ე.წ. ხაზოვანი ეროზია. ფართობზე ფორმირებული ცალკეული წყლის ნაკადების ზემოქმედებით ტერიტორიის დახრამვა და დანაწევრება ცალკეულ ხაზისებრ ფორმებად. ამ დროს ფერდობებზე წარმოიქმნება სხვადასხვა სიდიდისა და სიღრმის ხრამები და ხევები, დვარცოფული ნაკადების კალაპოტები, ხეობები.

ნიადაგების ზედაპირული ჩამორეცხვისა და დახრამვის პროცესები განსაკუთრებით დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს და საშიშ მასშტაბებს იღებს საქართველოს ნოტიო სუბტროპიკების ბორცვებიან მთისწინა ნაწილში. დადგენილია, რომ 10-20 გრადუსიანი ქანობის ფერდობების ყოველი ჰექტარიდან წყლიწადში ხშირად ჩამოირეცხება 200-300 ტონა ნიადაგი.

ადმოსავლეთ საქართველოს მშრალი კლიმატის პირობებში, მცენარეულობით დაუფარავ ფერდობებზე წყლისმიერი ეროზის პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე სხვა რეგიონებში, რასაც განაპირობებს გავრცელებული ნიადაგების სუსტი მდგომარეობა ეროზისადმი. ამ რეგიონში, ჩვეულებრივი ინტენსივობის წვიმების დროს 6-12 გრადუსიანი ფერდობების 1 ჰექტარიდან წელიწადში საშუალოდ ჩამოირეცხება 30-40 ტონა, თავსხმა წვიმებისას კი 150-200 ტონამდე ნიადაგი.

ბოლო წლებში მთისა და მთისწინა რეგიონებში შეიმჩნევა წყლისმიერი ეროზის პროცესების გაძლიერება, რაც ძირითადად გამოწვეულია მძიმე წონიანი სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოყენებით და ნიადაგის დამუშავების ხარისხზე კონტროლის შესუსტებით.

ბოლო ათწლეულებში მიწების მელიორაციასთან დაკავშირებით წარმოიქმნა მრავალი ისეთი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ეროზიული პროცესების ინტენსიფიკაციას; მაგალითად ფართობების მორწყვისას ნიადაგის გაძლიერებული ჩამორეცხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მორწყვით წარმოშობილი ე.წ. ირიგაციული ეროზია უფრო საშიშია, ვიდრე ნიადაგის დამლაშება ან ჭარბტენიანობა. დამლაშების ან ჭარბტენიანობის დროს ნიადაგის მდგომარეობა, მისი ნაყოფიერება მნიშვნელოვნად უარესდება, მაგრამ გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, საკმაოდ მოკლე დროში შესაძლებელია ნიადაგის ნორმალური მდგომარეობის აღდგენა, მაშინ როცა ეროზის შედეგად დეგრადირებული ნიადაგი ფაქტიურად სამუდამოდაა დაკარგული მიწათმოქმედებისათვის. უკვე უახლოეს მომავალში, ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში გასარწყავებული უნდა იქნეს საკმაოდ დიდქანობიანი და ეროზიული თვალსაზრისით პოტენციურად საშიში ფართობები. ამიტომ სარწყავი სისტემების პროექტირებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მორწყვის წესებისა და რწყვის ტექნიკის შერჩევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი

განვითარების, ასევე წყლის რესურსების ეფექტიანად გამოყენების და გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის თვალსაზრისით.

საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სარწყავ ფართობებზე ეროზიული პროცესების ინტენსიფიკაცია მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს არასწორ მორწყვას დროებითი სარწყავი ქსელის პარამეტრებისა და ამ ქსელში გამდინარე წყლის ხარჯების არასწორად დადგენას, რწყვის პროცესში საპროექტო მაჩვენებლების დარღვევას.

საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (როგორც ფერდობები, ისე ვაკე ადგილები) განიცდის ქარისმიერი ეროზიის ზემოქმედებას. ხშირად ე.წ. მტგრიანი ქარიშხლები შეიმჩნევა ათასობით ჰექტარზე. ქარისმიერი ეროზიის პროცესებს ადგილი აქვს როგორც აღმოსავლეთ (სამგორის და ალაზნის ველი, შირაქის, ტარიბანა და ელდარის ფართობები), ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ბოლო წლებში გვალვების დროს, ქარისმიერი ეროზიის მოვლენები შეიმჩნევა კოლხეთის დაბლობზეც.

საქართველოსათვის, ეროზიის ამ სახესთან დაკავშირებული ყოველწლიური ზარალი ათეულობით მილიონ ლარად შეიძლება შეფასდეს. მარტო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ქარისმიერი ეროზიით გამოწვეული საკვლევი ელემენტების დანაკარგი დაახლოებით ერთი მილიონი დოლარის ღირებულების სასუქების ექვივალენტზე. ქარისმიერი ეროზიის პროცესის ინტენსივობის შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდის, არამედ ნიადაგის ბიოსფეროს მთავარი კომპონენტის შენარჩუნებისათვის.

დადგენილია, რომ ქარისმიერი ეროზიის პროცესის ინტენსიურობის განმსაზღვრელია: რეგიონის კლიმატი (სიმშრალე), ქარის სიჩქარე. ქარდამცავი ზოლების არსებობა და სხვა ქარისმიერი ეროზია განსაკუთრებით ძლიერდება ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე, როცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ნაკლებადაა დაცული მცენარეულობით და ნიადაგი გაშიშვლებულია. ქარისმიერი ეროზიის

გაძლიერებას იწვევს აგრეთვე ნიადაგის დამუშავება ბეჭტის გადაბრუნებით, რის შედეგადაც ნიადაგის, მცენარეულობის ფესვებით გამაგრებული ზედა ფენა ქვემოთ ექცევა, ხოლო გაუმაგრებელი ფენა კი ზემოთ ამოდის.

აღნიშნულ ფაქტორთა გამო ქარისმიერი ეროზია ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში და უპირატესად კახეთის რეგიონში. საქართველოს ამ რეგიონში ქარისმიერი ეროზიით დაზიანებულია 105,5 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. განსაკუთრებით ინტენსიურია ქარისმიერი ეროზიის პროცესი გარე კახეთსა და ქართლის რაიონებში; ქარისმიერი ეროზიის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს დეკემბრიდან აპრილამდე, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მძინვარებს ქარები, რომელთა სიჩქარე ხშირად აღწევს 18-28 მეტრს წამში.

## **1.2.1. ნიადაგის ეროზიის გამომწვევი ბუნებრივ-სამეურნეო ფაქტორები**

ნიადაგის ეროზია ბუნებრივი ფაქტორებისა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის რთული ურთიერთმოქმედების შედეგია. ეროზია და ნიადაგშექმნილი პროცესები ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებით მიმდინარეობენ. ეროზია ამცირებს ნიადაგის ფენის სისქეს, მის ნაყოფიერებას, ნიადაგწარმომქმნელი პროცესი კი პირიქით, ნიადაგის ფენას ქმნის. სამწუხაროდ ამ პროცესების ინტენსიურობა მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ეს განსხვავება ადამიანისათვის არახელსაყრელია. თუ ბუნება 100-150 წელიწადს უნდება 1 სმ სისქის ნიადაგის ფენის შექმნას, ერთი თავსხმა წვიმა ახერხებს ამ 1 სმ-იანი ფენის გადარეცხვას. ეროზიის შედეგად ჩამორეცხილი ნიადაგი დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებებს კარგავს, რადგან საკვები ნივთიერებების მაქსიმალურ კონცენტრაციას ადგილი აქვს სწორედ ნიადაგის ზედა ფენაში, რომელიც ირეცხება ეროზიის შედეგად.

ეროზიის პროცესების განმაპირობებელი ბუნებრივი ფაქტორებია რელიეფი, ნიადაგის მდგრადობა ეროზიისადმი, მცენარეული საფარის ნიადაგდამცავი როლი, კლიმატური და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები – უპირველეს ყოვლისა, ნალექების რაოდენობა და ინტენსივობა, ნიადაგის გაყინვის სახე, ზედაპირული ჩამონადენის პარამეტრები.

საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხანია მიმდინარეობს ეროზიულ-აკუმულაციური პროცესები. მათი ზემოქმედების შედეგად ქვეყნის ტერიტორია დანაწევრებულია მდინარის ხეობების, ხრამების და ხევების ფართო ჰიდროგრაფიული ქსელით. ფორმირებულ იქნა სხვადასხვა სიგრძის, ქანობის და ექსპოზიციის ფერდობები.

გრძივი პროფილის მიხედვით განასხვავებენ ფერდობების სამ ძირითად ფორმას: ამოზნექილს, პირდაპირს და ჩაზნექილს. ბუნებაში გვხვდება აგრეთვე ამოზნექილ-ჩაზნექილი, ამოღუნულ-ამოზნექილი და საფეხურებიანი ფერდობები.

ცნობილია, რომ რელიგიური უდიდეს როლს ასრულებს ეროზიული პროცესების მიმდინარეობაში; სწორედ რელიგიის სახეზეა დამოკიდებული ატმოსფერული ნალექების შედეგად ფართობის ზედაპირზე ფორმირებული წყლის ნაკადის ენერგია. ეროზირებულ ფართობზე მოსული ნალექების ნიადაგში ჩაუჟონავი ნაწილის პოტენციური ენერგია სწორედ რელიგური ფაქტორების ზეგავლენით გარდაიქმნება კინეტიკურ ენერგიად და ხმარდება ნაკადის მიერ ნიადაგის ზედაპირული ნაწილაკების ჩამორეცხვას. რაც უფრო მეტია ფერდობის ქანობი და მისი სიგრძე, მით უფრო მეტ კინეტიკურ ენერგიას იძენს ზედაპირული ნაკადი, მით უფრო მეტია მისი დინების სიჩქარე და შესაბამისად მისი ეროზიული მოქმედებაც.

საქართველოს მთელი ტერიტორიის 53,6% უკავია მთებს, 33,4% - მთისწინებს, ხოლო 13,0% - ვაკეებსა და დაბლობებს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში გვხვდება აღგილები, სადაც მიწათმოქმედებას აწარმოებენ ზღვის დონიდან 2000 მ და მეტ სიმაღლეზე.

საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია ე.წ. დიდ კავკასიონში, რომლის სამხრეთი ფერდი მთავრდება მცირენაკეციანი ბორცვებით, დასავლეთი ფერდი - ეროზიულ-მეწყერული ფერდობებით, აღმოსავლეთი კი არიდულ-დენუდაციური რელიეფის ფორმებით.

ბუნებრივი კომპლექსების ნაირგვარობით და მოსახლეობის განლაგების თავისებურებებით საქართველო მეტად საინტერესო ქვეყანაა. აქ არსებობს თითქმის ყველა ტიპის ბუნებრივი ლანდშაფტი. რელიეფი წარმოდგენილია დრმა ხეობებით დასერილი მთიანეთითა და პლატოებით, მთისძირებთან გაშლილი ბრტყელი ვაკეებით და ტაფობებით, რომლებსაც სხვადასხვა ჰიფსომეტრული განვითარება და ფორმები გააჩნიათ. კლიმატური პირობები მრავალფეროვანი ნაირსახეობით ხასიათდება. სუბტროპიკებიდან – მარადიულ მყინვარებამდე.

მდინარეთა წყლიანობის რეჟიმსაც კლიმატური პირობები განაპირობებს, ისინი სეზონური წყალუხვობითა და ჩქარი დინებით გამოირჩევიან; დასავლეთ საქართველოში ჰიდროგრაფიული ქსელი ხშირია, მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენი 47,9 მილიარდ მ<sup>3</sup>-ს

შეადგენს, აღმოსავლეთ საქართველოში ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა და 10,4 მილიარდ გვტ-ს შეადგენს.

ნიადაგის საფარიც რთული და განსხვავებულია: აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია შავმიწა, წაბლა, ყავისფერი, დამლაშებული და ბაცისი, მთა-ტყისა და მთა-მცველის ნიადაგები, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის – წითელმიწა, ყვითელმიწა, ნეშომპალაკარბონატული, მწირი და ჭაობიანი, მთა-ტყის და მთა-მდელოს ნიადაგები.

როგორც ირკვევა საქართველოს რელიეფი ხასიათდება საკმაო სირთულით, დანაწევრებულობით და მრავალფეროვნებით, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად წარმოადგენს ეროზიული პროცესების ინტენსიური განვითარების მიზეზს და ამავე დროს განაპირობებს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების მრავალფეროვნებასაც. ასეთი რელიეფის გამო ეროზიული პროცესები გავრცელებულია საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე, მის თითქმის ყველა რეგიონსა და ადმინისტრაციულ რაიონში.

ნიადაგი ბიოსფეროს უმნიშვნელოვანები კომპონენტია. იგი შეიქმნა ბიოსფეროს ევოლუციის პროცესში, დედაქანებზე კლიმატური ფაქტორების, ფიტოცენოზის, ბიოცენოზის და მიკროორგანიზმების კომპლექსური ზემოქმედების შედეგად.

საქართველო, მიუხედავად მისი ტერიტორიის სიმცირისა, ნიადაგობრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც განპირობებულია რთული რელიეფით, მიწის ზედაპირის დანაწევრებით, კლიმატური და გეოლოგიური პირობების მკვეთრი ცვალებადობით, ტექნოგენური რღვევებით.

საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ნიადაგის თითქმის ყველა სახეობა – ჭაობის ნიადაგებით დაწყებული, მთის ქანების გაშიშვლებული ნიადაგით დამთავრებული. გამოიყოფა სამი ნიადაგური ოლქი დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის, თითოეულ ამ ოლქში ნიადაგწარმომქმნელი პირობებისა და პროცესების მიხედვით გამოყოფილია ზონები და ქვეზონები, ხოლო ამ უკანასკნელთა

ფარგლებში – რაიონები და ქვერაიონები. სულ საქართველოში 48 ნიადაგური რაიონი და 169 ქვერაიონია.

ეროვნისადმი წინააღმდეგობის უნარი დიდათაა დამოკიდებული ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური, წყლოვან-ფიზიკურ მახასიათებლებზე, ნიადაგის მექანიკურ შემადგენლობაზე, ნიადაგის ნაწილაკებს შორის შეჭიდულობის ძალის სიდიდეზე, ნიადაგის ნაწილაკების შეჭიდულობის დონეზე და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიადაგის ნაწილაკებს შორის მოქმედი შეჭიდულობის ძალა და საერთოდ ნიადაგის მდგრადობა ეროვნისადმი ბევრადაა დამოკიდებული ნიადაგში პუმუსის შემცველობაზე, შთანთქმული კომპლექსის შემადგენლობაზე.

როგორც ცნობილია, ორგანული ნივთიერებები, ასევე წერილი კოლოიდური ფრაქციები ხელს უწყობენ წყალმედეგი აგრეგატებისა და ნიადაგის ნაწილაკებს შორის კავშირების შექმნას, ნიადაგის წყალგამტარობის გაზრდას და საბოლოო ჯამში ეროვნის ინტენსივობის შემცირებას. როდესაც ნიადაგის ფენა წყალმედეგი სტრუქტურით ხასიათდება, იგი უფრო მეტად ეწინააღმდეგება წვიმის წყლის წვეთების ნიადაგის დამშლელ ზემოქმედებას, ვიდრე უსტრუქტურო ნიადაგი.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთა გამო, შავმიწა ნიადაგი უფრო მდგრადია ეროვნისადმი, ვიდრე რუხი ტყის ნიადაგი. მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგები. უფრო მდგრადია ეროვნისადმი ვიდრე მსუბუქი ნიადაგები. საერთოდ ყველაზე უფრო საშიში ეროვნიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით არის ქვიშოვანი ნიადაგი. ასეთი ნიადაგები განსაკუთრებით ინტენსიურად ირეცხებიან თოვლის დნობის დროს, როდესაც ფერდობებზე ფორმირდება მძლავრი, მაღალი გამრეცხნარიანობის მქონე ზედაპირული ჩამონადენი.

საქართველოს ტერიტორია მდებარეობს სუბტროპიკულ-კლიმატური სარტყლის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. მისთვის დამახასიათებელია კლიმატური პირობების მრავალფეროვნება. მთავარი კავკასიონის ქედის მუდმივი მყინვარებისა და მუდმივი თოვლის ზონის კლიმატით დაწყებული, შავი ზღვის ტენიანი სუბტროპიკებითა და აღმოსავლეთ საქართველოს სტეპის კონტინენტალური კლიმატით დამთავრებული.

კახეთის საკვლევი რეგიონი ტერიტორიულად იყოფა ორ ნაწილად: შიდა და გარე კახეთად:

შიდა კახეთი მოიცავს ძირითადად მდინარე ალაზნის გაშლილ ველს, რომელიც იწყება კავკასიონის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებიდან ცივ-გომბორის ქედსა და კავკასიონს შორის არის მოქცეული. მდინარე ალაზნი ამ ველს მარჯვენა და მარცხენა ნაწილად ჰყოფს. ალაზნის ველი კავკასიონის ქედის თითქმის პარალელურად მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ველის სიგრძე 160 კმ-მდეა, სიგანე დასაწყისში 5 კმ-ია, შემდეგ კი თანდათან ფართოვდება და ლაგოდებულორის გზასთან მისი სიგანე 45 კმ-ს აღწევს.

შიგა კახეთს სამი მხრიდან – ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან აკრავს მაღალი ქედები, რომლებიც იცავენ ველს ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან. მდინარე ალაზნის მარცხენა მხარე – ველის ჩრდილო ნაწილი, შედარებით ნოტიოა. ატმოსფერული ნალექები აქ 750-1000 მმ-ზე მეტი მოდის, ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურა კი  $+12^{\circ}$  აღწევს.

ალაზნის მარჯვენა ნაპირის მასივები ხასიათდება ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 300-700-ის ფარგლებში. ნალექების განსაკუთრებით მცირე რაოდენობა მოდის გარე კახეთის მთის კალთებზე. სასარგებლო ტემპერატურათა წლიური ჯამი  $5000^{\circ}$  შეადგენს, რაც სიობოს მოყვარული მცენარეების მაღალი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა, მაგრამ ატმოსფერული ნალექების რაოდენობის სიმცირე და მისი არათანაბარი განაწილება ზღუდავს ტენის მოყვარული მცენარეების განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღების მთავარი დამაბრკოლებელი ბუნებრივი ფაქტორია ატმოსფერული ნალექების სიმცირე და არათანაბარი განაწილება წლის განმავლობაში. ამიტომაც ამ რეგიონში მორწყვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

გარე კახეთის ტერიტორია მოიცავს მდინარე იორის აუზში შემავალ ფართობებს. ძირითადად ესაა შირაქ-გარეჯის ვაკე, რომელიც მდებარეობს

ცივგომბორის ქედის სამხრეთი ნაწილიდან მდინარე იორის მარცხნა ნაპირამდე და მოიცავს უდაბნოს, ოლენაომარის, შირაქ-ელდარის უკანა მხარის და ტარიბანას მასივებს.

კახეთის მხარის მიწების მორწყვის ძირითად წყაროს წარმოადგენს მდინარე ალაზანი, რომლის შენაკადებია ილტო, სტორი, ლოპოტა, ინწობა, ჩელთი, დურუჯი, ბურსა, კაბალა და სხვა, და მდინარე იორი. აღნიშნული მდინარეები გაზაფხულზე და შემოდგომაზე წყალუხვები არიან, სამაგიეროდ ზაფხულში, როდესაც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტენსიური მორწყვა, წყალმცირეობით ხასიათდებიან, რის გამოც საჭიროა მათი ჩამონადენის დარეგულირება. ამ მდინარეების წლიური ჩამონადენის და მისი გამოყენების არსებული დონის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი მონაცემები (ცხრილი 1.1.1.)

### ცხრილი 1.1.1.

#### მდინარე ალაზნის და იორის საშუალო წლიური ჩამონადენი და მათი გამოყენება

(მლნ.მ<sup>3</sup>)

მდინარეები	საშუალო წლიური ჩამონადენი	მათ შორის გამოიყენება		უკან ბრუნდება გამოყენების შემდეგ	საზღვრების გარეთ გაედინება
		სარწყავად	მრეწველობაში		
ალაზანი- შენაკადებით	2623	698	67	385	2243
იორი- შენაკადებით	530	367	27	170	90
სულ	3153	1065	94	555	2333

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში სარწყავად გამოყენებულია საშუალო წლიური ჩამონადენის მხოლოდ 33,8 პროცენტი. განსაკუთრებით მაღალია ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადინებული წყლის რაოდენობა (74,0%), რაც ჯერ კიდევ ერთხელ ამ

მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების განხორციელების  
აუცილებლობაზე მიუთითებს. ამასთან გასათვალისწინებელია ის  
გარემოებაც, რომ სარწყავი წყლის გამოყენებამ ხელი არ უნდა შეუწყოს  
ეროვნიული პროცესების განვითარებას.

**თავი II კახეთის მხარის რაიონებში ეროზირებულ მიწებზე  
სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის  
დონე და განვითარების ტენდენციები**

**2.1. ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების  
ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის  
მეთოდოლოგიური საფუძვლები**

თანამედროვე ეტაპზე განუზომლად დიდია წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელობა. ამიტომ ამ პრობლემის თეორიულ ასპექტში კვლევა, ეფექტიანობის არსის, თავისებურებებისა და გამოვლენის ფორმების მეცნიერებლი დასაბუთება ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის გაზრდა, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ წარმოების შედეგები იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მისი დანახარჯები, რომ წარმოებაში შედარებით ნაკლები რესურსების ჩაბმის შედეგად შეგვეძლოს მეტის მიღწევა. მაშასადამე, მეტი შედეგის მიღწევა ნაკლები დანახარჯებით.

„ეფექტი“ ლათინური სიტყვაა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „შედეგი“. ამიტომ, ცხადია, წარმოების ეფექტიც, უწინარეს ყოვლისა, მის შედეგს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ როგორც ცნობილია, წარმოებას აქვს არა ერთადერთი, არამედ რამდენიმე შედეგი, ისევე როგორც რამდენიმე ფაქტორი და რამდენიმე პირობა. ამდენად, ბუნებრივია, წარმოების ეფექტიანობის პრობლემა შეუძლებელია მეცნიერებლად აიხსნას ისეთი თეორიული საკითხების გარკვევის გარეშე, როგორიცაა თვით წარმოება, როგორც გარკვეული დიალექტიკური ერთიანობა, როგორც სისტემა, მისი ეფექტი და ამ ეფექტის მიღწევის ხარისხი, ანუ ეფექტიანობა, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და მაჩვენებლები და ა.შ.

უშუალოდ ამ საკითხის განხილვამდე შევეცდებით გავმიჯნოთ ცნებები “ეფექტიანობის კრიტერიუმი” და „მაჩვენებელი“. ეკონომიკურ

ლიტერატურაში, როგორც წესი, ეს ცნებები სხვადასხვაგვარად არის შეფასებული, ზოგჯერ კი გაიგივებულიცაა. ერთი და იმავე მნიშვნელობით ამ ცნებების ხმარება ჩვენი აზრით არასწორია. როგორც განმაზოგადებელი, ისე კერძო მაჩვენებლები დაკავშირებულია კრიტერიუმთან, მაგრამ არ შეიძლება მათი გაიგივება. კრიტერიუმი – ესაა ნიშანი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება რაიმეს შეფასება, განსაზღვრება ან კლასიფიკაცია. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი არის ის შედეგი (ეფექტი), რომლის მიღწევაც მიზნადაა დასახული. ეფექტიანობის შეფასება ხდება მიღებული შედეგის საფუძველზე და დანახარჯებთან მისი შეფარდების გზით, ე.ი. ეფექტიანობის მაჩვენებელი თანაფარდოფითი სიდიდეა, რომელიც გაწეულ დანახარჯებთან მოცემული ეფექტის შეფარდებას გამოხატავს. მაგალითად, ცოცხალი შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი გამოხატავს მიღებული ეფექტის – პროდუქციის რაოდენობის შეფარდებას შრომის რაოდენობასთან. აქ კრიტერიუმი პროდუქციის რაოდენობაა, ხოლო შრომის ნაყოფიერება გვიჩვენებს კრიტერიუმის განსაზღრული სიდიდის მისაღწევად გაწეული შრომითი საქმიანობის ეფექტიანობას.

წარმოების ეფექტიანობა საერთო-ეკონომიკური კატეგორიაა. ამასთან ეფექტიანობის, როგორც გაწეულ დანახარჯებთან წარმოების შედეგების შეფარდების დახასიათება, მეტად ზოგადი და აბსტრაქტულია. მას მხოლოდ საჭარმოო ძალთა განვითარების დონის დახასიათება შეუძლია, მაგრამ ასეთი ანალიზით არ ჩანს, თუ კონკრეტულად რომელ წარმოებაზეა ლაპარაკი, როგორ გამოვლინდება მოცემული წარმოების წესისა და ეკონომიკური ურთიერთობის ბუნება წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებში. ამიტომ ეფექტიანობის სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმა უნდა განვსაზღვროთ, როგორც წარმოების სპეციფიკურად საზოგადოებრივი შედეგების შეფარდება, ასევე სპეციფიკურ საზოგადოებრივ ფორმაში გამოხატულ დანახარჯებთან.

საქონელწარმოების განვითარება, წარმოების მოძრაობის ყოვლისმომცვლელ ფორმად მისი გადაქცევა საბაზო ურთიერთობის პირობებში არსებითად არ ცვლის როგორც წარმოების მიზანს, ისე მისი

მიღწევის საშუალებას. საქონელწარმოება სიმდიდრის უსაზღვრო დაგროვების შესაძლებლობას ქმნის და ბიძგს აძლევს საწარმოო ძალების შემდგომ სწრაფ განვითარებას. სასაქონლო მეურნეობაში უშუალო, უახლეს მიზნად გამოდის დირებულება.

ცნობილია, რომ სოციალისტური წარმოების მიზანი და მიზნის მიღწევის საშუალება კაპიტალისტურს დიამეტრიულად უპირისპირდება, რის გამოც იცვლება მათი ეკონომიკური ფორმაც. წარმოების ეფექტიანობა სოციალიზმის დროს ახალი საზოგადოებრივ-წარმოებათა ურთიერთობის გამომხატველი ხდება. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ სამოციან წლებში ბევრი მკვლევარი ამ პრობლემას სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობასთან კავშირის გარეშე განიხილავდნენ, ისინი გაბედულად და ობიექტური დამაჯერებლობით უარყოფდნენ განსხვავებას კაპიტალისტურ და სოციალისტურ წარმოების ეფექტიანობას შორის და მას ერთი და იგივე რაოდენობრივი მაჩვენებლებით გამოხატავდნენ.

მოგებას და რენტაბელობას სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმად მიიჩნევდა ი. მალიშევი, მისი აზრით, რენტაბელობა, შრომის ნაყოფიერების ზრდის შეფარდებითი საზომი, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელია, ეკონომიკურად დასაბუთებული ფასების პირობებში რენტაბელობა, ე.ი. ცალკეული საწარმოს ეფექტიანობის მაჩვენებელი მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელიცაა (2.77.58).

კიდევ უფრო რადიკალური პოზიცია უკავია ნ. პეტრაკოვს. მოგება მას მიაჩნია გამჭოლ, უნივერსალურ კრიტერიუმად, რომელიც ამავე დროს სახალხო-სამეურნეო პროპორციებსაც არეგულირებს (2.84.126). დაახლოებით ამავე აზრის არიან გ. ლისიჩინი, ა. ბირმანი და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების რადიკალური პროცესები წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სრულყოფას მოითხოვს. როგორც აღვნიშნეთ, საბაზრო ურთიერთობის პირობებში ეფექტიანობის უველა მაჩვენებელი, მათი მოძრაობა მოგების ნორმის ინტერესს ექვემდებარება!

„მასში (საბაზო ურთიერთობაში) თვით ფასების, ბაზრების, მოგების ან ზარალის სისტემა განსაზღვრავს: „რა“, „როგორ“, „გისთვის“. ფირმები იმ საქონელს აწარმოებენ, რომელთაც მეტი მოგება მოაქვთ (რა?); იყენებენ იმ წარმოების საშუალებებს, რომლებიც ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვენ (როგორ?); მოხმარება განისაზღვრება ხელფასით, შემოსავლით (ვისთვის?)”

ნიადაგის ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების განხორციელების მთავარი ამოცანაა მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლების გზით შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების აუცილებელი პირობები, რომელიც გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდაში. ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებები საშუალებას იძლევა პრუნვაში ჩაირთოს ნაკლებპროდუქტიული (ეროვნირებული) და სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწები და გადაიქცნენ ისინი საჭირო პროდუქციის წარმოებისათვის ძვირფას სავარგულებად.

ნიადაგის ეროვნიასთან ბრძოლა მიწათმოქმედების მაღალი კულტურის ერთ-ერთი წამყვანი ნაწილია. მისი წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია შევიმუშაოთ ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების დასაბუთების ეკონომიკური მეთოდები.

საპროექტო სამუშაოების პრაქტიკაში, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, როგორც წესი, „სოფლის მეურნეობის კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის განსაზღვრის ტიპობრივი მეთოდიკის“ [ეპ.გ.1978] საფუძველზე ხდება, სადაც გამოყენებულია მხოლოდ საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები: მოსავლიანობის ამაღლება, წმინდა მოგების მატება, კაპიტალდაბანდებათა უკუგების ვადები და ა.შ.

ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისას, ჩვეულებრივ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მატების ნორმატივებს, რომლებიც გვაძლევს გასაშუალოებულ, საკმაოდ მსხვილი რეგიონისათვის, საერთო სიდიდეებს და არ ასახავს გარკვეული მეურნეობის კონკრეტულ პირობებს. ამასთან, ეს სიდიდეები ყოველთვის არაა თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო

წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორების ზეგავლენისაგან. მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენება, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას, საშუალებას არ იძლევა გავითვალისწინოთ ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების განთავსების ხასიათი რელიეფისა და ნიადაგის საფარველის მიმართ და, ამას გარდა, მხედველობაში არ მიიღება ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების კომპლექსის უმთავრესი რგოლი – საორგანიზაციო სამეურნეო დონისძიებები.

ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი მიდგომის მეორე უკიდურესობაა ის, რომ რიგი ავტორები, ეფექტიანობის კრიტერიუმად იმ ზარალის სიდიდეს მიიჩნევენ, რომელიც ეროვნიამ მიაყენა ნიადაგების ნაყოფიერებას, მაგრამ როგორც სწორადაა აღნიშნული, არ იქნებოდა სწორი, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეფექტიანობის შესახებ მხოლოდ ზარალის სიდიდის მიხედვით ვიმსჯელოთ, რადგანაც: ჯერ ერთი, ზარალის თავიდან აცილება არ იძლევა დამატებით შემოსავალს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით; მეორეც, ეროვნის საწინააღმდეგო ბევრი დონისძიება ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას და შესაძლებელია მათი უკუგება (ანაზღაურება) დამატებითი პროდუქციის ხარჯზე. ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების ყველაზე მისაღები მეთოდიკა, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ჯამური ეფექტის გათვალისწინებით, ესაა წყლითა და ქარით გამოწვეული ეროვნისაგან ნიადაგების დაცვის დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც დროებითი ექსპერიმენტული გამოყენებისათვის მოამზადა მიწის რესურსების სახელმწიფო ინსტიტუტმა, მიწათმოქმედებისა და ნიადაგების ეროვნისაგან დაცვის საკავშირო სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, ნიადაგების ეროვნისაგან დაცვის უკრაინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაწილეობით. შემოთავაზებული მეთოდიკის თანახმად, დაბინძურების საწინააღმდეგო დონისძიებების საპროექტო ვარიანტები შეფასდება ეროვნის საწინააღმდეგო ეფექტის მაჩვენებლებისა და ეროვნის დასაშვებ

სიდიდესთან მისი შესაბამისობის ხარისხის მიხედვით. ამ მაჩვენებლების საფუძველზე განისაზღვრება: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის საანგარიშო სიდიდეები, წმინდა მოგების სიდიდე, კაპიტალის დამატებითი დანახარჯების ამოგების ვადები. ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეფექტიანობა შემდეგ მაჩვენებლებს მოიცავს: ეროვნის საწინააღმდეგო ეფექტიანობას, რომელიც მოიცავს დაბინძურების საწინააღმდეგო დონისძიებების მარეგულირებელ ნიადაგდამცავუნარს; ეკონომიკურ ეფექტიანობას, რომელშიც შედის თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე, დამატებითი პროდუქციის მოცულობა და ლირებულება, კაპიტალის დამატებითი დანახარჯები, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ყოველწლიური ხარჯები და წმინდა მოგების ყოველწლიური ნამატი, ამ დონისძიებების ხარჯზე, აგრეთვე, კაპიტალის დამატებითი დანახარჯების ამოგების ვადა.

ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების დადებით ეფექტს (შედეგს) შეადგენს დამატებითი პროდუქციის ლირებულება და თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე. მაგრამ ამ მეთოდიკაში არასაკმარისი სისრულითაა ასახული ნიადაგის ეროვნით გამოწვეული ზარალის არსი და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, აგრეთვე ამ ზარალის ცალკეული შემადგენელი ნაწილები და მათი საანგარიშო სიდიდე.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმახურებს ზარალის განსაზღვრის მეთოდური რეკომენდაციები, რომელიც მოამზადა ნიადაგების ეროვნისაგან დაცვის უკრაინის სამეცნიერო პგლევითმა ინსტიტუტმა, სადაც, მოცემულია ეროვნით განპირობებული ზარალის ყოველმხრივი განხილვა და მოტანილია რეკომენდაციები, მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების აღრიცხვისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამასთან დაშვებულია რიგი პირობითობები, მაგრამ ინფორმაციით უზრუნველყოფის ამ დონისათვის, დაშვებებით ოპერირება სავსებით ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, წარმოდგენილ ანალიზში განვიხილეთ ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის რიგი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები. ყოველ მათგანს ახასიათებს ესა

თუ ის ნაკლი, რომლებზეც გავამახვილეო ყურადღება. უმთავრესი ნაკლი, რომელიც დამახასიათებელია ყველა განხილული მეთოდიკისათვის, შემდეგია: პირველი, ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველია შესყიდვის სახელმსიფო ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რომლებიც როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, არ ასახავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებს. ამიტომ, ის დღეისათვის უნდა შეიცვალოს საბაზრო ფასით, რის შედეგადაც ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებლები უფრო რეალური გახდება; მეორე, ეფექტი (შედეგი) უნდა აღირიცხებოდეს არა წლების მიხედვით, არამედ იმ მიწის სამეურნეო გამოყენების საანგარიშო პერიოდიდან გამომდინარე, რომელმაც ეროზიის საწინააღმდეგო დამუშავება გაიარა.

განვიხილოთ ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ზოგიერთი მიდგომა, მიწის დამცავი დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების ზემოთ წარმოდგენილი მეთოდური რეკომენდაციების მიხედვით.

ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების სამეურნეო ეკონომიკური შედეგის ზოგადი სახე განისაზღვრება ფორმულით, სადაც შესაკრებების სახით გამოყენებულია:  $R = \Delta r / E_H$  საწარმოს ან საწარმო ჯგუფში მიწის დირებულების ნამატი (ნაზრდი) იმ ტერიტორიებზე, სადაც ჩატარდა ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებები; სამეურნეო საქმიანობისა და გარემოს თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე.

თავის მხრივ,  $\Delta r$  მიწის ფასის წლიური ნამატი – მიწის საექსპლუატაციო საწარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგის წარმოებული სიდიდეა, რომელიც განპირობებულია ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების ჩატარებით და განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta r = \mathbf{r}_1 - \mathbf{r}_2$$

სადაც:  $r_1$  - მიწის რესურსების ეკონომიკური შეფასებაა დონისძიებების ჩატარების შემდეგ;

$r_2$  - იგივე, ჩატარებამდე.

ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების დასაბუთებისას, გარკვეულ ახსნას მოითხოვს თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე. ჯერ ერთი, ეს არაა პიპოთეზური ზარალი, როგორც ეს იყო პიდროტექნიკური სამელიორაციო დონისძიებების ჩატარებისას, ზარალი საგსებით რეალურია; მეორე, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების კომპლექსი ყოველმხრივ დადებითად მოქმედებს სამეურნეო საქმიანობაზე და არა მარტო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, არამედ სხვა დარგების საწარმოებისათვისაც. თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე უნდა განისაზღვროს როგორც თავიდან აცილებული იმ ზარალის ჯამი, რასთან დაკავშირებითაც ფორმულა შემდეგნაირად გარდაიქმნება:

$$P = R + \sum Y$$

ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის სირთულე იმით ძლიერდება, რომ ის ხორციელდება კომპლექსურად და ამ კომპლექსში ზოგიერთ დონისძიებაზე დახარჯული სახსრების ამოგება მოკლე ვადებში ხდება, სხვების ამოგება კი სუსტია და უფრო ხანგრძლივ ვადებს მითხოვს. რამდენადაც ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა ცალკეული ზომების ეფექტიანობისაგან შედგება, საერთო ეფექტი არ არის ცალკეული ზომების ზემოქმედებათა უბრალო ჯამი, იგი უნდა განისაზღვროს მთელი კომპლექსისათვის საშუალოდ.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ ამჟამად გამოყენებული ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების მოცულობა და კომპლექსურობა, საშუალებას არ იძლევა მთლიანად შეწყდეს ეროვნის პროცესები. რადგან ეს ძალზე ძვირი ჯდება, ამდენად, ზარალის თავიდან აცილება მხოლოდ ნაწილობრივ ხდება. ამის გამო, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ჩატარების შემთხვევაში, თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე განისაზღვრება როგორც სხვაობა, განხილული დონისძიებების ჩატარებამდე არსებული ზარალის საანგარიშო  $y_1$  სიდიდესა და მის შემდეგ ნარჩენი ზარალის  $y_2$  სიდიდეს შორის, ე.ი.

$$y = y_1 - y_2$$

ამასთან დაკავშირებით, დარჩენილი ზარალის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ვარიანტის დასაბუთებისას, საჭიროა იმ ვარიანტებთან ერთად, რომლებიც მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა, განვიხილოთ ის ვარიანტებიც, რომლების ჩატარებაც მინიმუმადე დაიყვანს ნარჩენი ზარალის სიდიდეს.

ნიადაგის ეროვნიასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენებითაა გამოწვეული რიგი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების წარმოშობა. სამწუხაროდ, ეროვნით და ეროვნიული პროცესებით გამოწვეული ზარალი არ მცირდება და მისი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა. საერთოდ უნდა გადიაროთ, რომ ნიადაგდაცვის სამუშაოებს ამჟამად მძიმე დღეები უდგას. ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ყველაზე მეტად დაზარალდა ნიადაგდაცვითი სამუშაოები. თითქმის შეწყვეტილია ეროვნის და წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები, რამაც ეროვნიული პროცესების გაძლიერება გამოიწვია.

საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა ეროვნიული პროცესების გაძლიერების ტენდენცია. ეს მრავალი მიზეზითაა განპირობებული. კერძოდ ბუნებრივი ფაქტორებია: ნიადაგის რელიეფი, ნიადაგის მდგრადობა ეროვნისადმი, მცენარეული საფარის ნიადაგდამცავი როლი, კლიმატური და პიდრომეტეოროლოგიური ფაქტორები – უპირველეს ყოვლისა ეროვნის გამომწვევი ნალექების რაოდენობა და ინტენსივობა, ნიადაგის გაყინვის სახე, ზედაპირული ჩამონადენის მოცულობა და ა.შ. ხოლო ანთროპოგენული ფაქტორებია: ნიადაგის დამუშავების წესების დარღვევა, დიდქანობიანი ფართობების უსისტემო დამუშავება და ასეთ ფართობებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების არასწორი შერჩევა, კონკრეტული პირობებისადმი შეუფერებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენება, ნიადაგის დამცავი მცენარეული საფარის გამეჩერება, საძოვრების არასწორი და ინტენსიური გამოყენება, ტყეებისა და ბუჩქარის უსისტემო კაფვა, მინერალური სასუქების და შხამქიმიკატების დიდი რაოდენობით შეტანა

და სხვ. აღნიშნულ მიზეზთა გამო ქვეყნის რიგ რეგიონებში ეროვნიულმა პროცესებმა საშიში ხასიათი მიიღო, ამგვარად, საქართველოს მთელი რიგი რეგიონების ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნება, ისე ქვეყნის სოფლის-მეურნეობის აღმავლობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, მოითხოვს ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებათა ფართო პროგრამის შემუშავებას.

## 2.1.1. აგროსატყეო სისტემების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები

საქართველოს რთული რელიეფური პირობები განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მკვეთრ შეზღუდულობას. ამასთან სავარგულების გარკვეული რაოდენობა განიცდის ძლიერ წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიულ პროცესებს, რის შედეგადაც ყოველწლიურად იკარგება ათეული ათასი ტონა ნაყოფიერი ნიადაგი და შესაბამისად მცირდება მისი ეკონომიკური ნაყოფიერება. ამიტომ, ასეთ ნიადაგებზე აგროსატყეო წარმოების განვითარების მიზნით, სათანადო ლონისძიებების გატარება ბიონეტიკული მეთოდების გამოყენებით მრავალმიზნობრივ ხასიათს ატარებს.

ტყე, ეროვნული სიმდიდრეა ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის ცხოვრებაში მისი მნიშვნელობა დიდი და მრავალწახნაგოვანია. ვრცელ ტერიტორიაზე ტყე წარმოქმნის განსაკუთრებულ ბუნებრივ ზონებს და ლანდშაფტებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს კლიმატის და ნიადაგის ფორმირებაზე. ტყის ნარგავები ასუსტებს ნიადაგის წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას, იცავს მინდვრებს გვალვებისაგან, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მყარი მოსავლის მიღებას. ტყის ეს თვისებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის დარგებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ურთიერთქმედება. მათ აერთიანებთ წარმოების ძირითადი საშუალებების და შრომითი რესურსების გამოყენების სპეციფიკა. ქვეყნის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის გაძლოლა მიმდინარეობს ტყის ზონაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები განლაგებულია ტყეებს შორის. ტყის ნარგავებს გააჩნია მრავალფუნქციონალური თვისებები. მიზნობრივი დანიშნულებით ისინი იყოფა ორ დიდ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ბუნებრივი ტყეები და ხელოვნურად შექმნილი ტყის ნარგავები – სამეურნეო-

ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და რეკრეაციული დანიშნულებით. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ბუნებრივი ტყეები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ხეების და ბუჩქების ხელოვნური ნარგავები, რომლებიც ძირითადად იქმნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების უფრო მაღალი და მდგრადი მოსავლის მისაღებად და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაღიდებლად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ტყის ნარგავები თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად: აგროსატყეომელიორაციული, ანუ დაცვითი ნარგავები აგრონომიული მიზნებისათვის და ზოოსატყეომელიორაციული, ანუ საცავი ნარგავები მეცხოველეობის მიზნებისათვის.

აგროსატყეოსამელიორაციო ნარგავები განლაგებულია სახნავ მიწებზე და ჰიდროგრაფიული ბადის მიწებზე. მათ მიეკუთვნებათ ქარსაფარი ტყის ზოლები ურწყავი მიწების თესლბრუნვების მინდვრების შიგნით და საძოვრებზე, ისინი ამცირებენ ქარის სისწრაფეს, ანაწილებენ თოვლს, ხელს უწყობენ ნიადაგის დეფლაციის და მისი ზედაპირიდან ტენის აორთქლების შემცირებას, იცავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს გვალვისაგან.

ზოოსატყეომელიორაციულ ნარგავებს მიეკუთვნება საძოვარდამცავი ტყის ზოლები, ნარგავები – ყვავილკვალები, ნარგავები ფერმების ირგვლივ.

მრავალწლიანი სამეცნიერო გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთ ძირითად რეზერვად აგროსატყეომელიორაციული მეთოდით ქარისმიერი ეროზიის აღკვეთა და გვალვის მოქმედების შემცირება ითვლება.

საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო თვისებების მრავალფეროვნება განაპირობებს მინდორსაცავი ტყის ზოლებისადმი დიფერენცირებულ მიღებას. ამასთან გასათვალისწინებელია გაბატონებული ქარების სიძლიერე, მიმართულება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თავისებურებანი.

გაბატონებული ქანების სიძლიერისა და ხასიათის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები დაყოფილია 2 კგუფად: I ჯგუფში შედის – ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, გარდაბნის, საგარეჯოსა და გურჯაანის (უკანა მხარე) რაიონები, რომლებიც მეტად მძაფრი ქარებით ( $>15\text{მ}/\text{წ}\text{მ}$ ) ხასიათდება; II ჯგუფის რაიონები: ცხინვალი, ყორნისი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დუშეთი, ბოლნისი, მარნეული, დმანისი, ყაზბეგი, სიღნაღი (უკანა მხარე), თეთრიწყარო, დედოფლისწყარო ხასიათდება ძლიერი ქარებით.

ქარისაგან დასაცავ ტერიტორიაზე უნდა გაშენდეს ძირითადი და დამატებითი ტყის ზოლები, რომელთა განლაგება გაბატონებული ქარების მიმართულების მიხედვით განისაზღვრება. მინდვრის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურებისათვის ძირითად მინდორსაცავ ტყის ზოლებს შორის მანძილი პირველი ჯგუფის რაიონებში უნდა იყოს 300 მეტრი, მეორე ჯგუფისათვის კი 400 მეტრი. მრავალწლიანი ნარგავებისათვის (ხილი, ვენახი და სხვა) მინდორსაცავ ტყის ზოლებს შორის მანძილი პირველი ჯგუფის რაიონებში უნდა იყოს 200 მეტრი, ხოლო მეორე ჯგუფისათვის – 250 მეტრი.

აღმოსავლეთ საქართველოში ძირითად მინდორსაცავ ტყის ზოლში მწკრივთა რაოდენობა პირველი ჯგუფის რაიონებში უდრის 8-6, მეორეში – 6-4. დამატებითი მინდორსაცავი ტყის ზოლები ყველა ჯგუფის რაიონებში მხოლოდ ორი მწკრივისაგან შედგება. მწკრივებში ხეებს შორის მანძილი როგორც ძირითად, ისე დამატებითი ტყის ზოლებისათვის უნდა იყოს 1,5 მეტრი.

მინდორსაცავი ტყის ზოლებისათვის შერჩეული სახეობები უნდა ხასიათდებოდეს სწრაფი ზრდითა და დიდი სიმაღლით. დამლაშებულ ნიადაგებზე მორწყვის პირობებში რეკომენდებულია დაირგოს ალვის ხე, ვერხვი კანადური, ფიჭვი ელდარის, გლედიჩია, თეთრი აკაცია და სხვა.

ყველგან ორმწკრივიან გარდიგარდმო ზოლებში, ხეებს შორის მწკრივებში დასაშვებია ფშავის, ნუშის, ბროწეულის, კომშის, შინდის, ზღმარტლის, ტყემლის, ატმის, მოცხარის, ჯონჯოლის, მოცვის, უნაბის და სხვა ხილ-კენკროვანი ბუჩქოვანი სახეობების დარგვა.

წყლისმიერი ეროვნის საწინააღმდეგო ტყის ზოლები უდიდეს მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელსაც ფერდობებზე ჩამონადენი წყალი გადაჰყავს ნიადაგის სიღრმეში, რითაც სპობს ეროვნიული პროცესების განვითარებას. ზედაპირული ჩამონადენის ოდენობა დიდად არის დამოკიდებული ნიადაგის მექანიკურ, ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე, სტრუქტურაზე, სიმკვრივეზე, ტენიანობაზე, წყალგამტარობის უნარზე და სხვა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ნიადაგის ყველა კომპონენტის დაღებითი და უარყოფითი თვისებების რეგულირებით შესაძლებელია წყლისმიერი ეროვნის საწინააღმდეგო ტყის ზოლების დაცვითი როლის გაძლიერება, რაც თავის მხრივ ქმნის ნიადაგის მტკიცე სტრუქტურას, აუმჯობესებს მის ფიზიკურ თვისებებს, იცავს ნიადაგს გაყინვისაგან, ხელს უწყობს წვიმისა და თოვლის წყლის ჩაჟონვას ნიადაგის სიღრმეში და ზედაპირული ჩამონადენის შემცირების ხარჯზე სპობს ეროვნიული პროცესების განვითარებას.

კვლევის მეთოდოლოგია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე აგროსატყეო სისტემის განვითარების შედეგად მრავალმიზნობრივი ტყით სარგებლობის პრიორიტეტების განსაზღვრას, მის ანალიზს და რაც მთავარია ისეთ სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა დაგეგმვას ითვალისწინებს, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტულ ტერიტორიაზე კომპლექსური ფუნქციის მქონე ტყის მცენარეულობის განვითარებასა და გამოყენებას.

მრავალმიზნობრივი ტყით სარგებლობა ძალზე აქტუალურია განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე რეგიონებისათვის, რომელთა თავისებურებას წარმოადგენს ბუნებრივი ფაქტორების (წყალი, ტემპერატურა, ქარი, სეზონი) მაღალი ნებატიური ზემოქმედება. ამ პირობებში ტყე და ბუჩქნარი, გარდა დაცვითი, სარესურსო-სანედლეულო და აგროსამეურნეო ფუნქციებისა, ასრულებენ აგრეთვე სოციალურ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ ფუნქციასაც. ამავე დროს, მათი დაცვითი, სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ათვისების დონესთან.

სასოფლო-სამეურნეო ფორმირების ტყეები და ტყის სხვა ნარგაობები, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სპეციფიკური ტერიტორიული გაადგილების გამო, განიცდიან ძლიერ ანტროპოგენურ ზეგავლენას. ერთდროულად ისინი წარმოადგენენ ლოკალური ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ უზრუნველყოფის ელემენტს. ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა პროგრამა უნდა დამუშავდეს ტყე-ბუჩქნარის მრავალ-ფუნქციონალური როლის მხედველობაში მიღებით. ამავე დროს, სატყეო-სამეურნეო დონისძიებების გეგმები უნდა შედგეს ისე, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე საუკეთესოდ და მცირედი დანახარჯებით გამოყენებულ იქნას ნარგაობათა სასარგებლო ფუნქციები.

სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, ჩვენს მიერ აპრობირებულ იქნა დაგეგმვის სისტემა, რომლის ბაზას წარმოადგენს: ტყის ნარგაობების ინტეგრარული სარგებლობის მატრიცის მოდელი, იერარქიული მიზნების ანალიზი და სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა დაგეგმვის პრიორიტებები. იერარქიული მიზნების ანალიზის მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა აღგვეწერა და რაოდენობრივად შეგვეფასებინა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ტყის მცენარეულთა მრავალფუნქციონალური როლი. ამ მიზნით, გამოყოფილი იქნა ტყის ნარგაობათა აგრეგატიული სარგებლობის ხუთი ჯგუფი, რომლებსაც აქვთ გენერირების უნარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე (ფრჩხილებში მითითებულია მათ მიერ შესასრულებელი ფუნქცია):

- დაცვითი (ეროზიის საწინააღმდეგო, მინდორსაცავი, წყალშემნახავი, წყალმარეგულირებელი);
- სოციალურ-ეკოლოგიური (გარემოს წარმომქმნელი, საასიმილაციო, ლანდშაფტურ-წარმომქმნელი, რეკრეაციული, კულტურულ-ესთეტიკური);
- ეკონომიკურ-სოციალური (შემოსავლების ზრდა, სოფლად სიდარიბის დაძლევა, უმუშევრობის და მიგრაციული პროცესების შემცირება);

- რესურსულ-სანედლეულო (სატყეო-სანედლეულო – უზრუნველყოფა მერქნითა და ტყის მეორადი რესურსებით; სატყეო პროდუქტიული – ტყის პროდუქტებით უზრუნველყოფა; ენერგეტიკული – საწვავი მერქნით უზრუნველყოფა);
- აგროსამეურნეო (აგროდაცვითი – გარემოს ფაქტორების არასასურველი ზემოქმედებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ობიექტების დაცვა; აგროკლიმატური – მოსავლიანობაზე მომქმედი მიკროკლიმატისა და სხვა პირობების შექმნა);

მოყვანილი ტიპიზაცია იძლევა სხვადასხვა ამოცანების გადაჭრის საშუალებას, კერძოდ: მოდელირებისა და ტყის მცენარეულობის შესადარისი რაოდენობრივი შეფასება; ნარგაობების ტიპის გათვალისწინებით მისი ფუნქციონალური სარგებლობის, მათი დანიშნულების, სივრცობრივი ფორმის და ზომების, აგრეთვე ეკოლოგიური არასტაბილურობის წყაროსთან მდებარეობის, ეკოლოგიური დაძაბულობის ხარისხის და ტერიტორიის საერთო ტყიანობის მხედველობაში მიღებით.

ექსპერტული შეფასების პროცესში, რომელიც ხორციელდებოდა დაწყვილებული შედარებისა და მოდელური აღწერის მეშვეობით კახეთის რეგიონში დაცვითი ტყეების, მინდორსაცავი, ეროზიის საწინააღმდეგო, წყლის შემნახავი დან სხვა ტიპის ტყის ნარგაობების კვლევა. საბაზო მოდელად გამოიყენებოდა დაწყვილებული შედარების მატრიცა

$$A = \begin{vmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \dots & a_{2n} \\ \hline \hline a_{n1} & a_{n2} & \dots & a_{nn} \end{vmatrix}$$

სადაც  $a_{ij}$  - არის  $i$  ექსპერტული შეფასების მაჩვენებელი  $j$ -ის სარგებლიანობის მიმართ.

კონკრეტული ტყის მცენარეულობათა ობიექტის ინტეგრირებული სარგებლიანობის მატრიციული მოდელის მისაღებად, სპეციალური მეთოდიკის მიხედვით, ექსპერტთა გამოკითხვის მეშვეობით, განისაზღვრება მატრიცის ელემენტების რიცხობრივი მაჩვენებლები.

შემდგომში საჭიროა სტრუქტურის წარმოსადევ ჩვეულებრივ ფორმაზე გადასცლა ჭეშმარიტი მაჩვენებლების თანმიმდევრობის სახით, რომლებიც ახასიათებენ ინტეგრარული სარგებლიანობის ძირითად სტრუქტურული ელემენტების წილს (ხვედრით წონას). ამ მიზნით ამოხსნილ უნდა იქნას  $A$  მატრიცის  $W$  საკუთრივ სვეტი.

$$W = \begin{vmatrix} a_1 \\ a_2 \\ \cdots \\ a_n \end{vmatrix}, \quad \text{სადაც } a = \frac{\sum_{j=1}^n a_{ji}}{\sum_{j=1}^n \sum_{i=1}^n a_{ji}}$$

საკუთრივ სვეტი  $W$  ელემენტების რიცხობრივი მაჩვენებლები, სრულად ასახავენ ინტეგრარული სარგებლიანობის ძებნილ სტრუქტურას.


მატრიცის მოდელის მეშვეობით დადგენილია, რომ ტყის ნარგაობა (ან მათი ტიპი, რომელიც დამოკიდებულია კონსტრუქციაზე, სივრცობრივ კონფიგურაციაზე, სახეობრივ შემადგენლობაზე და შეთანაწყობილია ბუნებრივ და ხელოვნურ ობიექტებთან), აგრეთვე ტერიტორიული მდებარეობა, განსაზღვრავენ მათ პოტენციურ მნიშვნელობას ტერიტორიის მიმართ.

ყველა ტიპის (ფორმის) ტყის ნარგაობაში მაღალია დაცვითი აგრეგატიული სარგებლობიანობის მაჩვენებელი. ეს ფაქტი აიხსნება აგრარული სექტორისათვის დაცვითი მცენარეულობის განსაკუთრებული მნიშვნელობით.

იმ ტყის ნარგაობისათვის, რომლებიც გაადგილებული არიან ურბანიზებულ ტერიტორიაზე, ან სადაც ინტენსიურადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ინტეგრარული სარგებლიანობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის დაცვით და აგროსამეურნეო სარგებლიანობაზე. თუმცა, იმავე ტიპის ნაკვეთები, ოდონდ გაადგილებულნი შორეულ, მცირედ დასახლებულ რაიონებში, მთავარს წარმოადგენს რესურსულ-სანედლეულო სარგებლიანობა.

იმ მიზნით, რათა დადგენილ იქნას გარკვეული ტერიტორიის მოთხოვნილება ტყის ნარგაობების ამ თუ იმ აგრეგატიულ

სარგებლიანობაზე და განისაზღვროს დაგეგმვის პრიორიტეტები, ტყითსარგებლობის მაზანი წარმოდგენილ იქნა იერარქიის სახით, ყოველი ქვემოთ არსებული დონე ასახავს ძირითადი მიზნის მიღწევის ხერხებს, რომელიც სქემატურად შემდგები სახით წარმოგვიდგება. (იხ. ნახ. 1)



(ნახ. 1)

შემდგომში დაწყვილებული შედარების მეთოდით წარმოებს ყველაზე დაბალი დონის პროექტების (ქმედებების ხერხები) წვლილის შეფასება მთავარი მიზნის მიღწევაში. ამავე დროს, შეფასება უნდა მოხდეს იერარქიის შუალედური დონის გათვალისწინებით. ყოველი ქვემიზნის წვლილი მთავარ მიზანში დამოკიდეულია ტერიტორიის ტყის მცენარეულობების აგრეგატული სარგებლიანობის მოთხოვნილებაზე.

პრაქტიკულად აღნიშნული, მოდიფიცირებული მეთოდიკის გამოყენებამ საშუალება მოგვცა განსაზღვრულიყო სასოფლო ტყეების გამოყენების პრიორიტეტების სტრუქტურა დაბლობში, მთისწინა და მთიანი რაიონებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან თავისი ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პირობებით.


## ტყის ნარგაობების პრიორიტეტები

აგრეგატიული სარგებლიანობა	მთიანი
დაცვითი	0.34
სოციალურ-ეკოლოგიური	0.13
ეკონომიკურ-სოციალური	0.23
რესურსულ-სანედლეულო	0.21
აგრეოსამეურნეო	0.09

კერძოდ, დაბლობ რაიონებში სარგებლიანობის ყველაზე მაღალი პრიორიტეტი (ფასეულობა, მნიშვნელობა) აქვს სოციალურ-ეკოლოგიურ მნიშვნელობას (მაჩვენებელი 0,42), კოლხეთის დაჭაობებული ტერიტორიის ათვისების გათვალისწინებით აგროსამეურნეო დანიშნულების ტყეებს (0,25) და დაცვითს (0,23); მთის წინა რაიონებში წამყვანი ადგილი უკავია აგროსამეურნეოს (0,28), სოციალურ-ეკოლოგიურს (0,2) და ეკონომიკურ-სოციალურს (0,26); მთიან რაიონებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს დაცვით, ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ნარგაობების სახით (0,34) და ეკონომიკურ-სოციალურს (0,23). პრიორიტეტის გამოკვეთილი მიმართულებები დაკავშირებულია იმასთან, რომ რაიონები განიცდიან მაღალ ეკოლოგიურ და ანტროპოგენურ დატვირთვებს. მთის პირობებში მიწის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე, სადაც პირწმინდად მოჭრილი იქნა დაცვითი ფუნქციების სასოფლო ტყეები, განვითარდა ძლიერი წყლისმიერი ეროზია (აჭარის, გურიის რაიონები), ხოლო მინდორსაცავი ტყის ზოლების, ასევე ფერმერების მიერ პირწმინდად გაჩეხვამ, გამოიწვია კატასტროფული ქარისმიერი ეროზია (დედოფლისწყაროს, საგარეჯოს რაიონები). ამ მოვლენების შედეგად თვალნათლივ შეიმჩნევა სამეურნეო საქმიანობის დარღვევები, ბუნებრივი კატასტროფები, სასმელი წყლის დეფიციტი და ა.შ. პრიორიტეტების სტრუქტურა ირეკლავს წარმოქმნილ სიტუაციას და აჩვენებს, რომ ინვესტიციური პროგრამების ფორმირების დროს უპირატესობა უნდა მიეცეს წყლის და ქარისმიერი ეროზიის

საწინააღმდეგო, აგრეთვე წყლის შენახვითი დანიშნულების სასოფლო ტყეების გაშენებას.

დაგეგმვის ალგორითმის საერთო სქემაში გამოყოფილია ხუთი მთავარი მიზანი, რომელთა თანმიმდევრული გადაწყვეტა უზრუნველყოფს სასოფლო ტყეების განვითარების კონცეფციის რეალიზაციის (ნახ. 2).



ნახ. 2. მრავალმიზნობრივი დაგეგმვის განზოგადოებული  
ალგორითმის ბლოკ-სქემა

დაგეგმვის პროცესი წარმოადგენს სიტუაციური ანალიზის ამოცანათა გადაწყვეტის ციკლს, პრიორიტეტების დაგეგმვის მოწესრიგებასა და შეფასებას შემდგომში რამოდენიმე კრიტერიუმის ოპტიმიზაციით, აგრეთვე შედეგების შეფასებას, პრიორიტეტების კორექტირებას და ა.შ. ალგორითმის ბაზას წარმოადგენს მიზნებისა და

ამოცანების ანალიზის მატრიცული მოდელი. საბოლოო მიზანია – პროექტების მოწესრიგებული პრიორიტეტების თანამიმდევრობის მიღება:

$$\prod i > \prod k > \dots \dots \prod i > \dots \prod M \dots \prod P,$$

სადაც ნიშანი  $>$  არის უფრო მისაღები (სასარგებლო, მნიშვნელოვანი), ხოლო ჩანაწერი  $\prod i > \prod k$  - პროექტი  $\prod i$  უფრო მისაღები პროექტი  $\prod k$  კრიტერიუმების ერთობლიობის მიხედვით;  $i, k, i, m \in (1, n)$ ;  $n$  – პროექტების რიცხვი.

ჩვენი აზრით, სასოფლო ტყეების განვითარებისა და გამოყენების მრავალმიზნობრივი დაგეგმვის მეთოდიკა, რომლის ბაზაა იერარქიული ანალიზის მეთოდი წარმოადგენს გარკვეულ მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს. თუმცა, მისი პრაქტიკული გამოყენება დაკავშირებულია ექსპერტთა ხარისხოვან შერჩევაზე, აგრეთვე ექსპერტთა განსჯის მონაცემების თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკური განვითარებით დამუშავებაზე და ავტომატიზებულ ოპტიმიზიციურ ანგარიშებზე.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ეროზირებულ ფართობებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა იზრდება 80-85 პროცენტამდე, მისი მინდორსაცავი ტყის ზოლებით დაცული ფართობების პროპორციულად. ამასთან დაცვის მაჩვენებელი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით (ხანგრძლივი დაკვირვებების პირობებში).

$$\prod_{\text{კ}} = \frac{(1_0 30H_0 \sin \alpha + 1B 30H_0 \cos \alpha)}{S_{\partial} + S_{\phi}} \times 0,01$$

სადაც,  $\prod_{\text{კ}}$  არის ეროზირებული ფართობის დაცვის მაჩვენებელი - %-ში;  
 $1_0, 1_B$  - ძირითადი და დამხმარე ზოლების სიგრძე – მ-ში;

$H_0, H_i$  - ძირითადი და დამხმარე ზოლების სიმაღლე – მ-ში;

$\alpha$  - ძირითად ზოლებზე ქარის მიმართულების კუთხე – გრად-ში;

$S_{\partial}, S_l$  - მინდვრების და ტყის ზოლების ფართობი – ჰა-ში;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მიმდინარე მატება ტყის დამცავი ზოლების გავლენით (დროის ამა თუ იმ პერიოდში) დგინდება ფორმულით;

$$\varepsilon_{\vartheta} = 1,17 \prod_{\varrho} \varepsilon_{\max},$$

სადაც,  $\varepsilon_{\vartheta}$  არის მოსავლიანობის მიმდინარე მატება, ტ/ჰა;

$\prod_{\varrho}$  - მინდვრების დაცვის მაჩვენებელი, %;

$\varepsilon_{\max}$  - მაქსიმალური მატება, ტ/ჰა;

აღნიშნული ფორმულა მოქმედია 0 დან 88%-მდე დაცვის ფარგლებში. ეფექტის შესაფასებელი საშუალო წლიური ნამეტი, ტყის ზოლების მოქმედებისას განისაზღვრება როგორც საშუალო სიდიდე და იანგარიშება კოეფიციენტებით, რომელიც წარმოადგენს საშუალო წლიურ და მაქსიმალურ მატებას შორის დამოკიდებულებას.

მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას აღნიშნულით დანახარჯების (გადაბანდებების) გამოსყიდვის ვადა. (უკუგება) დროის ფაქტორის და ეფექტის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით გაიანგარიშება შემასწორებელი კოეფიციენტი. მოსავლიანობის მატების საშუალო წლიური და შემასწორებელი კოეფიციენტების სიდიდე ძირითადად დამოკიდებულია ეფექტის ზრდის ხასიათზე, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება ტყის დამცავი ზოლების განთავსებით, სიხშირით და რაც მთავარია ხეების ზრდა-განვითარების (სიმაფლე) მიხედვით.

მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნაზე დანახარჯების ეფექტიანობა იანგარიშება ყველა ფართობისათვის თესლბრუნვის როტაციის გათვალისწინებით, შემდეგი ფორმულით

$$\varepsilon = \frac{\varepsilon_1 \prod K(u_i - z_i)}{z_n K_3 a} \cdot 100\% ;$$

სადაც,  $\varepsilon$  არის მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნაზე დანახარჯების ეფექტიანობა, %;

$\varepsilon_1$  - ტყის ზონებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაქსიმალური დანამატი, ტ;

$\prod$  - მინდვრების ფართობი;

$K$  - დროის ფაქტორის გასათვალისწინებელი კოეფიციენტი;

$u_1$  - სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფასი, ლარი/ტ;

$3_1$  - დამატებითი მოსავლის აღებაზე გაწეული დანახარჯები, ლარი/ტ;

$3_n$  - მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის დანახარჯები, ლარი;

$K_3$  - ტყის ზოლების შექმნის დანახარჯების კოეფიციენტი;

$\alpha$  - თესლბრუნვის დრო, წელი;

ფულადი ფორმით გამოხატული ტყის ზოლების ეფექტი დამოკიდებულია თესლბრუნვის სქემაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტრუქტურაზე, რაც უფრო ინტენსიურია კულტურა, ან რაც მეტია მისი მოვლა-მოყვანის დანახარჯი, მით მაღალია ტყის ზოლების ეფექტი. ამდენად, მინდორსაცავი ტყის ზონების გაშენებისას თესლბრუნვის სქემაში გათვალისწინებული უნდა იქნას ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ინტენსიური კულტურები; ამასთან ტყის ზოლების საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას დიდ მნიშვნელობას იძენს მერქნიანი ნარგავების (მუხა, კოპიტი, ფიჭვი, მოცხარი და სხვა) ყოველწლიური მოსავლის მატება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ამ პროდუქციის დირებულებაზე (ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით) მეტია თესლბრუნვის სქემით გათვალისწინებულ ინტენსიური კულტურების პროდუქციის დირებულებაზე.

## 2.2. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

ბუნებრივი გარემოს ერთ-ერთ კომპონენტს – მიწის რესურსებს – ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის მიხედვით, თუ მიწა რა ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს საზოგადოებაში, მას იხილავენ ორი ასპექტით, პირველ რიგში, იგი სივრცეა, რომელიც აუცილებელია ყველანაირი წარმოებისათვის, ადამიანის დასახლებისა და საქმიანობისათვის, მეორეს მხრივ – მიწა საკვები პროდუქტების წარმოების საშუალებაა, მას თავისებურება ახასიათებს სხვადასხვა დარგში გამოყენების პროცესში. მრეწველობაში (მოპოვებითი მრეწველობის გარდა), მშენებლობაში, ინფრასტრუქტურის დარგებში მიწა წარმოადგენს ტერიტორიული სივრცობრივ ბაზას. მოპოვებით დარგში იგი ტერიტორიული ბაზაც არის და ამავე დროს წიაღისეულის შემცვლელიც.

სრულიად განსაკუთრებული როლი ენიჭება მიწის რესურსებს სოფლისა და ტყის მეურნეობაში, სადაც იგი გვევლინება როგორც მათი განვითარების ბაზაც და ამავე დროს როგორც შრომის მთავარი საშუალება. მიწის გარეშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესი შეუძლებელია. როდესაც ადამიანი ზემოქმედებს მიწაზე როგორც შრომის საშუალებაზე, იგი იყენებს მის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს. ამიტომაც მიწათმოქმედებაში შრომის საბოლოო შედეგი – მცენარეთა მოსავალი, დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სისქეზე, მის მექანიკურ შემადგებლობაზე, ქიმიური ნივთიერებების არსებობაზე და ა.შ. – ე.ი. ნიადაგის ნაყოფიერებაზე.

მიწის როგორც წარმოების საშუალების, სპეციფიკური თავისებურებები განაპირობებენ მის განსხვავებას წარმოების სხვა საშუალებებისაგან შედარებით, მთავარი განსხვავებებია: მიწის შეუცვლელობა, მისი შეზღუდულობა სივრცეში, ფუნქციონირების ადგილის მდგრადობა, სხვადასხვა ნაკვეთების განსხვავებული ხარისხი და ნაყოფიერება, წარმოების პროცესში მიწის რესურსების მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობა, ეს თავისებურებები გადამწყვეტ როლს

ასრულებენ წარმოების განლაგების, მისი ეფექტიანობის და მიწის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული დაცვის დროს. მიწა ერთ-ერთი მთავარი ეროვნული სიმდიდრეა რომელსაც განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა ესაჭიროება.

საქართველოს მიწის რესურსები მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება: სასოფლო-სამეურნეო ათვისების მაღალი დონით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით, რაც განაპირობებს მათი შენარჩუნების და არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენების შემცირების დონისძიებათა აუცილებლობას. ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის მიწაზე მზარდი მოთხოვნილების პირობებში, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებისა და დაცვის მრავალი ეკონომიკური და გეოგრაფიული პრობლემა მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს.

საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების დონე დამოკიდებულია ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ერთობლივ ზემოქმედებაზე. რთული მთლიანი რელიეფის პირობებში აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო და განსაკუთრებით, დამუშავებაში მყოფი მიწების შეზღუდულობა. დამუშავებაში მყოფი მიწების უმეტესი ნაწილის მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის მელიორაციული და ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების საჭიროება. ინტენსიური სავარგულების სიმცირე მთიან ზონაში განაპირობებს არსებული ფონდის ყოველმხრივი დაცვის და მისი არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესების აუცილებლობას.

ვარგისი მიწების დეფიციტს ასევე ასრულებს მთიანი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეროზიული პროცესები, რის გამოც ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს აკლდება გარკვეული ფართობები.

მიწის სავარგულები გამუდმებულ ცვლილებას განიცდის. საწარმოო ძალთა განვითარება მათი ტერიტორიული განლაგების არეალის გაფართოებას მოითხოვს. ეს გარემოება თავის მხრივ იწვევს მიწის

სავარგულების თანაფარდობის და მოსარგებლეთა შემადგენლობის შეცვლას. სავარგულების სტრუქტურას და მათი ხარისხის ტრანსფორმაციას ასევე განაპირობებს ახალი მიწების ათვისება, აქტიური მელიორაციული ღონისძიებები და სხვა. ამასთან ეროზიული პროცესები, მიწების დამლაშება და დაჭაობება, დატბორვა და სხვა არახელსაყრელი მოვლენები იწვევენ სავარგულების შემცირებას და მიწის ფონდის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუარესებას. ამრიგად, მიწის რესურსები განიცდიან განუწყვეტელ რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს.

თანამედროვე პირობებში, ტექნიკურ პროგრესთან და ურბანიზაციასთან დაკავშირებით, მიწის გამოყენების სტრუქტურის ცვლილებები აგრარულ მოთხოვნებს სცილდება.

გლობალურ მასშტაბში იზრდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება არა აგრარული საჭიროებისათვის, კერძოდ კი სამრეწველო და საბინაო მშენებლობისათვის, გზების, აეროდრომების, პიდრობიერების და სხვა ნაგებობებისათვის. პროგნოზების თანახმად, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და სურსათის უკმარისობის ერთ-ერთ არაპირდაპირ მიზეზად დარჩება. მსოფლიოში სურსათის დეფიციტის გამო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, არასაკმარისად იკვებება 450 მლნ, ხოლო ფაქტიურად შიმშილობს 75 მლნ ადამიანი. ზოგიერთი მეცნიერი-აგრარიკოსი, მიწის ფონდის სტრუქტურის შესწავლის დროს, აღნიშნავს რა სახნავი მიწის შემცირების პროცესს, უტოლებს მას “გაუდაბნოებას”.

ამრიგად, “გაუდაბნოება” იხილება ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე იგივე სახელწოდების ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესი. ამ ცნებაში იგულისხმება გარემოს ყოველგვარი შეცვლა, რომლის შედეგად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ტერიტორიების გარდაქმნა “უდაბნოებად” განიხილება, როგორც ეკოსისტემის დარღვევის შეუქცევადი პროცესი, გამოწვეული, როგორც კლიმატური, ისე ანთროპოგენური ფაქტორებით. ამ პროცესის ინდიკატორებად შეიძლება ჩაითვალოს დამუშავებაში მყოფი მიწების და პირუტყვის სულადობის შემცირება, მთიანი რაიონების ინტენსიური გაუკაცრიელება. სხვადასხვა მიზეზის გამო მიწების

გლობალური დაკარგვა მსოფლიოში წელიწადში 5-7 მლნ ჰექტარს უახლოვდება. ამის გარდა მიწა, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო, საწარმოო და კულტურული მიზნებისათვის საშუალოდ ერთ მცხოვრებზე მოდის 0,1 ჰექტარი; ეს წელიწადში 8-10 მლნ ჰექტარს შეადგენს. მომავალი 25-30 წლის განმავლობაში, არსებული პროგნოზების მიხედვით ნიადაგის შეუძლებელი განადგურება 700-800 მლნ ჰექტარს მიაღწევს. ამის გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შენარჩუნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მსოფლიო პრობლემად იქცა.

მიწის რესურსების ეკოლოგიური პრობლემები, საქართველოში მიმდინარე კრიზისის პირობებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს. ამასთან მხედველობაშია მისაღები საქართველოს მცირემიწიანობა და ნიადაგის ნაყოფიერების კატასტროფული შემცირება ფინანსური კრიზისის ფონზე. სავარგულების დიდი ნაწილი განიცდის ნიადაგის ეროზიას და დეფლაციას, სერიოზულ კომპლექსურ რეკონსტრუქციას მოითხოვს სარწყაფი მიწები. ნიადაგის ზედა ფენა დეგუმიფიკაციას განიცდის. მიწების პრივატიზაციამ გამოიწვია თესლბრუნვის დარღვევა, არ ტარდება აგროტექნიკური ლონისძიებები. ორგანული და მინერალური სასუქები მინიმალურად და ვადების დარღვევით გამოიყენება. არსებული ინფორმაციით ეროზიას განიცდის ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33 პროცენტი; ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოში სავარგულის ერთ ჰექტარიდან ირეცხება 100-300 ტონა ნიადაგი. დასავლეთ საქართველოში – 150-200 ტონა, რის გამოც დაბალინტენსიურ სავარგულებად იქცა 25 ათასი ჰექტარი, 20 ათასი კი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან ენერგოკრიზისის და უკონტროლობის გამო გაჩეხილმა ტყეებმა უფრო მეტად გააძლიერეს ქარისმიერი ეროზია. ნიადაგები დაბინძურებულია მძიმე ტოქსიკური ლითონებით.

ბოლო 7 წლის მანძილზე ეროზიის შედეგად მარტო სახნავი ფართობი 11 ათასი ჰექტარით შემცირდა. მთლიანად შეწყვეტილია კულტურულ-ტექნიკური და ჰიდროტექნიკური ლონისძიებების განხორციელება. გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ზოგიერთი სათიბის, ნასვენი მიწების ბუჩქნარის ამოძირების, ქვიშობების და ა.შ.

ათვისების ხარჯზე შესაძლებელია დამუშავებაში მყოფი მიწების გაზრდა. მიახლოებითი გაანგარიშებით, დახრილი ფერდობების საერთო ფართობი 1,5 მლნ ჰექტარს უახლოვდება. უმეტესობის ექსპოზიცია სამხრეთული და სამხრეთ-დასავლეთურია, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის ხეხილის და ვაზის გაშენებისათვის. ამ მიწების ათვისება შეიძლება დატერასების გზით. როგორც ცნობილია, ტერასები ამცირებენ ზედაპირული წყლების მოქმედებას, რაც საგრძნობლად ამაგრებს ნიადაგს. უნდა აღინიშნოს, რომ მიწების პრივატიზაციის პროცესში გლეხებმა ნაწილობრივ გააუმჯობესეს მიწათსარგებლობა და ბევრ ადგილას აითვისეს მცირე ზომის, ზოგჯერ დახრილი ნაკვეთები, რომელთა გამოყენება მსხვილი სახელმწიფო მეურნეობებისათვის არ იყო ხელსაყრელი.

საქართველოს მიწის ფონდი 2004 წლის მდგომარეობით 6949,4 ათას ჰექტარს შეადგენს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 43 პროცენტი უჭირავს, მათზე ცოტა მეტი ტყით და ბუჩქნარით დაფარული ფართობებია (43,2%). მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ქვეყანაში დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი, სახნავი მეტად მცირეა და 11,3 პროცენტს არ აღემატება.

საქართველოსათვის დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი დაქუცმაცებულობა სხვადასხვა ფორმის წვრილ ნაკვეთებად. სახნავის მიწის ფონდში ფართობის 2/3 5 ჰექტრამდე ნაკვეთებზე მოდის, მათ შორის ნახევარზე მეტს ერთ ჰექტარიანი ნაკვეთები შეადგენს.

მიწის წვრილკონტურიანობა ძირითადად განპირობებულია როტული რელიეფით, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელით, სამელიორაციო მიწათმოქმედების ზონაში საირიგაციო და სადრენაჟო ქსელების არსებობით, აგრეთვე სავარგულების დაუმუშავობის შედეგად ამ ფართობებზე ტყისა და ბუჩქნარების გავრცელებით.

6. კეპელიას მონაცემებით საქართველოს მიწათმოქმედების არეალის დახრილობათა გრადაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პირობების, ტექნიკის გამოყენების გათვალისწინებით, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: დამუშავებისათვის საუკეთესო პირობებისა 2<sup>0</sup>-იანი

დახრილობის მქონე ნაკვეთებზე სამიწათმოქმედო ტერიტორიის 42,3%, დამაკმაყოფილებელი –  $2^0$  –  $10^0$  – მდე (28,8%), ცუდი პირობებია –  $10^0$  –  $20^0$  – მდე ფერდობებზე (16,0%), ხოლო  $20^0$ -ზე ზემოთ განლაგებულ მიწებზე მიწათმოქმედება შეუძლებელია (12,9%).

საქართველოს მიწის ფონდების დინამიკაში შესწავლით გამოირკვა, რომ 1950 წლიდან დღემდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციის შედეგად დამუშავებაში მყოფი მიწების დიდი ნაწილი გადაყვანილია ნაკლებად ინტენსიურ სავარგულებში – დაბალპროდუქტიულ საძოვრებში, ხოლო გარკვეული ფართობები საერთოდ გამოითიშა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. ე.ი. გადაყვანილია სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწების კატეგორიაში.

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს გამოაკლდა 50 ათას ჰექტარამდე ფართობი. ამასთან არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ათვისებული იყო 150 ათას ჰექტრამდე სხვა მიწები, ანუ მთლიანად 200 ათასი ჰექტარი. საშუალოდ ყოველწლიურად არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენებოდა 4 ათასი ჰექტარი მიწა.

როგორც შესწავლილი მასალების ანალიზი ცხადყოფს (ცხრილი 2.2.1.), საკვლევ რაიონებში 1990-2004 წლებში მრავალწლიანი ნარგავების და სათიბების ფართობები შემცირების ტენდენციებით ხასითდება, ეს მაშინ როცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი, როგორც ქვეყნის, ისე საკვლევ რაიონების მიხედვით საანალიზო წლებში შესაბამისად – 42,8-დან-43,2-მდე და 52,7-დან-54,4 პროცენტამდე იზრდება.

**ცხრილი 2.2.1.**

**მიწის ფონდის სტრუქტურა 1990-2004 წლებში**

სავარგულების დასახელება	1990 წ.				2004 წ.			
	საქართველოში		მათ შორის		საქართველოში		მათ შორის	
			საკვლევ რაიონებში	საკვლევ რაიონებში			საკვლევ რაიონებში	საკვლევ რაიონებში
	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%
სახნავი	790,4	11,4	193,6	170	801,8	11,5	207,3	18,3
მრავალწლიანი ნარგ.	336,9	4,8	64,0	5,6	263,8	3,8	45,1	4,0
ნასვენი	6,0	0,1	0,4	0,03	-	-	0,18	0,01
სათიბი	156,2	2,2	4,6	0,4	143,8	2,1	3,0	0,29
საძოვარი	1688,1	24,3	335,9	29,7	1796,6	25,8	361,4	31,8
სას.სამ.	2977,5	42,8	598,5	52,73	3005,2	43,2	617	54,4
სავარგული								
ტყე	2843,3	40,9	348,3	30,72	2838,3	40,8	346,3	30,5
ბუჩქნარი	167,0	2,5	31,1	2,75	156,6	2,2	26,5	2,3
წყლის ქვეშ	118,5	1,7	18,7	1,6	167,8	2,5	19,6	1,7
გზების ქვეშ	110,2	1,6	21,8	1,9	257,1	3,7	30,3	2,7
შენობ. ქვეშ	54,1	0,8	16,5	1,5	96,8	1,4	15,5	1,3
სხვა მიწები	678,8	9,7	100,2	8,8	427,6	6,2	80,0	7,1
სულ მიწები	6949,4	100	1135,1	100	6949,4	100	1135,1	100

„ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და მიწის რესურსების და მიწის კადასტრის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

საკვლევ რაიონებში ეროზირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურისა და დინამიკის განხილვის შედეგად შემდეგი ტენდენციები ჩამოყალიბდა (ცხრილი 2.2.2).

**ცხრილი 2.2.2.**

**სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა საკვლევ რაიონებში 1990-2004წწ.**

სასოფლო- სამეურნეო სავარგულები	1990 წ.				2004 წ.				%-ით 2004-1990 წელთან შედარებით	
	საკვლევ რაიონებში		მათ შორის ეროვნიორებული		საკვლევ რაიონებში		მათ შორის ეროვნიორებული		საკვლევ რაიონებში	მათ შორის ეროვნიორებული
	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%		
სახნავი	193,6	32,3	80,1	53,0	207,3	33,6	94,0	52,4	107	117
მრავალწლიანი ნარჩ.	64,0	10,7	14,1	9,3	45,1	7,3	10,3	5,7	70,4	73
ბადი	3,5	0,6	0,3	0,1	3,5	0,5	0,3	0,2	100	100
ვენახი	54,5	9,1	8,8	5,8	39,4	6,5	6,0	3,3	72,2	68,2
სხვა მრავალწლ.ნარგავ.	6,0	1,0	5,0	3,4	2,2	0,3	4,0	2,2	183	80
ნასვენი	0,4	0,1	-	-	0,2	0,03	-	-	25,0	-
სათიბი	4,6	0,8	2,8	1,8	3,0	0,5	2,8	1,5	65,2	100
საძოვარი	335,9	56,1	54,2	35,9	361,4	58,6	72,5	40,4	108,3	133
სას.სამ.სავარგული	598,5	100	151,2	100	617,0	100	179,6	100	105,7	118,8

\*ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, მიწის რესურსების და მიწის კადასტრის დეპარტამენტის და ეროვნის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემის მონაცემების მიხედვით.

2004 წლის მდგომარეობით საკვლევი რაიონების 617 ათასი პექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან 179,6 ათასი პექტარი, ანუ 29,1 პროცენტი ეროზირებულ სავარგულებს უკავია. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია – თუ საშუალოდ საკვლევი რაიონების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში საკვებ-სავარგულების ხედრითი წილი 59,1 პროცენტია, ხოლო დამუშავებაში მყოფი მიწების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავი) – 40,9 პროცენტი, ეროზირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში აღნიშნული მაჩვენებლების თანაბარდობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია და შეადგენს, შესაბამისად – 42,0 და 78,1 პროცენტს. ეროზირებულ მიწებზე მაღალინტენსიური სავარგულების ასეთი მაღალი ხედრითი წილი კიდევ უფრო ნათელს ხდის თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას და ამ მიწების უფასო გამოყენების გზების ძიებას.

კვლევამ გვიჩვენა, რომ 1990 წლის მდგომარეობით ეროზირებული სახნავიდან (80,1 ათ.ჸა) სუსტად ეროზირებულია 51,6 პროცენტი (41,3 ათ.ჸა), საშუალოდ – 41,1 პროცენტი (33,0 ათ.ჸა), ხოლო ძლიერად – 7,3 პროცენტი (5,8 ათ.ჸა). 2004 წელს კი სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე – სუსტად ეროზირებული სახნავის ხედრითი წონა 16,2 პროცენტამდე (15,2 ათ.ჸა) შემცირდა, ხოლო საშუალოდ და ძლიერად ეროზირებულისა კი გაიზარდა, შესაბამისად – 49,3 (46,3 ათ.ჸა) და 34,5 (32,5 ათ.ჸა) პროცენტამდე. ანალოგიური სტრუქტურული ცვლილებები მოხდა საძოვრებში. საანალიზო წლებში ასეთი ტენდენციის ჩამოყალიბება შემთხვევითი არაა, ვინაიდან ქვეყანაში შექმნილი ცნობილი მიზეზების გამო ბოლო 7-10 წლების განმავლობაში ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ცნობილია, რომ მიწების ეროზიულ მოვლენებს და მისგან გამოწვეული უარყოფით შედეგებს ძირითადად საკვლევი რაიონების რელიეფი, ძლიერი ქარები, უხვი ნალექები და მათი მაღალი ინტენსივობა განაპირობებს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განლაგება ქანობების მიხედვით, როგორც ნიადაგების ეროვნის წარმოქმნისას საშიშროების ძირითადი წინაპირობა (ცხრილი 2.2.3)

### ცხრილი 2.2.3.

#### საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება ქანობების მიხედვით

სავარგულების დასახელება	ზომის ერთეული	შესწავლილი ფართობი	აქედან		
			0-10 <sup>0</sup> - მდე	10,1 <sup>0</sup> -15 <sup>0</sup> -მდე	15 <sup>0</sup> და ზევით
სახნავი	ათასი ჰა %	207,3 100	160,6 77,4	18,5 8,9	28,2 13,6
მრავალ- წლიანი ნარგავი	- -	45,1 100	36,1 80,0	6,5 14,5	2,4 5,5
მათ შორის: ბადი	- -	3,5 100	2,8 82,4	0,4 11,3	0,2 6,3
ვენახი	- -	39,4 100	36,6 93,1	1,7 4,4	1,1 2,5
დანარჩენი	- -	2,2 100	2,0 90,0	0,2 9,0	0,02 1,0
სათიბი	- -	3,0 100	0,5 15,0	0,5 17,0	2,0 68,0
საძოვარი	- -	361,4 100	119,3 33,0	46,3 12,8	195,8 54,2
სასოფლო- სამეურნეო სავარგული	- -	617,0 100	354,8 57,5	66,0 10,7	196,2 31,8

\*ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და მიწის რესურსების და მიწის კადასტრის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, სახნავი ფართობი 15<sup>0</sup> და მეტი დაქანებით შეადგენს 28,2 ათას ჰექტარს, ანუ შესწავლილი ფართობების 13,6 პროცენტს, მრავაწლიან ნარგავებში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად 2,4 ათას ჰექტარს და 5,5 პროცენტს, სათიბებში – 2,0 ათას ჰექტარს და 68,0 პროცენტს, საძოვრებში – 195,8 ათას ჰექტარს

და 54,2 პროცენტს, მაშინ როცა აღნიშნული დაქანების მქონე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი 31,8 პროცენტია.

საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბალეფექტიანად გამოყენების მიზეზები, სხვა ფაქტორებთან ერთად, 10-15<sup>0</sup>-მდე და 15<sup>0</sup> და ზევით ქანობებზე განლაგებულ სავარგულებში (რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 44 პროცენტზე მეტია) უნდა ვეძიოთ.

ეროზირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრისას დიდ მნიშვნელობას იძენს ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობის სტრუქტურა, რომელიც საანალიზო წლებში ზრდის, ხოლო მთლიანად საკვლევ რეგიონში შემცირების ტენდენციით ხასიათდება (ცხრილი 2.2.4) ხოლო ცვლილებები მოხდა ნათესი ფართობის სტრუქტურაშიც. თუ 1990 წელს ნათესი ფართობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი საკვებ კულტურებს და მარცვლოვან-პარკოსან ნათესებს ეკავა, 2004 წელს საკვლევ რაიონებში სულ და ეროზირებულ მიწებზე პრიორიტეტი მარცვლოვან-პარკოსანი და მზესუმზირის ნათესებმა დაიკავა. ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გაუტარებლობის გამო 1990-2004 წლებში ეროზირებულ მიწებზე ნათესი ფართობის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები კანონზომიერი ტენდენციის მიმართულებით ყალიბდებოდა.

ცხრილი 22.4

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობის სტრუქტურა 1990-2004 წლებში<sup>x)</sup>

კულტურების დასახელება	1990 წ.				2004 წ.			
	საკვლევ რაიონებში		მ.შ. ეროვნიობებული		საკვლევ რაიონებში		მ.შ. ეროვნიობებული	
	ათჟა	%	ათჟა	%	ათჟა	%	ათჟა	%
ხორბალი	47,5	24,8	25,0	45,4	48,0	34,1	33,6	47,1
ქერი-შვრია	17,2	9,0	15,8	28,7	11,2	8,0	7,8	10,9
სიმინდის მარცვ.	8,4	4,4	1,0	1,8	21,6	15,4	10,8	15,2
პარკოსანი (ლობიო)	3,6	1,9	0,2	0,4	2,9	2,1	1,1	1,5
მზესუმზირა	13,3	6,9	7,0	12,7	30,5	21,7	12,2	17,2
თამბაქო	3,4	1,8	0,8	1,4	0,1	-	-	-
კარტოფილი	1,2	0,6	-	-	3,8	2,7	0,7	0,9
ბოსტნეული	4,7	2,5	0,4	0,7	7,7	5,5	3,0	4,3
სასურსათო ბაღჩეული	1,9	1,0	0,7	1,3	5,3	3,7	2,1	2,9
ერთწლიანი ბაღაბ.	4,4	2,3	2,0	3,6	-	-	-	-
მრავალწლიანი ბაღაბ.	57,5	30,2	0,3	0,5	0,2	0,1	-	-
სხვა დანარჩენი	28,0	14,6	1,9	3,5	9,4	6,7	-	-
ნათესი ფართები	191,1	100	55,1	100	140,7	100	71,3	100

<sup>x)</sup>ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ამასთან საგულისხმოა, რომ რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო როგორც ქვეყნის ისე საკვლევი რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში თესლბრუნვები, როგორც არა მარტო მიწათმოქმედების აგროტექნიკური ელემენტი, არამედ მთელი სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მისი ეკონომიკის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობა, სამწუხაროდ ხელოვნურად იგნორირებულია.

საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ჯერ კიდევ არასასურველი დონე და მისი ამაღლების საკითხი თანამედროვე ეტაპზე მთელი სერიოზულობით დგება. ამასთან მისი გადაწყვეტა არ შეიძლება ერთი რომელიმე დონისძიების იზოლირებულად გატარების გზით. საჭიროა დონისძიებათა ისეთი კომპლექსის ურთიერთკავშირში და ურთიერთშეთანწყობილად გატარება, რომლებიც ერთად აღებული კულტურული მიწათმოქმედების სისტემის სახეს მიიღებს.

საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები (ცხრილი 2.2.5).

## ცხრილი 2.2.5

**სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონე 1990-2004 წლებში<sup>x</sup>**

ზომის ერთე- ული	1990 წ. საკვლევ რაიო- ნებში	1990 წ. როზირე- ბულ მიწებზე		2004 წ. საკვლევ რაიონ- ებში		%-ით 2004 წელს 1990-თან შედარებით	
		საკვლევ რაიო- ნებში	მიწებზე	საკვლევ რაიონ- ებში	როზირე- ბულ მიწებზე	საკვლევ რაიო- ნებში	როზირე- ბულ მიწებზე
1	2	3	4	5	6	7	8
ხორბალი	გ/ჰა	23,7	17,5	18,2	14,0	76,8	80
ქერი და შვრია	-	18,1	10,1	29,2	12,5	161	84,1

1	2	3	4	5	6	7	8
სიმინდი მარცვლით	-	21,7	16,0	28,7	20,0	132	125
ლობიო	-	6,7	3,4	9,0	5,0	134	147
თამბაქო	-	16,3	6,2	12,0	-	73,6	-
კარტოფილი	-	97,0	40,5	48,3	30	49,8	74,0
1	2	3	4	5	6	7	8
ბოსტნეული	-	92,7	43,3	69,6	40,0	75,1	92,3
მზესუმზირა	-	8,3	5,0	6,7	3,5	80,7	70
ბალჩული	-	235,2	122,1	160,0	100,0	68,0	82
ერთწლ.ბალ ახ.	-	22,5	10,8	12,7	-	56,4	-
მრავალწლ. ბალახ.	-	34,4	21,7	25,3	-	73,5	-
ხილი	-	48,8	23,0	34,5	19,1	70,6	83,0
ყურძენი	-	62,0	28,2	21,6	16,3	34,8	57,8
ერთი ფურის საშ.წლიური წველადობა	პპ.	1751	1115	960	710	54,8	-
ერთი ქათმის საშ.წლ.კვე რცხმდებ- ლობა	ცალი	162	141	170	118	104	-
მიღებულია ყოველ 100 ფურზე ხბო	სული	86	66	89	58	103	-
მიღებულია ყოველ 100 ნეზგზე გოჭი	-	600	444	909	527	151	-
მიღებულია ბატქანი ყოველ 100 დედაცხვა- რზე	-	108	88	133	97	-	-
მიღებულია მატყლი საშ.ერთ ცხვარზე	პპ	3,3	2,6	2,9	1,8	-	-

-----  
 \*ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს  
 და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ როგორც საკვლევ რაიონებში, ისე ეროვნიულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონე დაბალია და საანალიზო წლებში (გარდა მარცვლოვან-პარკოსანი კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობისა – საკვლევ რაიონებში და სამარცვლე სიმინდისა, ლობიოსა და თამბაქოსა-ეროვნიულ მიწებზე) შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც ჩვენი აზრით ქვეყანაში აგრარული რეფორმით გათვალისწინებული მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური და ორგანიზაციული (ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელი) პროცესების შედეგია. ამასთან ვინაიდან საკვლევ რაიონებში ეროვნის საწინააღმდეგო ლონისძიებებში არ განხორციელებულა და ამის გამო შეიძლება ითქვას ეს პროცესი უფრო პროგრესირდებოდა, თავისთავად ცხადია, რომ საანალიზო წლებში ეროვნიულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირების ტენდენცია კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

საკვლევ რაიონებში მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ობიექტური შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს ყოველი 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პორტფელის წარმოების დონე წარმოადგენს, რომლის შესახებ მონაცემები მოყვანილია 2.2.6 ცხრილში.

ცხრილი 22.6

**სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების დონის მაჩვენებლები 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო  
საგარეულზე გაანგარიშებით<sup>x)</sup>**

	წლები	სოფლის მეურნ. მთლიანი პროდუქც.ათ.ლ.	% მემკენა- რეობა	მათ შორის				მოდის 100 ჰა. სას. სამ. საგარეულზე		
				მემკენა- რეობა	%	მეცხო- ველეობა	%	სოფლის მეურნ. მთლიანი პროდუქც. ათ.ლ.	მათ შორის	
				მემკენარეობა	მეცხოველეობა			მემკენარეობა	მეცხოველეობა	
საკვლევ რაიონებში	1990	546,9	100	378,3	69,2	168,6	30,8	93,7	64,8	28,9
	2004	332,9	100	192,9	57,9	139,9	42,0	54,0	31,2	22,6
ეროზირე- ბულ მიწებზე	1990	91,2	100	54,9	60,2	36,3	39,8	60,5	36,4	24,1
	2004	55,4	100	26,7	48,2	28,7	51,8	30,9	14,9	16,0

<sup>x)</sup>ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო  
სავარგულზე გაანგარიშებით 1990-2004 წლების მონაცემებით,  
ეროზიორებულ მიწებზე საშუალოდ საკვლევი რაიონების შესაბამის  
მაჩვენებელზე დაბალია. ამასთან, გასაგები მიზეზების გამო, საანალიზო  
წლებში ეს მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. აქედან  
გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ რაიონებში სასოფლო-  
სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია მიღწეული  
იქნას, რიგ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად,  
ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსურად განხორციელების  
გზით.

დიდი გარდაქმნის, დიდი რეფორმის პოლიტიკური, ეკონომიკური,  
ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტების არასწორად  
წარმართვამ ქვეყნის ეკონომიკა უმაგალითო კრიზისამდე მიიყვანა. ჩვენ  
ვიზიარებთ იმ მეცნიერთა მოსაზრებებს (3.68.57), რომლებსაც მიაჩნიათ,  
რომ დიდი რეფორმა, მსხვილმასშტაბიანი გარდაქმნა უნდა დაწყებულიყო,  
უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობაში. სასურსათო კომპლექსის  
ნორმალური ფუნქციონირება საფუძვლად უნდა დადებოდა მომავალ  
რადიკალურ რეფორმებს.

საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმის პირობებში  
შეიძლება გამოიყოს მიწის რეფორმის შემდეგი ეტაპები: პირველ ეტაპზე  
სამართლიანად გაკეთდა აქცენტი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების  
შევსებასა და მათ მთლიანად კერძო საკუთრებაში გადაცემაზე. მეორე  
ეტაპზე მიმდინარეობდა მიწების განაწილება – გადანაწილების,  
საზღვრების დადგენის და გამიჯვნის და რიგ სხვა მიწათმოქმედების  
აუცილებელი სამუშაოები. მესამე ეტაპი მოიცავს საადგილმამულო  
ურთიერთობის ეკონომიკური რეგულირების მექანიზმის შექმნას, მიწის  
ბაზრის ფორმირებას, სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალურად  
გამოყენებისათვის მიწაზე პროგრესული გადასახადის შემოღებას და ა.შ.

მართალია მიწის რეფორმის პირველი ეტაპი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 იანვრის, 6 თებერვლის და 20 მარტის დადგენილებებით მიმდინარეობდა, მაგრამ მიწის რეფორმის კანონიერ საფუძველზე განხორციელება შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ 1996 წლის აპრილის შემდეგ, როდესაც მიღებული იქნა კანონები „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“.

2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოში მცხოვრებ მიღიონამდე კომლს საკუთრებაში გადაეცათ 964 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, მათ შორის 767,3 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათი საერთო რაოდენობის 25,3 პროცენტი, აქედან სახნავი ფართობის საერთო მოცულობის (438,5 ათ.ჸა) 54,7 პროცენტი, მრავალწლიანი ნარგავების (181,8 ათ.ჸა) 68,9 პროცენტი, სათიბების (44,0 ათ.ჸა) 30,5 პროცენტი და საძოვრების (84,5 ათ.ჸა) 4,7 პროცენტი. პრივატიზებულია ინტენსიური სავარგულების 58,2 პროცენტი, ანუ 620,3 ათასი ჰექტარი. (ცხრილი 2.2.7)

ამავე პერიოდისათვის იჯარით გაცემულია 825,0 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათი საერთო რაოდენობის 27,3 პროცენტი, მათ შორის სახნავი – 263,8 ათასი ჰექტარი, ანუ 32,9 პროცენტი, მრავალწლიანი ნარგავი – 30,5 ათასი ჰექტარი, ანუ 11,6 პროცენტი, სათიბი – 27,8 ათასი ჰექტარი, ანუ 19,3 პროცენტი, საძოვარი – 487,5 ათასი ჰა, ანუ 27,1 პროცენტი.

საკვლევ რაიონებში ამავე პერიოდისათვის კერძო საკუთრებაში გადაეცა საქართველოში პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (767,3 ათ.ჸა) 17,3 პროცენტი (132,5 ათ.ჸა), მათ შორის სახნავის – 21,8 პროცენტი (95,5 ათ.ჸა), მრავალწლიანი ნარგავების – 19,4 პროცენტი (35,2 ათ.ჸა), სათიბის – 1,3 პროცენტი (0,6 ათ.ჸა), საძოვრის – 75,5 პროცენტი (63,8 ათ.ჸა), ხოლო იჯარით გაცემული მიწების ხვედრითი წილი, როგორც საკვლევი რაიონების სავარგულებში (10,6%), და ასევე საქართველოში იჯარით გაცემულ მიწებში (80%) ძალზე დაბალია. დაბალია აგრეთვე ეროზირებული მიწების საკუთრებაში გადაცემული

(13,0%) და იჯარით გაცემული (1,0%) ხვედრითი წილი. საკუთრებაში გადაცემულია 100,2 ათასი პექტარი ეროზირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან 55,2 ათასი პექტარი, ანუ 55,1 პროცენტი სახნავზე, 2,7 ათასი პექტარი, ანუ 2,7 პროცენტი მრავალწლიან ნარგავებზე მოდის. იჯარით გაცემული ეროზირებული სასოფლო სამეურნეო სავარგულებიდან (9,5 ათ.ჸ), სამოვარზე მოდის 6,4 ათ.ჸ, ანუ 67,4 პროცენტი, სახნავზე – 2,1 ათასი ჸა, ანუ 22,1 პროცენტი, ხოლო მრავალწლიან ნარგავებზე – 1,0 ათასი პექტარი, ანუ 10,5 პროცენტი.

ცხრილი 22.7

საკუთრებაში და იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო საგარგულები 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

საგარგულების დასახელება	ზომის ერთე- ული	საქარ- თვე- ლოში	საკვლევ რაიონ-ნებში	მ.შ. ეროზირე- ბულ მიწებზე	ხვედრითი წილი %-ით საქართველოს მიმართ		
					საქართველო	საკვლევი რეგიონი	ეროზირე- ბულ მიწებზე
1	2	3	4	5	6	7	8
სას.სამ. საგარგული სულ	ათასი	3025,8	617,0	179,3	100	20,4	5,9
მ.შ. გაცემულია საკუთრებაში ხვედრითი წილი	ათასა % %	767,3 25,3	132,5 21,4	100,2 55,8	100 -	17,3 -	13,0 -
გაცემულია იჯარით ხვედრითი წილი	ათასა % %	825,0 27,3	65,9 10,6	9,5 5,2	100 -	8,0 -	1,0 -
სახნავი სულ	ათასა	801,8	207,3	94,0	100	25,8	11,7
მ.შ. გაცემულია საკუთრებაში ხვედრითი წილი	ათასა % %	438,5 54,7	95,5 46,0	55,2 58,7	100 -	21,8 -	12,5 -
გაცემულია იჯარით ხვედრითი წილი	ათასა % %	263,8 32,9	6,6 3,1	2,1 2,2	100 -	2,5 -	0,7 -



1	2	3	4	5	6	7	8
მრავალწლიარგავი სულ	ათჰა	263,8	45,1	10,3	100	17,0	3,9
გ.პ. გაცემულია საკუთრებაში ხვედრითი წილი	ათჰა %	181,8 68,9	35,2 75,3	2,7 26,2	100 -	19,4 -	1,5 -
გაცემულია იჯარით ხვედრითი წილი	ათჰა %	30,5 11,6	1,2 3,4	1,0 9,7	100 -	3,9 -	5,5 -
სათიბი სულ	ათჰა	143,8	3,0	2,8	100	2,0	1,9
გ.პ. გაცემულია საკუთრებაში ხვედრითი წილი	ათჰა %	44,0 30,5	0,6 2,0	- -	100 -	1,3 -	1,3 -
გაცემულია იჯარით ხვედრითი წილი	ათჰა %	27,8 19,3	0,4 13,3	- -	100 -	1,4 -	- -
საძოვარი სულ	ათჰა %	1796,6	361,4	72,5	100	20,1	4,0
გ.პ. გაცემულია საკუთრებაში ხვედრითი წილი	ათჰა %	84,5 4,7	63,8 17,6	- -	- -	75,5 -	- -
გაცემულია იჯარით ხვედრითი წილი	ათჰა %	487,5 27,1	8,0 2,2	6,4 1,3	100 -	1,6 -	1,3 -

## 2.3. დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების თავისებურებები ეროზირებულ მიწებზე

საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, თავისი კუთვნილი ადგილი, რომ დაიმკვიდროს საერთაშორისო მეგობრობაში და გახდეს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედი, საჭიროა უკეთ დღევანდელ ეტაპზე დაისახოს განსაზღვრული სტრატეგია, რომლის მიზანმიმართული შესრულების შედეგად მიღწეული იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. უპირველესი საკითხი, რომელიც ამ შემთხვევაში წამოიჭრება, არის საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. მომგებიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციებისადმი მხარის აბმით. საქართველოს ეკონომიკის ორიენტაცია უნდა ჰქონდეს აღებული ისეთ დარგებზე, რომლებიც ნაკლებ ფიზიკურ რესურსებს მოითხოვს. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა განსაზღვრული იქნას გრძელვადიანი და მოკლევადიანი პრიორიტეტები, როდესაც მოკლევადიან პრიორიტეტზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გათვალისწინებული იქნეს სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ადრეულ წარსულში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში.

ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. 1990 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება ხდებოდა არა მოსახლეობის საკუთარი წარმოების სასურსათო რესურსებით უზრუნველყოფის, არამედ ბუნებრივ-სამეურნეო პირობების, ყოფილი საბჭოთა კავშირის სასურსათო რესურსების ფორმირებაში მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების გზით.

როგორც 1990 წლამდე პერიოდის ანალიზი ცხადყოფს, სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული ხასიათის მიმართულება მიიღო. ჯერ ერთი, გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომელიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაზე. ეს დარგებია: მევენახეობა და მის ბაზაზე მომუშავე დვინის მრეწველობა, მეხილეობა და მეციტრუსეობა და მის ბაზაზე მომუშავე საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და მის ბაზაზე მომუშავე ჩაის მრეწველობა; მეორე მხრივ ცალკე დაჯგუფდა სასურსათო მნიშვნელობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მარცვლეულის მეურნეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, ტექნიკური და საკვები კულტურების წარმოება და სხვა.

განვლილ პერიოდში სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, შეიმჩნეოდა რიგი სერიოზული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- წარსულში სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საკავშირო მოთხოვნების გათვალისწინებით, რის გამოც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მცირდებოდა ერთი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობი და იზრდებოდა სხვა სახის კულტურის ფართობი, რომლის დროსაც სრულიად იგნორირებული იყო ცალკეული რესპუბლიკის კონკრეტული მოთხოვნები. აღნიშნულის შედეგი იყო ის, რომ მეტისმეტად შემცირდა ქვეყანაში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი (1940 წელთან შედარებით 1990 წელს იგი 748,4 ათ. ჰა-დან 269,8 ათ. ჰა-მდე შემცირდა). ამასთან მარცვლეულის ნათესებისა და მთლიანი წარმოების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მრავალწლიანი კულტურების არასწორი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი გაადგილება გახდა. კერძოდ, აგროტექნიკით დასაშვები დახრილობისა და სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, წლების განმავლობაში დაბალმოსავლიანი მრავალწლიანი პლანტაციების ამოძირკვისა და

მის ადგილზე ახალი ნარგავების გაშენების ნაცვლად, მათი გაშენება ხდებოდა ვაკე, შედარებით მაღალნაყოფიერ, გამასივებული, ერთ დროს მარცვლეულის უხევმოსავლიან ნაკვეთებზე.

- ზემდგომ ორგანოთა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის გამო, მათი უხეში ჩარევის შედეგად, ფაქტიურად არც ერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო არ იყო დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში. მუშაობისას ასეთმა სტილმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობას.
- შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ფორმებისა და მეთოდების პერიოდულმა ცვალებადობამ გლეხს დაუკარგა რწმენა და სტიმული შრომის შედეგებისადმი.
- ზემოაღნიშნული მიზეზების შედეგია ის, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ დაბალი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაჩვენებლები. 1986-1990 წლების საშუალო მონაცემებით საქართველოში მარცვლელის მოსავლიანობამ 24,4, ხილის – 38,6, ყურძნის – 43,1 ცენტნერი, ხოლო ფურის საშუალო წველადობამ – 1108 კგ, კვერცხმდებლობამ – 138 ცალი შეადგინა.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა ქვეყანაში 1990 წლიდან ცნობილი მოვლენების გამო. აგრარული რეფორმის პირობებში რიგი დაუსაბუთებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად სოფლის მეურნეობის დარგობრივმა სტრუქტურამ სტიქიური ხასიათი მიიღო. მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების თვითდაკმაყოფილებისა და თვითგადარჩენის მიზნებიდან გამომდინარე მარცვლეულის, ტექნიკური და ბოსტნეულ-ბალჩეულის წარმოება უპირველესად ფერმერულ მეურნეობებში განვითარდა. ეს გასაბებიცაა, ვინაიდან აღნიშნული კულტურების პროდუქციის წარმოების განვითარება ხდება არა მარტო მოსახლეობის მოთხოვნილების ამ პროდუქტებით დაკმაყოფილება, არამედ მცირდება ქვეყნის გარედან შემოტანილი მარცვლეულის და სხვა პროდუქტების ოდენობა და აქედან მის შესასყიდად გათვალისწინებული ვალუტის

გატანის ოდენობა, რაც ხელს შეუწყობს საგარეო-სავაჭრო ბალანსის ერთგვარ გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების ამოცანებიდან გამომდინარე სამომავლოდ სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს ქვეყნისა და საერთაშორისო შრომის დანაწილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს თავისებურებათა შესაბამისად, კურსი აღებული უნდა იქნეს არა მარტო უფრო შემოსავლიან მევენახეობა-მეღვინეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის დარგზე, არამედ მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული შეთანასწორობისა და პროპორციების დაცვაზე. აღნიშნული და რიგი სხვა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის სასურსათო პოტენციალის მართვის ერთიანი სრულყოფილი, კომპლექსური სისტემის შემუშავებით და ამოქმედებით, რომლის მარეგულირებელი რთული ფუნქცია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე აგრარული რეფორმები, სოციალურ-ეკონომიკური ძირეული გარდაქმნები და რაც მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებების განხორციელება კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობას იძენს რეგიონალურ ჭრილში.

ამდენად, სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების სწორი და რაციონალური გაადგილების საფუძველზე ყალიბდება ამა თუ იმ რეგიონის (მხარის) შესატყვისი სპეციალიზაციის ხასიათი და მიწის, შრომით და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დამოკიდებულება.

ცნობილია, რომ საქართველოს ზონალური სპეციალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულია დიდი და მასშტაბური სამუშაოები, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა, საპატიო აკადემიკოსმა პ. ჟდენტმა, ბოლო წლებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, რომელსაც აკადემიკოსები ვ. ბურკაძე და ო. ქ. შელაშვილი ხელმძღვანელობდნენ გამოყოფილია საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა 6 ქვეზონით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას,

რომ აღნიშნული ზონების და ქვეზონების გამოყოფისას ტექტონომეტრიულ ერთეულად მიღებულია ადმინისტრაციული რაიონი, ცხადია ასეთნაირად გამოყოფილი ზონები სრულად ვერ ასახავს მასში შემავალ ცალკეული რაიონის და მით უფრო ცალკეული საწარმოს თავისებურებებს, ხშირად ადმინისტრაციული რაიონის შიგნით გვხვდება ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური პირობები, რაც დიდ გავლენს ახდენს დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა კახეთის რაიონებში, სადაც ზემოაღნიშნული თავისებურებები ყველაზე მეტად სწორედ აქ ვლინდება.

ნიშანდობლივია, რომ აგრარული რეფორმის გარდამავალ ეტაპზე, სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ძირებით გარდაქმნებისა და რაც მნიშვნელოვანია, მეურნეობის ახალი ურთიერთობების პროცესში, სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის დონისძიებების დამუშავება და განხორციელება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

სპეციფიკურმა ბუნებრივმა პირობებმა, სოფლის მეურნეობის გაძლიერების ისტორიულად ჩამოყალიბებულმა კულტურამ, აგრეთვე ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ე.წ. საერთო-საკავშირო მოთხოვნებმა, რასაც ყოფილი საბჭოური პოლიტიკა განსაზღვრავდა, ჩვენი ქვეყნის მსგავსად კახეთის პირობებშიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციას თავისებური და მრავალდარგობრივი ხასიათი მისცა. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ქვეყანაში დრმად სპეციალიზირებული რაიონები კახეთის მხარეშიც ჩამოყალიბდა.

საკვლევი რაიონების სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის (ცხრილი 2.3.1) ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 1990-2004 წლებში მან გარკვეული ცვლილებები განიცადა, თუ 1990 წელს საკვლევი რაიონების დარგობრივ სტრუქტურაში მევენახეობას (41,1%) ეკავა, 2004 წლისათვის მისი ხელდრითი წილი 27,5 პროცენტამდე შემცირდა. მნიშვნელოვნად შეიცვალა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის თანაფარდობა, კერძოდ, 1990 წელს არსებული თანაფარდობა (შესაბამისად – 69,2 და 30,8 პროცენტი) 2004 წელს შეიცვალა და

შეადგინა, შესაბამისად – 54,9 და 36,3 პროცენტი; მიუხედავად ამისა საანალიზო წლებში პრიორიტეტი კვლავ მემცენარეობისა და მეცხოველეობის სასურსათო დარგებს მიეკუთვნება.

### ცხრილი 2.3.1

#### სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა 1990-2004 წლებში<sup>x</sup>

კულტურების და დარგების დასახელება		საკვლევ რაიონებში				ეროზირებულ მიწებზე			
		1990წ.		2004წ.		1990წ.		2004წ.	
		მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
	1	2	3	4	5	6	7	8	9
I	მემცენარეობა	378,3	69,2	192,8	57,9	54,9	60,2	26,7	48,2
	მარცვლეული	71,8	13,1	56,8	17,1	16,9	18,5	6,0	10,8
	ბოსტნ. ბაღჩეული	2,2	0,4	28,0	8,4	0,7	0,8	3,3	6,0
	ხილი	17,2	3,2	7,2	2,1	3,1	3,4	0,2	0,4
	ყურძენი	224,8	41,1	41,8	12,6	25,0	27,5	8,5	15,3
	საკვლები კულტურები	12,5	2,2	24,2	7,2	3,7	4,0	5,2	9,4
	მემცენარეობის სხვა დარგები	49,8	9,1	34,8	10,5	5,5	6,0	3,5	6,3

	1	2	3	4	5	6	7	8	9
II	მეცხოველეობა	168,6	30,8	139,9	42,1	36,3	39,8	28,7	51,8
	მესაქონლეობა	18,3	3,3	86,3	25,9	7,1	7,8	10,0	18,1
	მეღორეობა	32,6	6,0	28,7	8,6	18,0	19,7	11,2	20,2
	მეფრინველეობა	7,0	1,3	16,3	4,8	2,1	2,3	6,0	10,8
	მეაბრეშუმეობა	1,2	0,2	-	-	-	-	-	-
	მეცხოველეობის სხვა დარგები	109,5	20,0	8,6	2,5	9,1	10,0	1,5	2,7
III	სულ სოფლის მეურნეობა	546,9	100	332,7	100	91,2	100	55,4	100

-----  
\*ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

შედარებით განსხვავებული დარგობრივი სტრუქტურით არის წარმოდგენილი საკვლევი რაიონების ეროზირებული მიწები. 1990 წლისათვის თუ აქ წამყვანი ადგილი მევენახეობის (27,5%), მეღორეობის (19,7%) და მარცვლეულის (18,5%) პროდუქციას ეკავა, 2004 წლისათვის პრიორიტეტი მეღორეობის (20,2%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (18,1%) დარგებს მიენიჭა. ყოველივე ამის შედეგად რადიკალურად შეიცვალა მემცნარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის თანაფარდობაც. კერძოდ, მეცხოველეობის დარგის ხვედრითი წილი 39,8%-დან (1990წ.) 51,8 პროცენტამდე (2004წ.) გაიზარდა. ეროზირებულ მიწებზე ამგვარი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება შემთხვევითი არაა. საქმე იმაშია, რომ ეროზის საწინააღმდეგო დონისძიებების გაუტარებლობის გამო საგრძნობლად იკლო ინტენსიური დარგების განვითარებამ, ამიტომ ბუნებრივი საკვებ-სავარგულების და დაუმუშავებელი და გამოუყენებელი ინტენსიური სავარგულების ხარჯზე ამ მიწებზე მეცხოველეობის დარგების განვითარების ტენდენციები

გამოიკვეთა. თუ წარსულში კახეთის მხარის ყველა (8) ადმინისტრაციულ რაიონს მკვეთრად გამოკვეთილი სამრეწველო მევენახეობა – მეღვინეობის მიმართულება ახასიათებდა, ამჟამად, იგი უფრო გამოკვეთილად მხოლოდ გურჯაანის (28,2%) და თელავის (27,7%) რაიონებშია წარმოდგენილი, ხოლო დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ყვარელის და ახმეტის რაიონები უპირველესად მარცვლეულ-მეცხოველეობის, ტექნიკური და ბაღჩეული კულტურების პროდუქციის მწარმოებლები არიან. ამასთან დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონებში წმინდა მარცვლეულ-მეცხოველეობისა და მზესუმზირას მწარმოებლები არიან, ხოლო ლაგოდეხი ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების პროდუქციის დრმა სპეციალიზირებული რაიონი გახდა.

კახეთის მხარის სოფლის მეურნეობის, ამჟამად ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურა გარკვეული დროის მანძილზე შენარჩუნებული იქნება, სანამ ყოფილი ბაზრების დაბრუნების ან ახალი ბაზრების მოძიების გზით, საჭირო მოთხოვნების შესაბამისად, არ აღდგება მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესაბამისი მასშტაბები და არ მოხდება თავისუფალი საბაზრო ფასების რეგულირების მექანიზმის ამჟამება, რომელმაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, განსაკუთრებით ყურძენზე, ფასწარმოქმნის კონტურები დასაშვებ საზღვრებში უნდა მოაქციოს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ეროზირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის, ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კაპიტალური დაბანდებები, რაც შემდეგი მონაცემებით დასტურდება. 1976-1990 წლებში ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალის თითქმის მეოთხედი სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა, რომელთაგან 90 პროცენტამდე მიმართული იყო საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე და ტექნიკის შეძენაზე. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (52,5%) მელიორაციულ და ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებებზე, მელიორირებული და ეროზირებული მიწების ათვისებაზე და წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობაზე იხარჯებოდა. ამ პერიოდში 76

ათას პექტარზე განხორციელდა ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებები, ნიადაგის ათვისებისა და გაკულტურების დონისძიებები ჩატარდა 214 ათას პექტარზე, 13,2 ათას პექტარზე გაშენდა მინდორსაცავი ტყის ზოლები, ეროზირებული ფართობები გატყევდა 46,6 ათას პექტარზე და სხვა. აღნიშნული დონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი (12-15%) განხორციელდა საკვლევ რაიონებშიც.

1990 წლიდან დღემდე ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ეროზიისაგან მიწების დაცვისა და ათვისების დონისძიებები, სახსრების უქონლობის გამო, ან საერთოდ არ ტარდებოდა, ან ძალზე მცირე მოცულობით ხორციელდებოდა. თუ ასე გაგრძელდა, საშიში გეოლოგიური პროცესების გავრცელების მასშტაბების განვითარებამ სოფლის მეურნეობას შეიძლება აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს. როგორც ირკვევა ეროზიისაგან მიწების დაცვისა და ათვისებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გარეშე (რომელიც უშუალო მონაწილეობას ღებულობს ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნაში) როგორც მთლიანად საქართველოში, ისე საკვლევ რაიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია.

ამრიგად, საკვლევ რაიონებში საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების დროს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის საკითხები უნდა იდგეს ყურადღების ცენტრში. ამჟამად, როდესაც ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს ძველი სტრუქტურების რდვევისა და აქედან გამომდინარე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების პროცესი, სადაც მელიორაციასთან ერთად, ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია, დარგობრივი სტრუქტურის საკითხების მეცნიერული გადაწყვეტა უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა მიზნობრივ, სწორ და ეფექტურ გამოყენებას.

როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შერჩევისა და შემადგენლობის განსაზღვრა უმეტესწილად დამოკიდებულია ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების კომპლექსზე, მაგრამ თუ არ გამოიყოფა

კაპიტალური დაბანდებები ეროვნირებული მიწების გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის, თავისთავად ცხადია, რომ ამ მიწებზე დარგებისა და კულტურების შერჩევა, განლაგება და რაც მთავარია მათ წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობა საკმაოდ დაბალი იქნება.

## 2.4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების და შრომითი რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

ძირითადი საწარმოო ფონდები მიწასთან ერთად ქვეყნის ნივთობრივი სიმდიდრის უმნიშვნელოვანების საფუძველს წარმოადგენს. მათ რაოდენობრივ-ხარისხობრივ სტრუქტურაზე და გამოყენებაზე დიდადაა დამოკიდებული აგრარული წარმოების ეფექტიანობა.

ბუნებრივი რესურსები (მიწა, წყალი, ტყე და სხვ.) ნებისმიერ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში საზოგადოების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი მუდმივი და აუცილებელი პირობაა, მაგრამ იგი არ წარმოადგენს შრომის პორდუქტს, ამიტომ არა აქვს დირებულება და აღირიცხება მხოლოდ ნატურალურ მაჩვენებლებში. ადამიანის შრომით შექმნილი წარმოების საშუალებები კი ხასიათდება ღირებულებით და აღირიცხება როგორც ნეიტრალურ, ისე ფულად ერთეულებში.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების საშუალებების ცნება საერთოა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის, მათ ეკონომიკურ შინაარს და გამოყენების ხასიათს განსაზღვრავს ესა თუ ის ეკონომიკური წყობა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ სოციალიზმის პირობებში ძველი კატეგორიების ნაცვლად წარმოიშვა ახალი კატეგორიები: მუდმივი კაპიტალის კატეგორია შეიცვალა საწარმოო ფონდების კატეგორიით, ძირითადი კაპიტალის – ძირითადი ფონდების, ხოლო საბრუნავი კაპიტალის – საბრუნავი ფონდების კატეგორიით. (3.2.13).

ძირითადი ფონდები წარმოებას ემსახურება ხანგრძლივი დროის მანძილზე, ინარჩუნებს თავის ნატურალურ ფორმას და მოხმარებით ღირებულებას, მონაწილეობს წარმოების პროცესში და თავისი ღირებულება გადააქვს ახლად შექმნილ პროდუქტზე ნაწილ-ნაწილ, მათი ცვეთის შესაბამისად. საბრუნავი ფონდები მთლიანად მოიხმარება წარმოების პროცესში, წარმოების ერთ პერიოდის მანძილზე და მათი ღირებულება შედის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯებში.

სოფლის მეურნეობის სპეციფიკა და მისი საწარმოო ურთიერთობა არსებით გავლენას ახდენს ამ დარგში ძირითადი საწარმოო ფონდების ფორმირებაზე, გამოყენებაზე და ეფექტიანობაზე. როგორც ცნობილია, აქ წამყვან როლს ასრულებს მიწა, რომელიც სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი საშუალებაა და წარმოადგენს არა ადამიანის შრომის პროდუქტს, არამედ ბუნების პროდუქტს.

ძირითადი საწარმოო ფონდების მთავარი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ფუნქციონირების პროცესში ისინი მიწაზე მოქმედებას, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ზომით ახდენენ.

ძირითადი ფონდების კვლავწარმოების პროცესი განსაზღვრავს მათ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას. კლავწარმოების კანონის მიხედვით ნორმალური ეკონომიკური ვითარების პირობებში ძირითადი საწარმოო ფონდების დირებულება სრულად უნდა იქნეს აღდგენილი, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ და თანმიმდევრულ ტექნიკურ განახლებას. ამასთან თუ ძირითადი ფონდების მარტივი კვლავწარმოება შეიძლება მოხდეს ამორტიზაციის სახსრების ანგარიშზე, გაფართოებული კვლავწარმოებისათვის საჭიროა დამატებითი დაბანდებები, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს საკუთარი ან მოზიდული სახსრები, მოგების ან კრედიტის სახით.

ქვეყანაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ყველაზე მეტად აგრარული სექტორი დააზარალა, აგრარული სექტორის ტრანსფორმაცია საანალიზო პერიოდში მიმდინარეობს სტიქიურად, რამაც საგრძნობლად შეაფერხა ამ სფეროში საბაზრო პრინციპების დამკვიდრება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მარტო მიწების პრივატიზაციით ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების ეფექტური გამოყენებისათვის ეკონომიკური მოტივაციის მექანიზმი. მიწის საკუთრება დღემდე მხოლოდ უფლებრივ კატეგორიად რჩება. მას მესაკუთრისათვის არ მოაქვს მოგება. სახეზე გვავქს საწარმოო პოტენციალის გამოყენების დაბალი დონე, ძირითადი კაპიტალის ფიზიკური და მორალური ცვეთის მკვეთრი ზრდა, ინვესტიციების მოზიდვის და გამოყენების უკიდურესად დაბალი დონე.

ვინაიდან ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურის ფორმირება ძირითადად მიზნობრივი მიმართულებით გამოყენებული კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურით განისაზღვრება, საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების უფექტიანობის დასახასიათებლად გამოვიყენეთ მაჩვენებელთა სისტემა, რომლის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები (ცხრილი 2.4.1)

#### ცხრილი 2.4.1

**საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები  
1990-2004 წლებში**

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	1990წ.	2004წ.	%-ით 2004 წელს 1990 წელთან შედარებით
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები	მლნ.ლარი	950,8	707,8	25,6
სასოფლო-სამეურნეო სავარგული	ათასი ჰა	598,5	617,0	103,1
სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხვი	ათასი კაცი	189,7	146,0	23,0
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება	მლნ. ლარი	546,9	332,7	39,0
ფონდურუნველყოფა (100 ჰა)	ლარი	1588	1147	27,8
ფონდშეიარაღება	ლარი	5012	4848	3,3
მოდის მთლიანი პროდუქცია	ლარი			
ა) 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე	ლარი	91,4	55,6	39,2
ბ) ძირითადი ფონდების ერთეულზე	ლარი	0,57	0,47	17,8
გ) ერთ დასაქმებულზე	ლარი	2883	2278	21,0

ძირითადი საშედეგო მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საანალიზო წლებში მათი ცვლილებები გარკვეულ კანონზომიერებებთან არის დაკავშირებული. გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ თუ 1990 წელს სასოფლო-სამეურნეო ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელი 1588 ლარს შეადგენდა, 2004 წლისათვის ის 1147 ლარამდე შემცირდა, შესაბამის პერიოდში ასევე შემცირებულია ფონდშეიარაღების მაჩვენებლები (5012-დან 4848 ლარამდე). როგორც ჩანს საანალიზო წლებში სახეზეა ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფისა და შრომის ფონდშეიარაღების რაოდენობრივი მაჩვენებლის მკვეთრი შემცირების ტენდენცია. ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილი ამჟამად ძირითადად წარმოდგენილია ხელის მექანიზირებული საშუალებებით-მოტობლოკებით, რომლებსაც ძალოვანი მანქანების და მოწყობილობათა ფიზიკური რაოდენობის თითქმის 50 პროცენტი უკავიათ, ხოლო მინი ტრაქტორები და დანარჩენი ყველა მოდიფიკაციის ტრაქტორები 1990 წელთან შედარებით რაოდენობრივად 50-%ზე მეტით არის შემცირებული. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ამორტიზირებულია, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ან უბრალოდ ბალანსზე ირიცხება ჩამოწერის მოლოდინშია, საკვლევ რაიონებში ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარი ტრაქტორის რაოდენობამ შეადგინა ტრაქტორების საერთო რაოდენობის 77,6%, კომბაინების – 67,9%, სატვირთო აგრომობილების – 70,9%, სატრაქტორო გუთნების – 75,2%, კულტივატორების – 82,4%, ფარცხების – 86,0%. მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფონდუზრუნველყოფისა და ფონდშეიარაღების საკმაოდ არადამაკმაყოფილებელ სურათს, რაც ბუნებრივია, გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე და საერთოდ წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ამასთან გასათვალისწინებულია ისიც, რომ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა უმეტესწილად დამოკიდებულია არა მარტო მის მატერიალურ-ტექნიკურ დონეზე, არამედ იმაზე თუ როგორი თანაფარდობა არსებობს ძირითად საწარმოო ფონდებსა და საბრუნავ საშუალებებს შორის.

საკმარისია ადინიშნოს, რომ საკვლევ რაიონებში მატერიალური ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში საანალიზო წლებში 72,3 პროცენტიდან 31,4 პროცენტამდე შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირებულია დამუშავებაში მყოფ მიწებზე შეტანილი ორგანული და მინერალური სასუქების რაოდენობა, მცენარეთა ქიმიური დაცვის, საწვავ-საცხები და სხვა სახის საბრუნავი საშუალებები. ძირითად და საბრუნავ საშუალებებს შორის ასეთი თანაფარდობა განაპირობებს შრომის ნაყოფიერების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის, პირუტყვის პროდუქტიულობის ძირითადი საწარმოო ფონდების და საბოლოო ანგარიშით სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების დაბალ დონეს.

აგრარული სექტორი, ისევე როგორც საკვლევი რაიონები, მატერიალურ ტექნიკურ რესურსებს ძირითადად ქვეყნის ფარგლებს გარედან ღებულობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რესურსებით უზრუნველყოფა პერსპექტივაშიც ძირითადად საზღვარგარეთის ქვეყნებზე იქნება დამოკიდებული. ამასთან გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ მცირე მექანიზაციის საშუალებების საკუთარი წარმოება. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ე.წ. განაცხადების წესიდან უნდა გადავიდეთ დეფიციტური ტექნიკური საშუალებების შეკვეთის წესზე, რაც გამორიცხავს რესურსებზე დაუზუსტებელ, ზერელ მოთხოვნებს და აამაღლებს მისი ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში ჩამოყალიბებული წარმოების ეფექტიანობის და საქონელტევადობის დაბალი მაჩვენებლების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების მოძველებული და გაცვეთილი პარკის განახლება ფერმერული (გლეხური) მეურნეობების ძალებით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანის ერთადერთ და ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა იაპონიის მთავრობის გრანტი (ტკრ), რომლის საფუძველზე 1998-2003 წლებში, პირველად საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, განხორციელდა 25,2 მლნ ლარის ინვესტიცია. შემოტანილი იქნა 130 ცალი მარცვლეულის

ასაღები კომბაინი, სხვადასხვა მოდიფიკაციის 314 ტრაქტორი, მათ შორის საკვლევ რაიონებში 36 ტრაქტორი და 49 კომბაინი, რამაც შეადგინა, შესაბამისად, მთელი პარკის 2,2 და 25,0%; როგორც ირკვევა, ტექნიკის ძველი ნიმუშების ახლით შეცვლის ტემპი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ტექნიკური საშუალებებით პარკის განახლებას ათობით წელიწადი დასჭირდება. ადნიშნული ნებატიური ტენდენციების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ინფასტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მექანიზმების, და რაც მთავარი და მნიშვნელოვანია კოოპერატივების ფართო ქსელის შექმნისა და განვითარების საფუძველზე. ასეთი კოოპერატივების (ამხანაგობების) სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტიანობა, თვით საშუალო და მსხვილი მიწათმფლობელობის პირობებში დადასტურებულია აშშ-ის, დასავლეთ ევროპის და სხვა ქვეყნების მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით. მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში თითქმის ქვეყნის ყველა რაიონში დაიწყო კოოპერატიული ტიპის ამხანაგობების შექმნის პროცესი, რომლის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საგარეჯოს რაიონში შექმნილი ამხანაგობა, სადაც მისი ფუნქციონირების პერიოდში შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ერთი ეტალონი ჰქექტრის თვითლირებულება 25 პროცენტით შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა აგრეთვე დანაკარგები მოსავლის აღების დროს და სხვა. სამწუხაროდ ამ გამოცდილების შემდგომი განზოგადება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ნიშანდობლივია, რომ მირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ეფექტიანი გამოყენება გარკვეულწილად დამოკიდებულია შრომითი რესურსების მიზანმიმართულ, უნარიან გამოყენებაზე. ცოცხალი შრომა, როგორც საწარმოო რესურსი, წარმოებაში ისეთი აუცილებლობით ჩაირთვება, როგორც მანქანიარაღები, მატერიალური საშუალებები, მიწა და სხვა. თუ შრომითი რესურსები სრულიად არ არის გამოყენებული, ის საზოგადოებისათვის დაკარგულია. მხოლოდ შრომის, მატერიალური დოვლათის წარმოების და მაში დასაქმებულთა მზარდი რაოდენობის ჩაბმის შედეგად შესაძლებელია ქვეყნის დღევანდელი უმძიმესი ეკონომიკური კრიზისისაგან გამოყვანა.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ საანალიზო წლებში შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე, საშუალოდ საკვლევ რაიონებში, მერყეობს 115-125 პროცენტის ფარგლებში, რაც ძირითადად განპირობებულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული განსახლებით, სამუშაო ძალის კვლავწარმოების რეგიონებით თავისებურებით, სოციალური მდგომარეობით, საწარმო სპეციალიზაციის დონით და სხვა.

საკვლევ რაიონებში შრომითი რესურსების ანალიზის შედეგად მისი გამოყენების დონეზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა მიეკუთვნება ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები (მიწის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა, სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე, წარმოების და შრომის გამოყენების სეზონურობა, სამუშაო ადგილის რაოდენობა, მიწით უზრუნველყოფა და სხვა).
2. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა მოქმედება განპირობებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვევებით, მოსახლეობის შრომის დანაწილების ტრადიციებით და სხვა.
3. ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორები. ფაქტორთა ეს ჯგუფი მეტად აქტუალურია, რომელთა მოქმედება განპირობებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება და დაუფლება უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს, ამასთან ტექნიკურ პროგრესს თან უნდა სდევდეს წარმოების სტრუქტურისა და მიწათმოქმედების სისტემის სრულყოფა, რაც ყველაზე მეტად გამოვლინდება სწორედ საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეფექტური გავლენა უზრუნველყოფს ყველა ფაქტორის ცვალებადობის ორგანულ კავშირს, რაც თავის მხრივ შრომითი რესურსების განაწილებისა და გამოყენების რეგულირებას მოითხოვს. ამასთან ზემოაღნიშნულ ფაქტორთა ერთობლიობა ზემოქმედებას ახდენს შრომითი რესურსების დასაქმებისა

და შრომის ნაყოფიერების დონეზე, სადაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ტექნიკური შეიარაღება, მომუშავეთა კვალიფიკაცია, მატერიალური დაინტერესება და სხვა.

სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების დონის შეფასებისათვის ძირითადი კრიტერიუმების სახით შეიძლება რეკომენდებული იყოს შემდეგი მაჩვენებლები:

1. სოფლად არსებული შრომითი რესურსების, განსაკუთრებით შრომისუნარიანი მუშაკების დასაქმების ხარისხი;
2. შრომითი რესურსების გამოყენების ხარისხი წლის დაბატულ პერიოდში, სოფლის მეურნეობის წარმოებაში სეზონურობასთან დაკავშირებით;
3. შრომითი რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც უპირველეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების დონით განისაღვრება.

ჩვენ განსაკუთრებით ამ უკანასკნელს შევეხებით, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების ზრდა სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს. სწორედ თანამედროვე ეტაპზე, აგრარული რეფორმის პირობებში, სოფლის მეურნეობისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოების განვითარებისა და სრულყოფის ინტენსიური ფაქტორების სულ უფრო ფართოდ გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურად და ამავე დროს მწვავედ სგამს საკითხს, ჯერ ერთი – მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების და შრომითი რესურსების ეფექტური გამოყენებისა და მეორე – ამის ბაზაზე შრომის ნაყოფიერების განუხელი აღმავლობისა და მთელი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ. ამჟამად ეკონომიკის სფეროში საკვანძო ამოცანაა დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა და შრომის ნაყოფიერების კარდინალური ზრდა, რომელსაც საბაზო ურთიერთობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც ცხადია,

სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ ხარისხით მონაწილეობს მის ცვლილებებზე. აქედან გამომდინარე, მისი ზრდის ტემპები და მასზე მოქმედი ფაქტორები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

როგორც (ცხრილი 2.4.1) მონაცემების ანალიზიდან ჩანს, საკვლევ რაიონებში 2004 წელს 1990 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება (ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია) 21%-ით, ხოლო დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხვი და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, შესაბამისად – 23 და 39 პროცენტით შემცირდა.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე საკვლევ რაიონებში შრომის ნაყოფიერების შემცირების ყველა ფაქტორი შეიძლება ორ ჯგუფად გაერთიანდეს: პირველი – მატერიალურ-ტექნიკური ფაქტორი, რაც გამოიხატება ფერმერთა ტექნიკით, სასუქებით და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფაში, მეორე – სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც განეკუთვნება შრომის ორგანიზაცია, წარმოების მართვა, პროგნოზირება, მატერიალური სტიმულირება, გაძლოლის სისტემა და სხვა.

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოცდაათწლიანი ცენტრალიზებულად მართული ეკონომიკიდან საბაზო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში შრომითი რესურსების გამოყენების, შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმების სოციალური დაცვის, პროფესიული სწავლება-კონსულტირების გზით, მომზადება-გადამზადების საკითხები უაღრესად დიდ აქტუალურობას იძენს, რომელთა შეფასების კრიტერიუმის გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება მათი ეფექტიანობის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული დონისძიებების შემუშავება. საბაზო ურთიერთობის დამკვიდრებისათვის დამახასიათებელი იქნება მეურნეობრიობის ახალი ფორმირების და დარგების განვითარება, რაც თავის მხრივ თვისობრივ გავლენას მოახდენს, სამუშაო ძალისა და თვით შრომის ხასიათზე. შრომის ხასიათის ეს ცვლილებები განპირობებული

იქნება იმითაც, რომ ახლად შექმნილი მეურნეობრივი ფორმირებები სრულიად განსხვავებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული ფორმირებებისა და დარგებისაგან. სოფლის მეურნეობაში სულ უფრო დიდ ადგილს დაიკავებს სხვადასხვა ასოციაციები, კოოპერატივები, კონცერნები, ფირმები, რომელთა საქმიანობა ძირებულია განსხვავებული იქნება დღემდე არსებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან. ეს კი თავის მხრივ დღის წესრიგში დააყენებს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადების აუცილებლობას. საბაზრო ურთიერთობის გარდამავალ ეტაპზე, სანამ არ გამოიკვეთება ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური მიმართულება, ადგილი ექნება შედარებით დაბალგანვითარებული რეგიონებისაკენ სამუშაო ძალის დენადობას.

ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, დასაქმების პრობლემების გადაჭრის მოწინავე გამოცდილების შესწავლის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შემუშავებულია და დანერგილია რიგი დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელიც მთავრობას ეხმარება დასაქმების პოლიტიკის გატარებაში. ამ თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია 1991 წლის 25 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის სტრატეგიულ პოლიტიკას, მათი დაცვის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, მაგრამ როგორც საკვლევი რაიონების მაგალითზე ჩანს, სოფლად დასაქმების საკითხისადმი მიღებოდა ჯერ კიდევ მრავალ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემის გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული.

საწარმოო პროცესში ჩართვამდე წარმოების მატერიალური საფუძველი რესურსებია, ხოლო საწარმოო პროცესში ჩართვის შემდეგ ხდება მათი გამოყენება და შეთანაწყობა შრომის სხვადასხვა საბოლოო შედეგით. რესურსის არსი შეიძლება ამგვარად წარმოვიდგინოთ: ესაა წარმოების დანახარჯი, გასავლის ნაწილი, რომელიც უჩვენებს თუ რა მასა შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგრამ არ მიუთითებს საწარმოო პროცესის განხორციელების შედეგზე. ამრიგად, რესურსი განსაზღვრავს

წარმოების შედეგს, მჭიდროკავშირშია მასთან, მაგრამ არ არის შედეგის ტოლფასი.

რესურსული პოტენციალი წარმოადგენს როგორც ცალკეულ რესურსებს, ასევე იმ რესურსების ერთობლიობას, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საწარმოო პროცესში სხვადასხვა შედეგების მიღწევით. ერთი და იგივე სახის რესურსი სხვადასხვაგვარად მონაწილეობს წარმოების სხვადასხვა პროცესში და სრულიად განსხვავებულ შედეგს იძლევა.

საწარმოო პოტენციალი როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, ის შეიცავს რესურსულ პოტენციალს და წარმოების საბოლოო მატერიალურ შედეგს. ფართო გაგებით საწარმოო პოტენციალი ასახავს საწარმოო პროცესის სოციალურ-ეკონომიკური ეფქტიანობის დონეს (2.8.166).

ეკონომიკური პოტენციალი, რომლის შემადგენლობაში სხვა საწარმოო რესურსებთან ერთად შედის ფულადი რესურსები, შეიძლება განისაზღვროს, როგორც ორგანულად ურთიერთდაკავშირებული საწარმოო რესურსების ერთობლიობა მათი წრებრუნვის ყველა სტადიაზე აღებული (3.68.13).

აქედან გამომდინარე, საწარმოო პოტენციალის გაიგივება რესურსულ და ეკონომიკურ პოტენციალთან, რასაც ვხვდებით მეცნიერულ ლიტერატურაში არ არის მართებული.

საკვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ოპტიმალურ დონისძიებათა შემუშავებისათვის (რომელიც ეფუძნებოდა მიწის ძირითადი საწარმოო ფონდების და შრომითი რესურსების გამოყენების ეკონომიკურ ანალიზს) ჩვენს მიერ კვლევის პროცესში შესწავლილი და განლაგებული იქნა საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა.

სოფლის მეურნეობაში, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, მისი საწარმოო პოტენციალის გამოყენების მატერიალურ საფუძვლად გვევლინება მიწა, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული თვისება –

უსაზღვროდ გაზარდოს თავისი ნაყოფიერება შრომისა და კაპიტალის შემდგომი დაბანდებით.

საწარმოო პოტენციალის ეკონომიკურ საფუძვლად გვევლინება აუცილებელი კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც იძლევა საბოლოო შედეგს, უზრუნველყოფს წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებას დამატებითი დანახარჯების ზრდასთან შედარებით. ეს მიიღწევა სოფლის მეურნეობაში მაღალკვალიფიციური კადრების სრულყოფილად გამოყენებასა და მიწისადმი, როგორც საწარმოო რესურსისადმი მეცნიერული მიდგომის პირობებში.

ამრიგად, სოფლის მეურნეობაში და კერძოდ საკვლევ რაიონებში, საწარმოო პოტენციალის გამოყენების, ეფექტიანობის შესწავლისას ზემოაღნიშნულ წარმოების ფაქტორებთან ერთად მიწა უნდა იყოს წარმოდგენილი არა იმდენად რაოდენობრივი, რამდენადაც ხარისხობრივი ფორმით, ვინაიდან წარმოების შედეგები მნიშვნელოვანწილად სწორედ მიწის ნაყოფიერებით არის განსაზღვრული.

საწარმოო პოტენციალის კომპლექსური და ინტეგრალური ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება სამი ძირითადი მიმართულებით წარმოებს: 1. რესურსების შეჯამების მეთოდი, ანუ მიწის, შრომითი და მატერიალური რესურსების ერთიან დირექტულებაში გადაყვანის მეთოდი, 2. ე.წ. მრავალგანზომილებიანი საშუალოს, ანუ ინდექსური ანალიზის მეთოდი, 3. რეგრესიის მრავალფაქტორიალური განტოლების, ანუ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდი.

ზემოაღნიშნულ მიმართულებათა კრიტიკული განსჯისა და მეცნიერული დონის შეფასების თვალსაზრისით საკვლევ რაიონებში ეროვნიულებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის შევიმუშავეთ საწარმოო ფუნქციონირების წრფივი მრავალფაქტორიალური მოდელი, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

$$v = \alpha_0 + \sum_{i=1}^4 \alpha_i x_i$$

სადაც,  $v$  არის, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოსავალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთ ჰექტარზე (ლარი);

$x_1$  - ფონდუზრუნველყოფა – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები ერთ პექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (ლარი);

$x_2$  - მატერიალური საზრუნავი ფონდებით უზრუნველყოფა – მატერიალური საბრუნავი ფონდები ერთ პექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (ლარი);

$x_3$  - შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა – სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო წლიური რაოდენობა ერთ პექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (კაცი);

$x_4$  - მიწის ეკონომიკური შეფასება (ბალები);

$\alpha_0$  - მოდელის თავისუფალი წევრი;

$\alpha_i$  - რეგრესიის კოეფიციენტები (ფაქტორთა ეფექტიანობის მაჩვენებლები).

გათვლები ჩატარდა საკვლევ რაიონებში ერთზირებული მიწების მიხედვით, რომლის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ქვემოდ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 2.4.2).

## ცხრილი 2.4.2

**საკვლევ რაიონებში ეროზიურებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის  
საწარმოო პოტენციალის მოდელის ძირითადი სტატისტიკური  
მაჩვენებლები (2004წ.).**

ფაქტორები	ელასტიურობის კოეფიციენტი	რეგრესიის კოეფიციენტი
$x_1$	0,1517	0,1323
$x_2$	0,1501	0,5871
$x_3$	0,1622	0,1881
$x_4$	0,6211	5,8003
მოდელის თავისუფალი წევრი	0,0951	10,529
მრავლობითი დეტერმინაციის კოეფიციენტი ( $D$ )		0,9041
ფიშერის კრიტერიუმი ( $F$ )		30,8

ცხრილის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მოდელი სრულიად ადეკვატურად აღწერს შესასწავლ მოვლენას. საკვლევ რაიონებში ფიშერის კრიტერიუმის გათვლითი მაჩვენებელი 30,8 აღემატება შესაბამის ნორმატიულ მაჩვენებელს ( $F_{0,05} = 29,0$ )

ცალკეული ფაქტორების გავლენა შემდეგ სურათს იძლევა: ფონდუზრუნველყოფის ერთი პროცენტით ზრდა იწვევს შედეგობრივი ნიშნის (ერთ ჰა-ზე მთლიანი პროდუქციის გამოსავალი) ზრდას საკვლევ რაიონებში – 0,15 პროცენტით, მატერიალური საბრუნავი ფონდებით უზრუნველყოფის ანალოგიური გავლენა შეადგენს 0,15 პროცენტს, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფისა – 0,16 პროცენტს, ხოლო მიწის ხარისხის გაუმჯობესებით – 0,62 პროცენტს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე სხვა ფაქტორთა შორის პრიორიტეტი მიწის ნაყოფიერების ამაღლების გატარებას უნდა მიენიჭოს. აღნიშნული ფაქტორები წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ძირითად და განმსაზღვრელ ელემენტებს და ამდენად სწორედ ისინი განაპირობებენ კვლავწარმოების საერთო დონეს და მთლიანად წარმოების ეფექტიანობას.

ზემოაღნიშნული გაანგარიშებული მოდელების საფუძველზე ცალკეულ საკვლევ რაიონში სოფლის მეურნეობის საწარმო პოტენციალის ინდექსის გასათვლელად გამოყენებული იქნა შემდეგი გამოსახულება:

$$P_i^{in} = E_0 + \sum_{i=1}^4 \frac{X_i}{X_i} E_i$$

სადაც,  $x_i$  არის  $i$ -ური ფაქტორის საშუალო მნიშვნელობა  $i$ -ურ საკვლევ რაიონებში;

$x_i$  -  $i$ -ური ფაქტორის საშუალო მნიშვნელობა;

$E_i$  -  $i$ -ური ფაქტორის ელასტიურობის კოეფიციენტი;

$E_0 - i$  - მოდელის თავისუფალი წევრი, - მოყვანილი შესაბამისობაში ელასტიურობის კოეფიციენტან.

აღნიშნული გამოსახულების მიხედვით გათვლილი საწარმო პოტენციალის ინდექსები ცალკეული საკვლევი რაიონის მიხედვით შემდეგი სახით არის წარმოდგენილი (ცხრილი 2.4.3)

## ცხრილი 2.4.3

### საკვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე სოფლის-მეურნეობის საწარმოო პოტენციალი (2004წ.)

რაიონების დასახელება	საწარმოო პოტენციალის ინდექსი
გურჯაანი	1,3285
საგარეჯო	1,2785
თელავი	1,1985
ყვარელი	1,0585
სიღნაღი	0,9185
დედოფლისწყარო	0,8985
ლაგოდეხი	0,8385
ახმეტა	0,7185

ცხრილის მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ეროზირებული მიწების მიხედვით ცალკეულ საკვლევ რაიონებში საწარმოო პოტენციალის ინდექსები მნიშვნელოვანი მერყეობით ხასითდება. ერთოან მისი მიახლოება ან ტოლობა გვიჩვენებს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების საშუალო რეგიონალურ დონეს, ნაკლებობა ან მეტობა, შესაბამისად – საშუალო რეგიონულზე დაბალ ან მაღალ დონეს.

გაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის საშუალო რეგიონალურ დონეზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ის რაიონები (გურჯაანი, საგარეჯო, თელავი, ყვარელი), რომელთა საწარმოო პოტენციალის ინდექსი ეროზირებულ მიწებზე ერთზე მაღალია, ხოლო დანარჩენ რაიონებში იგი საშუალო რეგიონალურ დონეს უახლოვდება. ეს კი თავის მხრივ საკვლევ რეგიონში გამოყენებული რეზერვების არსებობაზე მიუთითებს, რომელთა ამოქმედება შესაძლებელი იქნება ეროზირებულ მიწებზე კომპლექსურ დონისძიებათა განხორციელების შედეგად.

## 2.5. მინდორსაცავი ტყის ზოლების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

იმ პრობლემათა შორის, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მაღალეფებზე გამოყენება და მთლიანად აგრარული სექტორის განვითარება, განსაკუთრებულ და უაღრესად დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს მინდორსაცავი ტყის ზოლების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული ლონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთაგორიანი და მცირებიშიანი საქართველოსთვის, რადგან 1999 წლიდან როგორც ქვეყანაში, ისე საკვლევ რაიონებში პრაქტიკულად შეწყდა ხელოვნურად ტყის ზოლების გაშენების სამუშაოები, სამაგიეროდ იმატა ეროზიული პროცესებისა და ხვა ნეგატიური მოვლენების წარმოქმნის საშიშროებამ.

ზოგადად ტყის რესურსები და კონკრეტულად მინდორსაცავ ტყის ზოლები, მრავალმხრივი დადებითი ეკოლოგიურ-ეკონომიკური შედეგების გამო, როგორც რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ექსტრემალური ლონისძიებების განხორციელება, რათა მოკლე ვადაში გამოვასწოროთ ტყის რესურსების და უპირატესად, მინდორსაცავი ტყის ზოლების განახლების, დაცვის და მათი გამოყენების სფეროში არსებული ხარვეზები.

საქართველოში იშვითია ისეთი რაიონები, სადაც ქარების უარყოფითი გავლენა, ამა თუ იმ ზომით, არ აისახებოდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ქარის ძალაზე დიდად არის დამოკიდებული მინდვრებზე თოვლის განაწილება, ნიადაგისაგან და მცენარეებიდან ტენის აორთქლება, ჰაურის ტემპერატურა, ტენიანობა და ა.შ.

რამდენადაც ქარი ტყის ზოლში კარგავს სიჩქარეს და მექანიკურ ენერგიას, დიდი მნიშვნელობა აქვს ქარსაფარ ზოლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ტყის

ზოლები ამცირებს რა ქარის სიჩქარეს, ხელს უწყობს პაერის ტენიანობის გადიდებას მცენარეების მიერ აორთქლებული წყლის ხარჯზე. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ტყის ზოლებით დაცულ მინდორზე პაერის ფარდობითი ტენიანობა საშუალოდ 3-5%-ით მეტია, ვიდრე ლია ველზე.

ტყის ზოლების გავლენით ქარის სიჩქარის შემცირება და ფარდობითი ტენიანობის გადიდება თავის მხრივ იწვევს აორთქლების შემცირებას, როგორც ნიადაგის ზედაპირიდან, ისე მცენარეებიდან. მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენით აორთქლება ნიადაგის ზედაპირიდან და მცენარეებიდან, ლია ველთან შედარებით, დაახლოებით 30%-ით მცირდება.

განსაკუთრებით დიდია მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენა ნიადაგის ტენიანობაზე, კერძოდ, ტყის ზოლების მეშვეობით ქარის სიჩქარის შემცირება ხელს უწყობს თოვლის დაკავებას და მის თანაბარ განაწილებას მინდვრებზე. სწორედ ამის შედეგია, რომ ტყის ზოლებით დაცულ მინდორზე თოვლის საფარის სისქე ყოველთვის 1,5-2,0-ჯერ მეტია, ვიდრე ლია ველზე. სქელი თოვლის საფარი კი იცავს ნიადაგს დაბალი ტემპერატურისაგან, რაც ხელს უწყობს საშემოდგომო კულტურების უკეთ გამოზამთრებას. სქელი და თანაბარი თოვლის საფარი არა მარტო მცენარეებს, არამედ ნიადაგსაც იცავს ყინვისაგან. ტყის ზოლებით დაცული მინდორი ზამთრობით ნაკლებად იყინება, ხოლო გაზაფხულზე ასეთ მინდორზე ნიადაგი, თოვლის დნობასთან ერთად, სწრაფად ლიდება, რის შედეგად თოვლის წყალი თავისუფლად ასწრებს ნიადაგის სიღრმეში ჩაჟონვას და ადიდებს ტენიანობას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ მთის ფერდობების განივად გაშენებული ტყის ზოლები აკავებენ ჩამონადენ წყალს და გადაყავთ იგი ნიადაგის სიღრმეში, რითაც არა მარტო ადიდებენ მომიჯნავე ფართობების ტენიანობას, არამედ მინიმუმამდე დაპყავთ ნიადაგის ზედა, საკვები ნივთიერებებით მდიდარი ფენის გადარეცხვა-დახრამვა.

დიდია ტყის ზოლების გავლენა ნიადაგის წარმოქმნისა და განვითარების პროცესზე. ტყის ზოლებით დაცულ მინდვრებზე კარგად ვითარდება მრავალწლიანი ბალახები, რომლებიც ინვითარებენ რა მძლავრ ფესვთა სისტემას, ხელს უწყობენ ნიადაგის სტრუქტურის სწრაფად აღდგენას და მისი ნაყოფიერების ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ ხშირად, ძლიერი ქარების გავლენით, ადგილი აქვს ნიადაგის ზედა, ჰუმუსოვანი ფენის მოტაცებას და მაშასადამე, მისი ნაყოფიერების დაცემას, რის გამოც არა მარტო მკვეთრად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, არამედ ქარების მიერ გადახვეტილი ნიადაგები ხშირად რამდენიმე წლით გამოდის მწყობრიდან. ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად კი ყველაზე რაციონალური და ეფექტური დონისძიება, სწორედ მინდორსაცავი ტყის ზოლებია.

როგორც გამოკვლევებით დასტურდება ტყის ზოლები დადებით გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე არა მარტო ურწყავ, არამედ სარწყავ მიწებზეც. მშრალი ქარების დროს ადგილი აქვს გაძლიერებულ აურთქლებას და მცენარეთა მიერ დიდი რაოდენობით წყლის ხარჯვას. ვინაიდან, ფესვთა სისტემას აღარ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს მცენარის გაძლიერებული მოთხოვნილება წყალზე, ასეთ პირობებში ხშირია მცენარის დაღუპვის შემთხვევები. ტყის ზოლების გავლენით ქარის ძალისა და აორთქლების შემცირების შედეგად არხებსა და წყალსაცავებში ადგილი აქვს სარწყავი წყლის დაზოგვას.

სარწყავ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე მინდორსაცავი ტყის ზოლების დადებითი გავლენა აგრეთვე ვლინდება იმითაც, რომ ზოგჯერ სარწყავ ფართობებზე ადგილი აქვს მიწისქვეშა წყლების დონის ამოწევას და ნიადაგის დამარილიანებას, რაც დამდუპველად მოქმედებს მცენარეზე, სწორედ ამ პირობებში უდიდეს როლს ასრულებს ტყის მერქნიანი ზოლები, რომლებშიც ერთი მხრივ დაჩრდილვით ამცირებენ ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებას, ხოლო მეორე მხრივ ეს მცენარეები თვითონ ხარჯავენ დიდი რაოდენობის წყალს.

ამრიგად, მინდორსაცავი ტყის ზოლების ზემოაღნიშნული ყველა დადებითი თვისება მიმართულია კლიმატური პირობების გაუმჯობესების,

წყლის რეჟიმის დარეგულირების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, რამაც მთლიანობაში ხელი უნდა შეუწყოს ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მინდორსაცავი ტყის ზოლების გამოყენების გაუმჯობესების დონისძიებების გარეშე საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

საქართველოს პირობებში მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენა ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე შესწავლი იქნა კ.თარგამაძის, გ.მირზაშვილის, პ.იოსელიანის, გ.ლობჟანიძის, შ.ხიდაშვილის, ვ.მგალობლიშვილის, ა.გულისაშვილის და სხვათა მიერ, მაგრამ იგი არ ატარებდა სისტემურ ხასიათს, არ მოიცავდა ქარსაფარით დაცულ ყველა კულტურას. ამასთან, ერთი და იგივე კულტურის მოსავლიანობის შესწავლა არ წარმოებდა საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური რაიონების მიხედვით, რის გამოც შეუძლებელი იყო მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენით საქართველოს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ნამეტის ნორმატივების დადგენა.

აღნიშნული ნორმატივების დადგენის მიზნით 1975-1985 წლებში დაწყებული იქნა სისტემური დაკვირვებები (სამწუხაროდ ეს დაკვირვებები შემდგომ წლებში არ გაგრძელებულა) საქართველოს ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე მინდორსაცავი ტყის ზოლების დაცულ და დაუცველ ფართობებზე, კლიმატური რაიონების მიხედვით. ამ მიზნით კვლევისათვის შერჩეულ იქნა 7 კლიმატური რაიონი. კერძოდ, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთი ნაწილი, დასავლეთ საქართველოს შიდა და დაბლობი ნაწილი, იმერეთის მასივი, შიდა და ქვემო ქართლის დაბლობები, ალაზნის ველი და ივრის ზეგანი, მიმდებარე ველებით. ჩატარებულმა 10 წლიანმა დაკვირვებებმა დაადასტურა, რომ საქართველოს პირობებში მინდორსაცავი ტყის ზოლები ეფექტიანად

იცავს ფართობებს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური ფაქტორებისაგან და ყველა ზონაში უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებად. (ცხრილი 2.5.1).

### ცხრილი 2.5.1

**მინდირსაცავი ტყის ზოლების სასოფლო-სამეურნეო კულტურების  
მოსავლიანობაზე გავლენის დაკვირვების 1975-1985 წლების მონაცემები  
საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვით**

ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები	სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	მოსავლიანობის საშ. ნამატი 1975-1977წ.			მოსავლიანობის საშ. ნამატი 1978-1982წ.			მოსავლიანობის საშ. ნამატი 1982-1985წ.		
		დაკვირვების რაოდენობა	მოსავლიანობა ცენტ/ჰა	%	დაკვირვების რაოდენობა	მოსავლიანობა ცენტ/ჰა	%	დაკვირვების რაოდენობა	მოსავლიანობა ცენტ/ჰა	%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
კოლხეთის დაბლობი	ჩაი ლიმონი მანდარინი ფორთონ-ხალი სიმინდის მარცვალი	112 30 55 12 44	14,8 18,9 19,0 24,1 4,6	24,0 46,7 23,4 30,7 14,5	201 32 118 16 64	19,9 13,9 19,7 24,9 7,5	26,0 25,0 22,0 26,0 22,0	146 30 77 26 30	18,6 24,5 19,0 11,0 5,9	20,7 32,0 25,9 26,5 15,0
ზემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმის ქვაბური	ყურძენი	14	5,88	12,8	28	4,4	12,0	21	2,6	8,3

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
შიდა და ქვემო ქართლი	ყურძენი ხილი საშ. ხორბალი ქერი შაქრის ჭარხალი	54 40 8 - 7	8,2 10,8 6,8 - 55,3	31,4 22,8 27,2 - 23,8	42 98 33 7 10	8,8 20,7 7,7 4,2 82	20,0 31,0 30,0 17,0 26,0	29 48 40 18 21	7,1 24,2 4,5 3,4 65,8	24,9 30,8 14,5 12,8 17,3
ალაზნის გელი	ყურძენი	16	10,3	16,7	23	11,9	27,0	33	10,1	21,3
გარე კახეთის ზეგანი	საშ. ხორბალი ქერი მზესუმ- ზირა	15 6 10	7,6 6,5 2,7	24,5 30,4 19,3	58 21 39	3,7 2,6 2,3	16,0 12,0 29,0	36 13 17	3,6 3,2 1,7	11,5 13,9 25,4

ცხრილში მოყვანილი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენის ეფექტიანობის მაჩვენებლები, განსაკუთრებით მაღალია საკვლევ რაიონებში, კერძოდ, ალაზნის გელის სადამკვირვებლო ობიექტზე ყურძნის მოსავლიანობის საშუალო ნამატი, დაკვირვების ყველა ეტაპზე, გაცილებით მაღალია ზემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, შიდა და ქვემო ქართლის ობიექტებთან შედარებით, რაც საკვლევ რაიონებში აღნიშნული დონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ნამატი განსახვავებულია არა მარტო საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვით, არამედ ერთი და იმავე რაიონის საზღვრებშიც (ცხრილი 2.5.2).

ცხრილი 2.5.2

**მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების  
მოსავლიანობაზე ქახეთის ზონის პირობებში (1976, 1977 წწ. მიხედვით)**

დაკვირ- ვების ადგილი	სასოფლო- სამეურნეო პროდუქცია	მოსავლიანობის ფაქტურის მაღალი და დანართული დანართული	მოსავლიანობა ცენტ/ჰა		მოსავლია ნობის ნამატი		ოსავლიანო- ბის ნამატი დაკვირვების წლებში საშუალოდ		
			დაკვირ- ვების ფართობის ზორი	საკონ- ტროლო ფარ- თობის	ცენტ/	%	ცენტ/	%	
ახმეტა	ყურძენი	1976	9	96,1	88,1	8,0	9,1	10,3	16,7
		1977	7	47,5	35,0	12,5	35,7		
დედოფლის წყარო	საშემოდგო- მო ხორბალი	1976	6	42,2	34,4	7,8	22,6	7,6	19,7
დედოფლის წყარო	მზესუმზირა	1976	5	15,7	12,0	3,7	30,8	2,7	19,3
დედოფლის წყარო	სიმინდი	1976	4	18,8	11,6	7,2	62,0	6,1	45,9
დედოფლის წყარო	მარცვლად	1977	1	20,0	15,0	5,0	33,3		
დედოფლის წყარო	ქერი	1976	3	30,7	22,3	8,4	37,6	6,5	30,4
		1977	3	25,3	20,6	4,7	22,8		

როგორც მონაცემებიდან ჩანს საკონტროლო ფართობთან  
შედარებით დაკვირვების ფართობზე ყველა სასოფლო-სამეურნეო  
კულტურის მოსავლიანობის ნამატი საანალიზო წლების მიხედვით ზრდის  
ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, ახმეტის რაიონში 1976, 1977  
წლებში ყურძნის მოსავლიანობა შეადგენდა, შესაბამისად – 88,1 და 35,0  
ცენტ/ჰა, ხოლო დაკვირვების ფართობზე – 96,1 და 47,5 ცენტ/ჰა, ანუ  
საანალიზო წლებში მოსავლიანობის მატებამ 8,0 და 12,5 ცენტ/ჰა  
შეადგინა და 9,1 და 35,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საანალიზო  
წლების საშუალო მატება 10,3 ცენტ/ჰა დაფიქსირდა, ანუ ზრდამ 16,7  
პროცენტი შეადგინა.

### თავი III. ეროზირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები

#### 3.1. ეროზირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრიორიტეტული მიმართულებანი

აგრარული რეფორმის პირობებში, საბაზო ურთიერთობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრინციპულად ახალი ამოცანები ისახება სოფლის მეურნეობის განვითარების შემდგომი ამაღლებისათვის, კველვა-ძიების პროცესშია ამ ამოცანათა გადაწყვეტის სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებანი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კანონზომიერებანი დღის წესრიგში სრულიად ახლებულად აყენებს როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონების განვითარების საკითხებს. თუმცა აგრარული რეფორმის პრაქტიკული დონისძიებები საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ სასიკეთო ცვლილებები სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს. ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ პრინციპულად იქნას შეფასებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობები მიწის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით. იგი ჯერ ერთი – აძლიერებს და აფართოებს ინტენსიფიკაციის ფაქტორების გამოყენებას, რომელიც მირითადად მიმართულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ; მეორე – აჩქარებს ნიადაგდაცვითი და ნიადაგადგენითი დონისძიებების გატარებას და მესამე საშუალებას იძლევა ახალი, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურები გავაადგილოთ ძნელად ასათვისებელ ნაკვეთებზე, შესატყვისი მელიორაციული, აგრომელიორაციული და ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების მორგებული გამოყენებით. ამის აუცილებლობას ადასტურებს აგრეთვე ზემდგომი ორგანოების მიერ მოწონებული და სახელმძღვანელოდ რეკომენდებული საქართველოს

აგრარული რეფორმის პოლიტიკის კონცეფცია, სადაც აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსი ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული. ამასთან მითითებულია, რომ წარმოების თავისებურებების გამო, ყველა ეტაპზე პრიორიტეტი ექნებათ მიწების გაუმჯობესების ღონისძიებებს. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს ნიადაგების ეროვნისაგან დაცვის 1999-2005 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამუშავება (რომლის უშუალო მონაწილე იყო ამ ნაშრომის ავტორი), რომელიც მოწონებულია სამთავრობო კომისიის მიერ და პრეზიდენტის ბრძანებულებით მიჩნეულია სახელმძღვანელო დოკუმენტად.

აღნიშნულ პროგრამაში ასახვა ჰქოვა კახეთის მხარის რაიონებში ნიადაგის ეროვნისაგან დაცვისა და ეროვნირებული მიწების ათვისების ეკონომიკურ პრობლემებზე ავტორის მიერ ჩატარებულმა პკლევის შედეგმა.

არსებული მასალების ანალიზისა და კრიტიკული განსჯის საფუძველზე ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დასუსტდა საკვლევ რეგიონში ეროვნირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციის პერსპექტიული პარამეტრები.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციის შედეგად 2015 წლამდე პერიოდისათვის 94,0 ათასი ჰა არსებული სახნავის ხარჯზე მრავალწლიანი ნარგავის ფართობი 35,0 ათას ჰექტარს მიაღწევს და არსებულთან შედარებით 24,7 ათასი ჰექტარით გაიზრდება, მათ შორის ვენახი, 25,6 ათასი ჰექტარით, ხოლო სხვა მრავალწლიანი ნარგავები კი პირიქით – 1,6 ათასი ჰექტარით შემცირდება. (ცხრილი 3.1.1)

**ცხრილი 3.1.1.**

**საქვემდებრის ეროვნული მიწებზე სასოფლო-სამეურნეო**

**საგარეო ულების სტრუქტურის პერსპექტული პარამეტრები**

**2015 წლამდე პერიოდისათვის**

სასოფლო- სამეურნეო საგარეო ულები	2004წ.				2015წ.			
	საკვლევ რაიონებში		მათ შორის ეროვნულებული		საკვლევ რაიონებში		მათ შორის ეროვნულებული	
	ათასი/ ჰა	%	ათასი/ ჰა	%	ათასი/ ჰა	%	ათასი/ ჰა	%
სახნავი	207,3	33,6	94,0	52,4	191,5	31,1	69,3	38,6
მრავალწლიანი ნარგავი	45,1	7,3	10,3	5,7	66,7	10,8	35,0	19,5
ბაღი	3,5	0,5	0,3	0,2	6,1	1,0	1,0	0,6
ვენახი	39,4	6,5	6,0	3,3	50,8	8,2	31,6	17,6
სხვა მრავალწლიანი	2,2	0,3	4,0	2,2	9,8	1,6	2,4	1,3
ნასვენი	0,2	0,03	-	-	-	-	-	-
სათიბი	3,0	0,5	2,8	1,5	3,2	0,5	2,8	1,6
საძოვარი	361,4	58,6	72,5	40,4	355,6	57,6	72,5	40,3
სასოფლო- სამეურნეო საგარეო ულები	617,0	100	179,6	100	617,0	100	179,6	100

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე მარცვლელულისა და მეცნველეობის პროდუქტების გადიდებისა და მოსახლეობის ამ პროდუქტებით დაკმაყოფილების პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა ქვეყნის ეროვნული კონომიკის განვითარების საფუძველთა. საფუძველია, ამ ამოცანის შესრულების ღონისძიებათა სისტემაში კახეთის რეგიონში ეროვნული სახნავის რაციონალურ და მაღალ ინტენსიურ გამოყენებას უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ერთ-ერთ საუკუთესო საშუალებას მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვები წარმოადგენს, მაგრამ სამწუხაროდ, რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების

გამო, ეს უადრესად მნიშვნელოვანი აგროტექნიკური დონისძიება და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების დიდი რეზერვი, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე საკვლევ რაიონებში, დანერგილი არ არის.

ამ თვალსაზრისით მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომლის მიხედვით კახეთის რეგიონის რაიონებისათვის გასათვალისწინებელია თესლბრუნვის ორი ვარიანტი:

პირველი ვარიანტი რეკომენდებულია ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარელის, ლაგოდეხის რაიონებისათვის, ხოლო მეორე ვარიანტი-დედოფლისწყაროს, სიღნაღის და საგარეჯოს რაიონებისათვის. პირველი ვარიანტის მიხედვით რეკომენდებულია შემდეგი სახის შვიდმინდვრიანი თესლბრუნვა:

I მინდორი – მრავალწლიანი ბალახების ნარევი ერთი წლის – თივად;

II მინდორი – მრავალწლიანი ბალახების ნარევი ორი წლის – თივად;

III მინდორი – საშემოდგომო ხორბალი, ნაწვერალზე სოიანარევი სიმინდის მწვანე მასა;

IV – მინდორი – სიმინდი მარცვლად;

V – მინდორი – საშემოდგომო ხორბალი, ნაწვერალზე სოიანარევი სიმინდის მწვანე მასა;

VI მინდორი – სიმინდი მარცვლად;

VII მინდორი – საშემოდგომო ქერი, აღების შემდეგ მრავალწლიანი ბალახების ნარევის თესვა;

მეორე ვარიანტის მიხედვით თესლბრუნვის სქემა იგივეა, მხოლოდ სამარცვლე სიმინდის ერთ-ერთი მინდორი შეიცვლება თამბაქოთი. ამასთან საკვლევ რაიონებში სახნავის 10-12 პროცენტი დატოვებულია თესლბრუნვის გარეშე და გამოყენება ტექნიკური და ბოსტნეულ-ბალჩეული კლულტურებისათვის.

რეგომენდებული თესლბრუნვის სქემების დანერგვა ხელს შეუწყობს ეროვნიული პროცესების შეჩერებას და რაც მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფს ეროვნირებული სახნავის მაღალინტენსიურ გამოყენებას.

აღნიშნული თესლბრუნვის სქემების საფუძველზე საკვლევი რეგიონის ეროვნირებულ მიწებზე კულტურების მონაცემებია და ნათესების სტრუქტურა 2015 წლამდე პერიოდისათვის შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი (ცხრილი 3.1.2).

### ცხრილი 3.1.2.

**საკვლევ რაიონებში ეროვნირებულ მიწებზე ნათესი ფართობის  
სტრუქტურის პროგნოზული პარამეტრები 2015 წლამდე პერიოდისათვის**

კულტურები	2004წ.				2015წ.			
	საკვლევ რაიონებში		მათ შორის ეროვნირე- ბული		საკვლევ რაიონებში		მათ შორის ეროვნირებული	
	ათასი/ ჰა	%	ათასი/ ჰა	%	ათასი /ჰა	%	ათასი/ ჰა	%
ხორბალი	48,0	34,1	33,6	47,1	88,1	46,0	27,7	40,0
ქერი, შვრია	11,2	8,0	7,8	10,9	17,2	9,0	6,3	9,1
სიმინდი მარცვლად	21,6	15,4	10,8	15,2	8,6	4,5	5,7	8,2
პარკოსანი (ლობიო)	2,9	2,1	1,1	1,5	3,3	1,7	1,3	1,9
მზესუმზირა	30,5	21,7	12,2	17,2	37,3	19,5	10,4	15,0
თამბაქო	0,1	-	-	-	6,2	3,2	4,0	5,8
კარტოფილი	3,8	2,7	0,7	0,9	2,0	1,1	0,7	1,0
ბოსტნეული	7,7	5,5	3,0	4,3	6,1	3,2	1,8	2,6
სასურსათო ბაღჩეული	5,3	3,7	2,1	2,9	6,8	3,5	1,6	2,3
ერთწლიანი ბაღახები	-	-	-	-	4,4	2,3	-	-
მრავალწლიანი ბაღახები	0,2	0,1	-	-	5,6	2,9	4,8	6,9
სხვა დანარჩენი	9,4	6,7	-	-	5,9	3,1	5,0	7,2
ნათესი ფართობი	140,7	100	71,3	100	191,5	100	69,3	100

პროგნოზული პარამეტრების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნათესი ფართობის სტრუქტურაში წამყვან ადგილს მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესები (59,2%), მზესუმზირა (15%), და თამბაქო (5,8%) დაიკავებს. მართალია არსებულობა შედარებით პერსპექტივაში სტრუქტურული თანაფარდობა შემცირდება, მაგრამ სამაგიეროდ მნიშვნელოვნად ამაღლდება მათი ინტენსიურად გამოყენების დონე.

ნათესი ფართობის სტრუქტურაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილით იქნება წარმოდგენილი საკვები კულტურები (12,1%), რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი მრავალწლიანი ბალახების ნათესებს (6,9%) დაეთმობა. მიწათმოქმედების ინსტიტუტის რეკომენდაციულ თესლბრუნვის სქემაში ერთწლიანი ბალახების ნათესებს (ვინაიდან, როგორც წესი, მათი მოყვანა შეიძლება შუალედური-სანაწილე-კულტურების სახით) ფართობები დათმობილი არ აქვს. საკვები კულტურები, შუალედურ კულტურებთან და საკვებ-სავარგულებთან ერთად საკვლევ რაიონებში მეცხოველეობისათვის მტკიცე და მყარი საკვები ბაზის შექმნის საფუძველს იძლევა.

ამრიგად, საკვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილების პროგნოზული პარამეტრები, ასახავს საკვლევი პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეს და იძლევა პასუხს კითხვაზე – თუ სად, რატომ, რა მიზნით და რა მოცულობით განლაგდა აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აგრეთვე განისაზღვროს მეორე მხარეც და პასუხი გაეცეს კითხვას – რა გზით, რეზერვებით, საშუალებითა და კრიტერიუმებითაა შესაძლებელი გაადგილებული სავარგულების ეფექტიანობის ამაღლება.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის პროგნოზული პარამეტრების განსაზღვრას საფუძვლად დაედო არსებული დონის ანალიზის საფუძველზე განვითარების ტენდენციები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეკომენდაციები, მოწინავე ფერმერულ მეურნეობათა მიღწეული შედეგები და სხვა ნორმატიული მასალები.

ეროზირებულ მიწებზე სავარგულების მეცნიერულად დასაბუთებული გაადგილების პროგნოზული პარამეტრების ეფექტიანობის შეფასების

კრიტერიუმს ამ მიწებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის მაჩვენებლები წარმოადგენს, რომლის შესახებ მონაცემები ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 3.1.3).

ცხრილი 3.1.3.

საპვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო

კულტურათა პროდუქტიულობის მაჩვენებლების პროგნოზული პარამეტრები 2015 წლამდე პერიოდისათვის

კულ- ტურები	2004წ.						2015წ.					
	საკვლევ რაიონებში			მათ შორის ეროზირებული			საკვლევ რაიონებში			მათ შორის ეროზირებული		
	ფართობი (ათასიკა)	მოსავ- ლიან- ობა (ათ/ჸა)	მთლიანი მოსავალი (ათ.ცენტ)	ფარ- თობი (ათ.ჸა)	მოსავ- ლიანობა (ათ/ჸა)	მთლიანი მოსავალი (ათ.ცენტ)	ფარ- თობი (ათასი. ჸა)	მოსავლია- ნობა (ათ/ჸა)	მთლიანი მოსავალი (ათ.ცენტ)	ფარ- თობი (ათ.ჸა)	მოსავ- ლიანობა (ათ/ჸა)	მთლიანი მოსავალი (ათ.ცენტ)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ხორბალი	48,0	18,2	873,6	33,6	14,0	470,4	88,0	38,8	3413,6	27,7	35,0	969,5
ერი	8,5	31,2	265,2	4,3	13,5	58,0	13,6	33,5	456,1	3,4	32,0	108,8
შერია	2,9	17,5	50,7	2,5	12,0	30,0	3,3	25,9	85,4	1,9	19,6	37,8
ჭვავი	0,1	19,9	1,9	1,0	9,5	9,5	0,3	23,3	7,0	1,0	21,0	21,0
სიმინდი მარცვლად	21,6	28,7	620,0	10,8	20,0	216,0	8,6	45,6	392,2	25,7	40,0	228,0
ლობიო	2,9	9,0	26,1	1,1	5,0	5,5	3,3	12,8	42,5	1,3	10,4	13,5
მზესუმ- ზირა	30,5	6,7	204,3	12,2	3,5	42,7	37,3	19,3	718,5	10,4	16,0	166,4
თამბაქო	0,1	12,0	1,2	-	-	-	6,2	24,1	149,7	4,0	20,5	82,0
სოია	0,2	8,0	1,6	-	-	-	0,4	11,7	4,7	0,1	10,0	1,0
ეთერზეთე ბი	0,3	105,0	31,5	-	-	-	0,7	135,3	92,0	0,2	110,0	22,0

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
კარტო- ფილი	3,8	48,3	183,5	0,7	30,0	21,0	2,0	104,1	208,2	0,7	68,0	47,6
ბოსტნე- ფილი	7,7	69,6	536,0	3,0	40,0	120,0	6,1	135,8	828,3	1,8	90,5	163,0
ბალჩეული	5,3	160,0	848,0	2,1	100,0	210,0	6,8	166,8	1134,5	1,6	135,0	216,0
საკვები ძირნაყო- ვები	1,4	111,0	155,4	-	-	-	2,3	178,4	410,3	1,0	145,0	145,0
სიმინდი სოლოსად	1,2	130,0	156,0	-	-	-	2,5	162,4	406,0	1,3	138,0	179,4
მრავალ- წლიანი ბალახები თივად	0,1	15,0	1,5	-	-	-	3,4	43,6	148,4	3,1	37,0	114,7
მრავალ- წლიანი ბალახები მწვ.საქ.	0,1	35	3,5	-	-	-	2,2	179,8	395,5	1,8	150,0	270,0
ხილი	2,8	34,5	96,6	0,2	19,1	38,2	5,1	89,2	455,1	1,0	48,5	48,5
ყურძენი	33,0	21,6	712,8	5,0	16,3	81,5	40,7	117,7	4790,1	31,6	85,0	2686

როგორც შესწავლით დადასტურდა 1990-2004 წლებში საკვლევ რაიონებში განხორციელებულმა მელიორაციულმა, აგრომელიორაციულმა, ეროზიის საწინააღმდეგო და აგროტექნიკურმა დონისძიებებმა ვერ უზრუნველყო ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის სტაბილური და მყარი დონე, ამიტომ საპროგნოზო პერიოდში, ინტენსიური კაციის ყველა ბერკეტის ეფექტიანად გამოყენების გზით, გათვალისწინებულია მათი ზრდის მაღალი მიჯნები.

2004 წელთან შედარებით 2015 წელს როგორც საკვლევ რაიონებში, ისე ეროზირებულ მიწებზე ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. უფრო მაღალი ტემპით იზრდება მთლიანი მოსავალი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამარცვლე სიმინდის პროდუქციის წარმოების შემცირება, რაც ძირითადად პერსპექტივული ფართობის შემცირებითაა განპირობებული.

ცალკე აღნიშვნის დირსი მარცვლეული მეურნეობის განვითარების ამოცანები, რომელიც ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია საქართველოში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამაში. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მარცვლეულის სახელმწიფო რესურსების თითქმის 45 პროცენტს საკვლევი რაიონებიდან, ხოლო 18 პროცენტამდე ეროზირებული მიწებიდან მიღებული მარცვლეული დაიკავებს. საპროგნოზო პერიოდში წარმოებული 4962,1 ათ. ცენტნერი მარცვლეულიდან 2183 ათ. ცენტნერი მოხმარდება მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო დანარჩენი – 2779 ათ. ცენტნერი გამოყენებული იქნება სათესლედ და საფურაჟედ.

ოფიციალური მონაცემებით ამჟამად საქართველოში წარმოებული ყურძნის 50 პროცენტი კახეთის მხარის რაიონებზე მოდის. ამასთან თუ გავითვალისწინებთ ამ პროდუქციის დიდ მნიშვნელობას საექსპორტო პოტენციალის გაზრდისა და სავალუტო რესურსების მოზიდვის

თვალსაზრისით ნათელია, რომ ამ დარგში რიგ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად ეროვნის საწინააღმდეგო ღონისძიებების სწორედ და მიზანმიმართული განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს საკვლევ-რაიონებში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. ამასთან ეროვნირებულ მიწებზე, საკვლევ რაიონებთან შედარებით, უპირატესად გაიზრდება როგორც ვენახის ფართობი, ისე მოლიანი პროდუქციის წარმოება.

2015 წლისათვის საკვები კულტურების, როგორც ფართობების, ისე პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლები ერთხელ კიდევ საკვლევი პრობლემის გადაწყვეტისადმი ახლებურ მიღგომაზე მიუთითებს. საქმე იმაშია, რომ წარსულში საკვლევ რაიონებში, ცნობილი მიზეზების გამო, პრიორიტეტი მევენახეობის დარგის განვითარებას ენიჭებოდა, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში საუკეთესო მიწები მევენახეობას, ხოლო შედარებით დაბალი კატეგორიის მიწები სახნავს და საკვებ სავარგულებს ეთმობოდა, რაც კიდევ უფრო უარყოფით გავლენას ახდენდა ისედაც დაბალეფექტიანი მემინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებაზე.

თუ მეცხოველეობის დარგების განვითარების არსებულ დონეს მოსახლეობის კვების პროდუქტებზე და მრეწველობისათვის ნედლეულზე ჩვენი ქვეყნის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პოზიციიდან შევაფასებთ, ნათელი გახდება, რომ ეს დარგი კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითად მაპროფილებელ დარგებს, რაც ერთხელ კიდევ მათი ეკონომიკური და სამეურნეო განვითარების ტემპების დაჩქარების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით საკვლევ რაიონებში ეროვნირებული მიწები მეცხოველეობის ყველა დარგის განვითარების კარგ პირობებს ქმნის, რომლის შესახებ მონაცემები ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 3.1.4)

საკვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე მეცნიელეობის სულადობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლები  
2015 წლამდე პერიოდისათვის

I სულადობა	ზომის ერთეული	2004წ.		2015წ.		%-ით 2004 წელთან შედარებით 2015 წელს	
		საკვლევ რაიონებში	გ.მ.	საკვლევ რაიონებში	გ.მ.	საკვლევ რაიონებში	გ.მ.
1	2	3	4	5	6	7	8
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ათასი სული	130,7	25,0	154,5	37,3	118,2	149,2
მ.შ. ფური და ფურპამები	-	79,9	15,0	94,2	22,7	117,9	151,3
ღორი	-	84,7	16,8	103,2	24,4	121,8	145,2
მ.შ. ნეზვი	-	21,3	5,6	25,8	8,7	121,1	155,3
ცხვარი	-	277,6	45,0	305,0	58,8	109,8	130,6
მ.შ. დედა ცხვარი	-	171,1	27,4	186,0	35,8	108,7	130,6
ყველა სახის და ასაკის ფრინველი	ათასი ფრთა	1296,8	409,0	1431,7	517,4	110,4	126,5
მ.შ. კვერცხმდებელი	-	537,7	90,0	587,0	119,0	109,1	132,2
ფუტკარი	ოჯახი ათასი	25,1	8,3	32,3	13,2	128,7	159,0



1	2	3	4	5	6	7	8
<b>II პროდუქტიულობა</b>							
რძის საშუალო წლიური წველადობა ერთ ფურზე	კგ	960	710	1530	1422	159,4	200,2
გოჭის საშუალოდ ერთ ნეზვზე	სული	910	527	1277	901	140,3	170,9
ხბოს საშუალო ნამატი ყოველ 100 ფურზე	-	89	58	91	77	102,2	132,9
ბატკანი საშუალოდ 100 დედა ცხვარზე	-	105	97	130	102	123,8	105,1
მატყლის ნაპარსი ერთ ცხვარზე	კგ	2,9	1,7	3,8	2,2	131,0	129,4
საშუალოდ კვერცხმდებლობა ერთ დედალზე	ცალი	170	118	185	147	108,8	124,6
ფუტკრის ერთ ოჯახზე	კგ	15,1	12,5	20,4	18,0	135,1	144,0
<b>III წარმოება</b>							
ხორცი ყველა სახის (ც/წ)	ათ. ცენტ.	180,9	37,4	322,8	96,7	178,4	258,5
მ.შ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ლორის	-	59,0	11,1	101,0	26,7	171,2	240,5
ცხვრის	-	65,0	16,8	112,5	37,1	173,1	220,8
ფრინველის	-	26,0	4,1	47,3	14,7	181,9	358,5
კვერცხი	მლნ.ცალი	30,9	5,4	62,0	18,2	200,6	350,0
რძე	ათ.ცენტ.	67,3	10,6	108,6	17,5	161,4	165,1
თაფლი	-	76,2	10,6	144,1	32,3	189,1	304,7
მატყლი	-	0,4	0,1	0,7	0,3	175,0	300,0
	-	0,8	0,07	1,2	0,3	150,0	428,6

ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების განხორციელების შედეგად ცალკეული საკვლევი რაიონის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გათვალისწინებით ეროვნირებულ მიწებზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შესაძლებელია გაიზარდოს 25,0 ათასიდან 37,7 ათას სულამდე, ანუ 49,2%-ით, მათ შორის ფურის და ფურკამეჩის – 15 ათასი სულიდან 22,7 ათას სულამდე. ანუ 51,3%-ით, ლორისა – 16,8-დან – 24,4 ათას სულამდე, ანუ 45,2%-ით ცხვრისა, შესაბამისად – 45-დან – 58,8 და 30,6%-ით და ა.შ. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ მეცხოველეობის, როგორც სულადობის, ისე პროდუქტიულობის ზრდის ტემპი ეროვნირებულ მიწებზე გაცილებით მაღალია მთლიანად საკვლევი რაიონების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რაც ძირითადად საკვებსავარგულების გაუმჯობესების დონისძიებების განხორციელებით უნდა ავსენათ.

ფურისა და ფურკამეჩის ხედრითი წილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიან სულადობაში განვითარების ყველა ეტაპზე სტაბილური იქნება და იგი 60 პროცენტს არ გადააჭარბებს. ანალოგიური თანაფარდობა იქნება დაცული პირუტყვის სხვა სახეობების მიხედვითაც.

პირუტყვის და ფრინველის ჯიშობრივი გაუმჯობესების, მათი სტრუქტურის თვისობრივი სრულყოფის და საერთოდ მეცხოველეობის ყველა დარგის გაძლიერების უფრო ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლის საფუძველზე პროდუქტიულობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდაა გათვალისწინებული. რაის საშუალო წლიური წველადობა ერთ საფურაუ ფურზე 1530 კგ-მდე, საშუალო კვერცხმდებლობა 147 ცალამდე, თაფლის წარმოება ფუტკრის ერთ ოჯახზე 18 კგ-მდე და ა.შ. გაიზრდება, რაც საგრძნობლად სჭარბობს 2004 წლის შესაბამის მაჩვენებლებს.

უკანასკნელ პერიოდში მეცხოველეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფრინველისა და პირუტყვის აბსოლუტური უმეტესობა კონცენტრირებულია კერძო სექტორში, აღნიშნულ დარგში რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკურ დონისძიებათა განხორციელების

შედეგად 2015 წლამდე პერიოდისათვის ეროზირებულ მიწებზე შესაძლებელია წარმოებულ იქნას რძე და ყველა სახის ხორცი (ც/წ), შესაბამისად 32,2 და 96,7 ათასი ცენტნერი, კვერცხი – 17,5 მლნ ცალი და ა.შ. აღნიშნული პროგნოზული პარამეტრები საგრძნობლად აღემატება 2004 წლის დონეს, რაც არსებით გარდატეხას მოახდენს ამ პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების ბაზაზე საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებას მაღალპროდუქტიული სავარგულების გაფართოებას და მინდვრის საკვებწარმოების შექმნას, საკვების უათიანობის ხარისხის ამაღლებას, მისი შენახვისა და შემზადების პროცესში დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანას, კვლავ უნდა გაფართოვდეს სენაჟისა და ბალახის ფქვილის დამზადება, უხეში საკვების დაბრიკეტება, გრანულირება და ქიმიური დაკონსერვება.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში საკვებზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად ტარდებოდა ორგანიზაციული ზომები საკვების, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხებრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის, მისი ხარისხი, სამწუხაროდ, მაინც ნელა უმჯობესდებოდა; ამასთან, როგორც წარმოების დონე, ისე დამზადებული საკვების სტრუქტურული შემადგენლობა ვერ პასუხობდა დასახულ ამოცანას, რის გამოც მოხმარებულ საკვებში სხვა საკვები საშუალებების ხარჯზე გაუმართლებლად იზრდებოდა ძვირად ღირებული კონცენტრირებული საკვების ხვედრითი წილი.

გაანგარიშებანი ცხადყოფენ, რომ 2015 წლამდე პერიოდისათვის ყველა სახის საკვებით დაკმაყოფილების დონე 60 პროცენტს მიაღწევს, რაც ძირითადად კონცენტრული საკვების დეფიციტით უნდა აიხსნას. როგორც მარცვლეულის წარმოების და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამაშია აღნიშნული, საქართველოში ობიექტური მიზეზების (მცირე მიწიანობა, მაღალმომავალი, არამედ მინიმალური მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების მარცვლეულით, მაგრამ ეს

სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში დღეს არ იყოს მარცვლეულის წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდებისა და სასურსათოდ საკმარისი მარცვლეულის მიღების რეალური შესაძლებლობანი.

საკვლევ რაიონებში რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკური დონისძიებების განხორციელების შედეგად შესაძლებელია შეიქმნას რეალური პირობები მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდების უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის განვითარების უველა ეტაპზე მოსახლეობის მოთხოვნილების საკუთარი წარმოების მარცვლეულით დაკმაყოფილების ამოცანებიდან გამომდინარე კომბინიზირებული საკვებისათვის საჭირო საფურაუ მარცვლეულის დეფიციტი ნაწილობრივ უცხოეთიდან შემოტანილი მარცვლეულით უნდა შეივსოს, რაც მსგავს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მყოფი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

მეცხოველეობის ცალკეული დარგების განვითარების ამოცანები არა მარტო მოსახლეობის პროდუქტებზე და კვების მრეწველობის ნედლეულზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებით განისაზღვრება, არამედ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მძლავრი და საიმედო საშუალებაა. საქმე იმაშია, რომ მეცხოველეობა იძლევა ნიადაგის ნაყოფიერების იმ უაღრესად მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორიცაა ორგანული სასუქი – ნაკელის სახით.

მიახლოებით გაანგარიშებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოველწლიური მოთხოვნილება მინერალურ სასუქზე 1,6-1,8 მლნ ტონას შეადგენს. ამასთან ქვეყანას ყოველწლიურად ესაჭიროება 17-18 მლნ ტონა ნაკელი ან სხვა სახის ორგანული სასუქის ექვივალენტური რაოდენობა (ნაცვლად ამჟამად გამოყენებულ 2 მლნ ტონისა). როგორი დიდიც არ უნდა იყოს ქვეყანაში მინერალური სასუქების წარმოება, ნაკელი არასოდეს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი სასუქი სოფლის მეურნეობაში.

როგორც შესწავლით დადასტურდა, ქვეყნის მეტწილ რაიონებში და განსაკუთრებით საკვლევ რაიონებში, სანაკელე ორმოების მოუწყობლობის

გამო იკარგება ნიადაგის ნაყოფიერების ეს უაღრესად საჭირო და ამასთან იაფი საშუალება. მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ როგორც საკვლევი რაიონების, ისე ეროზირებული მიწების გაკულტურების მთელი ციკლისათვის საშუალოდ პექტარზე სამი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად საჭიროა 100-120 ტონა, ხოლო მთლიანად საკვლევი რაიონებისათვის 700-800 ათასი ტონა ორგანული სასუქი ან სხვა სახის მისი ექვივალენტური რაოდენობა (ტორფი). თუ ცალკეული კულტურებისათვის აგროტექნიკით საჭირო რაოდენობასაც გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, ამ რეგიონში მელიორაციული და ეროზირებული მიწების ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლების ამ უნიკალური საშუალების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე ორგანული სასუქის სრულყოფილი ტექნოლოგიით წარმოების, შენახვისა და მის ფართობებში შეტანის სწორი ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე მეცხოველეობის დაპროექტებული სულადობის პირობებში შესაძლებელია მიღებული იქნას საშუალო-წლიურად 500-600 ათასი ტონა, ნაკელი, რაც მოთხოვნილების 70-75 პროცენტია.

ორგანული სასუქის რესურსების გადიდებისათვის საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული ხელოვნური ნაკელი. ამიტომ მეურნეობრიობას ნებისმიერი ფორმის პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ანარჩენები, რომელიც არ გამოიყენება ცხოველების საკვებად, უნდა დაკომპოსტდეს და გამოყენებული იქნას ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

როდესაც ნიადაგის განოყიერების სისტემას ვეხებით არ შეიძლება გვერდი აუაროთ ორგანული სასუქის დეფიციტის შევსების ისეთ ბუნებრივ რესურსებს, როგორიცაა ტორფის და საპროპელი, ანუ დამპალი ლამის მოპოვების, დამუშავების და გამოყენების საკითხები.

როგორც გამოკვლევებით არის დადასტურებული საქართველოში ტორფის საერთო მარაგი 80-100 მლნ. ტონას აჭარბებს, მაშინ როცა სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ყოველწლიურად მხოლოდ 400-

500 ათას ტონა ტორფს ვაწარმოებო, რომელიც მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ ტორფის მოპოვების და წარმოების გადიდებისათვის მისი საჭირო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს.

საპროპელი, ანუ დამპალი ლამი მაღალხარისხოვანი ორგანული სასუქია და ეფექტიანობით მნიშვნელოვნად აჭარბებს ნაკელსაც კი. საპროპელის ყველაზე დიდი მარაგი (1500-1600 მლნ. მ<sup>3</sup>) არსებობს პალიასტომის ტბის ფსკერზე, რომელიც სამწუხაროდ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ეს უნიკალური საშუალება დღემდე გამოყენებული არ არის. ამის ერთ-ერთ ძირითად და მთავარ მიზეზად მისი ამოღების და სასოფლო-სამეურნეო კულტურებში შეტანის მექანიზაციის დაბალი დონე უნდა ჩაითვალოს. საპროპელის მოპოვების გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს, როგორც მთლიანად ქვეყნის ისე საკვლევ რაიონებში ეროზირებული მიწების ეფექტიანად გამოყენებას.

### **3.2. ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა**

საუკეთესო ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი ინტელექტუალური და გეოპოლიტიკური პოტენციალის რეალურად ამოქმედების და ეფექტიანობის ამაღების გზით, საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიმკიდროს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში, მაგრამ არსებული პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლების მიღწევა კი დიდად არის დამოკიდებული მათ კომპლექსურ გამოყენებაზე. ამ თვალსაზრისით საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებების კომპლექსურ და თანმიმდევრულ განხორციელებას უაღრესად დიდი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში.

საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრიორიტეტული მიმართულების, მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების რეზერვების განსაზღვრისა და გამოკვლევის საფუძველზე სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების პროგნოზული პარამეტრების ეფექტიანობის დონის დადგენის უზრუნველსაყოფად და ამასთან წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ნორმატიული ბაზის სწორად განსაზღვრას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

მეცნიერულად დასაბუთებული ფასების პოლიტიკის შემუშავება არა მარტო წარმოებული პროდუქციის ღირებულებითი, არამედ წარმოების კომერციული შედეგების და დამზადებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამის მიზანი კი ისაა, რომ თავისუფალი (საბაზო) ფასების გამოყენებამ უზრუნველყოს პროდუქციის მოცულობის ზრდა და ხარისხის ამაღლება, მწარმოებლებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა.

ამჟამად, ქვეყანაში მოქმედი ფასების სისტემა, ბუნებრივია, ვერ პასუხობს საბაზო ურთიერთობათა განვითარების მოთხოვნებს. უნდა

აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ოპერატორად ვერ რეაგირებს საბაზრო კონიუქტურაზე, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ცივილიზებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო პერიოდულიციაზე ფასების სახელმწიფო რეაგირების მოქნილი მექანიზმის შემუშავებასა და დანერგვის დაჩქარების აუცილებლობაზე.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციისა და მათ წარმოებაზე გაწეული დანახარჯების პროგნოზული პარამეტრებისათვის ფასები მნიშვნელოვანწილად განისაზღვრა 2000-2004 წლებში ჩამოყალიბებული დონეებით და დინამიკით.

საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე, ისევე როგორც მთლიანად კახეთის მხარეში, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა არსებითად შეიცვლება. კვლევით დადასტურდა, რომ მის ფორმირება მრავალი ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგან მთავარია ბუნებრივი პირობები (ნიადაგისა და კლიმატის მრავალფეროვნება), ფასები და ბაზრის მოთხოვნილება.

იმის მიუხედევად, რომ ბოლო წლებში საბაზრო ურთიერთობის მოთხოვნებიდან გამომდინარე თანდათან შეიცვლება ისტორიულად ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სრულყოფაზე დიდ გავლენას მოახდენს ბუნებრივი პირობები, ამიტომ კვლევის პროცესში სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნა სწორედ ბუნებრივ პირობებზე, რამეთუ ისინი ხშირად, განსაკუთრებით ეროზიული პროცესების განვითარების პირობებში, სერიოზულ წინააღმდეგობებს ქმნიან წარმოების რაციონალური გაადგილების და ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის.

როგორც ანალიზი ცხადყოფს საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე 2004 წელთან შედარებით 2015 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დირებულების მკვეთრი ზრდაა გათვალისწინებული (ცხრილი 3.2.1), ამასთან როგორც აღნიშნული გვქონდა საანალიზო პერიოდში ეროზირებულ მიწებზე რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (განსაკუთრებით მარცვლეული) ფარდობების შემცირების მიუხედავად დარგობრივ სტრუქტურაში მარცვლეულის (10,8-დან 13,2%-მდე)

ბოსტნეულ-ბალჩეულის (6,0-დან 7,5%-მდე); მზესუმზირა (2,1-დან 5,3%-მდე) და ა.შ., ხვედრითი წილის ზრდა კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

მეცხოველეობის დარგებიდან უპირატესი ზრდის ტენდენციით ხასიათდება მესაქონლეობა, რომლის ხვედრითი წილი დარგობრივ სტრუქტურაში, ყურძნის პროდუქციის შემდეგ (38,1%), მეორე ადგილზეა (19,1%).

გარკვეული ცვლილებები მოხდება მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის თანაფარდობის თვალსაზრისით. არსებულთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება (48,2-დან 69,5%-მდე) მემცენარეობის ხვედრითი წილი, ხოლო მეცხოველეობისა კი შემცირება (51,8-დან 30,5%-მდე), რაც ძირითადად ეროზირებულ მიწებზე მევენახეობის დარგის უპირატესი განვითარებით უნდა ავხსნათ.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, სამომავლოდ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების დიდი დეფიციტის პირობებში, როგორც წესი, მისი შევსების ერთადერთ გზას ამ პროდუქტების იმპორტი წარმოადგენს, რომელსაც დიდი ოდენობის სავალუტო რესურსები სჭირდება. მევენახეობის დარგის განვითარების აუცილებლობა კი არის იმპორტისათვის საჭირო სახსრების ფორმირების ის რეზერვი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არა მარტო აგროსამრეწველო კომპლექსის პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედება, არამედ ქვეყნის საჭიროებისათვის სავალუტო რესურსების ფორმირებაც. ამ ურთულები ამოცანის შესრულება დიდ დროს, კაპიტალურ დაბანდებებს, ახალი ტექნოლოგიების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მაღალ დონეს მოითხოვს. ეს პოტენციური შესაძლებლობა დარგობრივი სტრუქტურის გავლენით, შესაბამისი ორგანიზაციულ – ეკონომიკური და მმართველობითი ფაქტორების ეფექტური გამოყენებით უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების ინტეგრაციის გადრმავებაზე, ეკონომიკის რეგულირების მობილური სახელმწიფო მექანიზმის მოქმედებაზე.

რა თქმა უნდა, ინტეგრაციის პორცესის დინამიური განვითარება არა მარტო ბაზრის მოთხოვნილების ინტერესებს დაექვემდებარება, არამედ რეგიონულ ჭრილში უზრუნველყოფს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ისეთ მასშტაბებს, რომლებიც შრომის და წარმოების ორგანიზაციის მაღალ დონეს შესაბამება.

ამრიგად, საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე დარგობრივ სტრუქტურაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის ზოგიერთი დარგის არსებულთან შედარებით დაბალი დონე ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული, რაც ძირითადად მევენახეობის დარგის უპირატესი განვითარებით უნდა აგხსნათ. ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ, ეროზის საწინააღმდეგო და სხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური დონისძიებების განხორციელების შედეგად.

ცხრილი 3.2.1.

საკვლევ რაიონებში ეროვნირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის  
დარგობრივი სტრუქტურის პროგნოზული პარამეტრები  
2015 წლამდე პერიოდისადმი

კულტურებისა და დარგების დასახელება	2004წ.				2015წ.			
	საკვლევ რაიონებში		გ.შ. ეროვნირებულ მიწებზე		საკვლევ რაიონებში		გ.შ. ეროვნირებულ მიწებზე	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
მემკენარეობა	192,8	57,9	26,7	48,2	601,6	68,3	266,4	64,7
მარცვლეული	56,8	17,1	6,0	10,8	132,8	15,1	54,0	13,1
ბოსტნეულ-	28,0	8,4	3,3	6,0	121,3	13,8	43,4	10,5
ბალჩეული	14,3	4,3	1,2	2,1	72,0	8,1	26,6	6,5
მზესუმზირა	7,2	2,1	0,2	0,4	29,2	3,3	10,2	2,5
ხილი	41,8	12,6	8,5	15,3	212,0	24,1	118,7	28,8
ყურძენი	24,2	7,2	5,2	9,4	10,9	1,2	5,7	1,4
საკვები						2,7		
კულტურები	20,5	6,2	2,3	4,2	23,4		7,8	1,9
მემკენარეობის სხვა დარგები								
მესაქონლეობა	139,9	42,1	28,7	51,8	278,9	31,7	145,0	35,3
მეღორეობა	86,3	25,9	10,0	18,1	152,4	17,3	79,5	19,4
მეფრინველეობა	28,7	8,6	11,2	20,2	78,2	8,9	35,8	8,7
მეცხოველეობა	16,3	4,8	6,0	10,8	16,2	1,8	13,2	3,2
მეცხოველეობის	5,1	1,5	0,8	1,4	23,6	2,7	9,5	2,3
სხვა დარგები	3,5	1,3	0,7	1,3	8,4	1,0	7,0	1,7
სულ სოფლის	332,7	100	55,4	100	880,5	100	411,4	100
მეურნეობა								

საკვლევ რაიონებში ეროვნირებულ მიწებზე მემკენარეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარება უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა ნიადაგის ნაყოფიერების სისტემური ზრდის, მიწათმოქმედების

მეთოდების გაუმჯობესების, ყველა არსებული და დამატებითი დაბანდებული რესურსების უფრო სრული გამოყენების საფუძველზე. ინტენსიური ფაქტორების მოქმედება საბოლოო ჯამში თავს იჩენს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებში. ამდენად, ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების საპროექტო მოცულობა თუ რა დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.

საკვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების საორიენტაციო პერსპექტიული მოცულობების მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი დანახარჯების განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა უპირველეს ყოვლისა საქართველოს ეკონომიკის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროების და აგრეთვე სოფლის-მეურნეობის მექანიზაციის, მიწათმოქმედებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ ცალკეული დარგებისა და კულტურების მიხედვით დამუშავებული მეთოდური მითითებანი, ტექნოლოგიური რუქები და რიგი სხვა ნორმატიული მასალები. სადაც აკუმულებული პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი (ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური).

შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების საორიენტაციო გაანგარიშებების საფუძველზე განისაზღვრა მათი საერთო მოცულობა და სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის საპროგნოზო პარამეტრების მიღწევას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის მაღალი დინების პირობებში (ცხრილი 3.2.2). საგულისხმოა, რომ 2015 წლისათვის მატერიალური დანახარჯები სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 35 პროცენტს შეადგენს, რაც პასუხობს საქართველოს ეონომიკის განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნების

გათვალისწინებით განისაზღვრა აგრეთვე შრომის დანახარჯების პროგნოზული პარამეტრებიც.

### ცხრილი 3.2.2

**საკვლევი რაიონების ეროვნირებულ მიწებზე მემცენარეობისა და  
მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები  
2015 წლამდე პერიოდისათვის (მლნ ლარი)**

	2004წ.			2015წ.		
	სულ	მემცენარეობა	მეცხოველეობა	სულ	მემცენარეობა	მეცხოველეობა
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება	55,4	26,7	28,7	411,4	266,4	145,0
საწარმოო დანახარჯები	48,5	22,2	26,3	338,0	212,4	125,6
წმინდა შემოსავალი	6,9	4,5	2,4	73,4	54,0	19,4
აბსოლუტური წმინდა შემოსავალი	×	×	×	66,5	49,5	17,0
რენტაბელობის დონე (%)	14,2	20,3	9,1	20,0	23,3	13,5

მონაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 2004 წელთან შედარებით პერსპექტივაში მთლიანი პროდუქციისა და დანახარჯების ზრდის პირობებში უპირატესად იზრდება წმინდა შემოსავალი და აქედან გამომდინარე რენტაბელობის დონე, ყოველივე ეს საკვლევი რაიონების ეროვნირებულ მიწებზე კომპლექსურ დონისძიებათა მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მიუთითებს.

საკვლევ რაიონებში ეროვნის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება და ეროვნირებული მიწების ეფექტიანად გამოყენება დიდად კაპიტალურ დაბანდებებთან არის დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების მასშტაბები და ტემპები განსაზღვრავენ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობებს და ზრდის ტემპებს.

კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულებების მიხედვით მოცულობების განსაზღვრა დიდად არის დამოკიდებული ნორმატივების სწორად დადგენაზე. ამ სფეროში პროგრესული ტექნოლოგიებისა და მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით ახალი ნორმატივების დამუშავება დიდ დროს და შრომას მოითხოვს. აქედან გამომდინარე ჩვენ შევეცადეთ გამოგვექვეყნებინა საბჭოურ პერიოდში დამუშავებული მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ეროზირებული მიწების ათვისების კაპიტალურ დაბანდებათა ხვედრითი გამსხვილებული პერსპექტიული ნორმატივები; აღნიშნულ ნორმატივებში კორექტივების შეტანით დადგენილი იქნა შედარებით სრულყოფილი ნორმატივები, მათი გამოყენების საიმედოობა შეთანხმებულია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან. ამ ნორმატივებით ამჟამად სარგებლობენ ქვეყნის საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

კაპიტალურ დაბანდებათა დაზუსტებული ნორმატივების საფუძველზე დამუშავდა საკვლევ რაიონებში ეროზირებულ მიწებზე წყალდიდობის საწინააღმდეგო წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების და ამ მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობების პროგნოზული პარამეტრები 2015 წლამდე პერიოდისათვის, რომლის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი მონაცემები:

- წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის  
საწინააღმდეგო ღონისძიებები 44,1 მლნ. ლარი
- წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებები 23,4 მლნ.  
ლარი
- ბუნების დაცვის ღონისძიებები 7,5 მლნ. ლარი
- მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება 6,6 მლნ. ლარი
- სხვა ღონისძიებები 14,4 მლნ. ლარი
- მრავალწლიანი ნარგავების მოვლა 9,7 მლნ. ლარი
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა 18,4 მლნ.  
ლარი
- ძირითადი ჯოგის ფორმირება 6,7 მლნ. ლარი

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან (151,3 მლნ. ლ.) ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია ნიადაგის დაცვის ღონისძიებებზე განხორციელებული დანახარჯები (63,4%), ხოლო დანარჩენი (36,6%) მოხმარდება ეროვნირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების ღონისძიებებს.

საყურადღებოა, რომ ქვეყნის ნიადაგების ეროვნისაგან დაცვის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ ეროვნის სასინააღმდეგო ღონისძიებები, მასში არ შედის ეროვნირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების, კერძოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის საჭიროა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობები. ეს გასაგებიცა, ვინაიდან საკვლევ რაიონებში ნებისმიერი ღონისძიების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გარეშე. ამდენად, ჩვენს მიერ გაანგარიშებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობების პროგნოზულ პარამეტრებში გათვალისწინებულია საკვლევ რაიონებში ეროვნირებულ მიწებზე რეალურად საჭირო კომპლექსური ხასიათის კაპიტალური დაბანდებები, რომელთა ეფექტიანად ათვისება და გამოყენება დიდად იქნება დამოკიდებული დაფინანსების წყაროების მიების სწორ პოლიტიკაზე.

როგორც აღვნიშნეთ, საკვლევ რაიონებში ნიადაგის ეროვნისაგან დაცვის ხერხები და მეთოდები საკმაოდ რთულია და შრომატევადი. მათი განხირციელება ემყარება საპროექტო-სამიებო სამუშაოების შედეგებს, სამეცნიერო საწესებულებების კვლევებს, ეროვნის სარინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების მრავალი წლის პრაქტიკულ გამოცდილებას. ამდენად ჩვენ არ შეუდგებით თითოეული ღონისძიების დეტალურ განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ეფექტიანად გმოყენება დიდად იქნება

დამოკიდებული მხოლოდ დონისძიებათა მთელი სისტემის კომპლექსურად გამოყენებაზე.

იმის გამო, რომ თითქმის 10-15 წლების განმავლობაში არ განხორციელებულა ეროვნის, მეწყერსაწინააღმდეგო და ლვარცოფსაწინააღმდეგო დონისძიებები, მდინარეთა კალაპოტებში დაგროვილია დიდი ოდენობის ნატანი და შექმნილია კატასტროფების საშიში კერები, რისთვისაც საჭიროა მდინარეთა ნაპირგამაგრების დონისძიებების განხორციელება. ამასთან საყურადღებოა, რომ ნიადაგების ეროვნისაგან დაცვის დონისძიებებთან ერთად საკვლევ რაიონებში გათვალისწინებულია სარწყავი ობიქტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამიტომ აუცილებელია სისტემური კონტროლი ძირითად ბუნებრივ კომპლექსზე, რაც ეკოლოგიური პროცესების მართვის საშუალებას მოგვცემს. ყველა ეს და სხვა მნიშვნელოვანი დონისძიებები, სათანადო მეცნიერული დონით, ასახულია საქართველოს მიწების მელიორაციის განვითარების და ნიადაგების ეროვნისაგან დაცვის სახელმწიფო პროგრამებში.

ეროვნის წინააღმდეგ ბრძოლა გლობალურ, მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1982 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ნიადაგის მსოფლიო ქარტია, რომელიც ავალებს ყველა ქვეყნის მთავრობებს შეიმუშაონ და განახორციელონ ნიადაგის გონივრული გამოყენებისა და დაცვის დონისძიებები, ამ დარგში მსოფლიოს უახლესი მიღწევების გამოყენების გათვალისწინებით.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის რელიეფური და ბუნებრივ-სამეურნეო პირობები განაპირობებენ ეროვნიული პროცესების მრავალი ფორმის განვითარებას, რაც ამ მოვლენების კომპლექსური მეთოდებით გადაწყვეტას მოითხოვს. უახლოეს წლებში გათვალისწინებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვა და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა დღის წესრიგში აყენებს ნიადაგის ეროვნისაგან დაცვის დონისძიებებისადმი და ამ მიწების ეფექტიანად

გამოყენებისადმი აგრარული რეფორმით გათვალისწინებული საკითხების ახლებურად გადაწყვეტას,

ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების გატარებასთან ერთად საჭიროა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაც. კერძოდ, აუცილებელია გარკვეული სანქციების (ჯარიმების) შემოღება მიწათმოსარგებლეთა მიერ მათ სარგებლობაში არსებულ ფართობებზევ ნიადაგის მდგომარეობის გაუარესებისათვის, და პირიქით – გარკვეული წახალისება ნიადაგის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ნიადაგის, ეროვნისაგან დაცვა ცალკეული მიწათმოსარგებლეთა მიერ ინდივიდუალურად ლოკალური დონისძიებების გატარება შედარებით დაბალეფექტურია. ეს კი თავის მხრივ აუგნებს საკითხს ნიადაგის ეროვნისაგან დაცვის დონისძიებების კომპლექსური მართვის მეცნიერულად დასაბუთებული ახალი მიმართულებების შემუშავების თაობაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ყველა სამსახურის კოორდინაცია და შეთანხმებული საქმიანობა.

ქვეყნის ორგორც სამელიორაციო, ისე ნიადაგის ეროვნისაგან დაცვის დონისძიებების სამსახურის სფეროში მაკოორდინირებელი როლის შესრუკლება უნდა დაეკისროს სოფლის მეურნეობის და სურსაოთის სამინისტროს და მის სტრუქტურულ ერთეულს – მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტს, სადაც განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ცალკეული დამოუკიდებელი სამსახურების კოორდინაცია, მეცნიერების მიღწევების, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების განზოგადება, ბუნების სტიქიური მოვლენების განვითარების შესწავლის, მისი სალიკვიდაციო დონისძიებების პროგნოზირება, მშენებლობის და სარეკონსტრუქციო ობიექტების შერჩევა და დაპროექტება, ექსპლოატაციის სამსახურის თანაფარდობის დაცვა, საექსპლუატაციო მომსახურების სატარიფო, საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების, ვიწრო უწყებრივი მიდგომის აღმოფხვრის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

ბუნების სტიქიური მოვლენების საშიშროების თავიდან აცილება, სოფლის მეურნეობის ოპტიმალური მართვა შეუძლებელი იქნება თუ არ მოხდება შეწყვეტილი მუდმივმოქმედი რეგიონული საინჟინრო-გეოლოგიური და მიწების დაცვისა და ათვისების საწარმოო-სამშენებლო სამსახურების განახლება და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ეფექტიანობის ამაღლება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევა და დანერგვა.

მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და მოსახლეობის სტიქიური გეოლოგიური პროცესებისაგან დიდ ფართობებზე დაცვა და გეოგრაფიური გაჯანსაღება ყველაზე ეფექტურ მიმართულებას წარმოადგენს. პროფილაქტიკური დონისძიებები და მათი დროულად აღკვეთის საექსპლუატაციო სამსახური, ეკონომიკური, სოციალური, საინჟინრო და ეკოლოგიური თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ადვილი და ეკონომიკურია, ვიდრე გააქტიურებული პროცესების ხანგრძლივობის შემდეგ სალიკვიდაციოდ ძვირად ლირებული და დროში ხანგრძლივად ჩასატარებელი კაპიტალური დონისძიებები.

ცნობილია, რომ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში რეფორმის პირველი ეტაპის დონისძიებებისა და სამელიორაციო ფონდის რესტრუქტურიზაციის განხორციელების უზრუნველყოფის ამ პროცესში, მელიორირებული მიწების ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 იანვრის №20 ბრძანებულებით შექმნილმა სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივებმა (ასოციაციებმა) მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს, მაგრამ კვლევამ გვიჩვენა, რომ სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ფორმა და შინაარსი არ შეესაბამება საბაზო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მელიორირებული მიწების ეფექტიანობის ამაღლებას, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილებას, მოსავლიანობის ამაღლებას ფერმერთა (მეწარმეთა) ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიწათმოსარგებლეთა ინტერესთა სფერო მხოლოდ სამელიორაციო

მომსახურების ასოციაციების შექმნითა და ფუნქციონირებით არ შემოიფარგლება. იგი ისეთი სტრუქტურული ერთეულია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მისი დამაარსებლის მოგების მიღებას და არა პირიქით. ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების საქმიანობის სფერო უნდა გაფართოვდეს და მას უნდა დაეკისროს აგრეთვე მიწების ეროზიისაგან დაცვის საქესპლოატაციო სამუშაოების შესრულებაც.

იმ მრავალრიცხოვან მიწათმოსარგებლეთა შორის, რომლებმაც სამელიორაციო, მიწების ეროზიისაგან დაცვის და სხვა დონისძიებათა საექსპლოატაციო მომსახურების ასოციაციებით უნდა ისარგებლონ, ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და ამასთან გავრცელებულ ფორმას გლეხური (ფერმერული) მეურნეობები წარმოადგენენ, ხოლო პრაქტიკულად მათი გამოყენების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, რომლის მიხედვით კახოთის რეგიონისათვის ყველაზე ეფექტურ ფორმად რეკომენდებულია მარცვლეულის საწარმოო მიმართულების პირობებში – 250-300 ჰექტარის, მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის მიმართულების პირობებში – 50 ფურის (შლეიფით), მეღორეობის მიმართულების პირობებში – 10-15 დედა ლორის (შლეიფით) საორიენტაციო სიდიდის გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, რომელთა უპირატესობის შესახებ არა ერთი მოსაზრება გამოთქმულა. გლეხური (ფერმერული) მეურნეობების თანამედროვე დონის, განსაკუთრებით მისი პერსპექტივების გათვალისწინებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ კოოპერირების არა მხოლოდ ცალკეული შრომითი პროცესების შესრულების (საწარმოო მომსახურება), არამედ პროდუქციის გადამუშავების, რეალიზაციის და კადრებით უზრუნველყოფაში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ წარმატებული სამეურნეო საქმიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ტექნიკურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული დონისძიებების განხორციელების, არამედ ამ მიწებზე მეურნეობის გაძლიერების

მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების ფონზე სამეწარმეო გარემოს შექმნას.

სამეწარმეო გარემოს პირობებიდან გამომდინარე, უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პროდუქციის რეალიზაციის ბაზრებისა და ხელსაყრელი საკრედიტო რესურსების არსებობას, რისთვისაც საჭიროა საინვესტიციო ფონის შექმნა და მონეტიზირებული უცხოური დახმარებების მიმდინარე ეტაპზე და პერსპექტივაშიც უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების და ნედლეულის მწარმოებლების შემდეგ ინტეგრირებულ ფორმებს:

- ა) სააქციო საზოგადოებას, როცა ერთდროულადაა გააქციონირებული სამრეწველო საწარმო და სანედლეულო ბაზა და აქციების მფლობელები აქ დასაქმებული შრომითი კოლექტივები არიან;
- ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როცა მისი მფლობელები არიან, როგორც სამრეწველო საწარმოს, ისე ნედლეულის მწარმოებელი პერსონალი და მუშაობას ეწევიან სათანადო წესდებით;
- გ) ნედლეულის მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს შორის დადებულ ურთიერთხელსაყრელ გენერალურ ხელშეკრულებით ურთიერთობებს, როცა საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმის სხვადასხვა სამრეწველო საწარმო ხელშეკრულებას აფორმებს ნედლეულის მწარმოებელთან, ან იჯარით იღებს ფართობებს, რომელზედაც სხვადასხვა კულტურებია გაშენებული. ეს ფორმა ყველაზე მეტადაა გავრცელებული და მას დიდი პერსპექტივები გააჩნია;
- დ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს მუშაკებისა და ნედლეულის მწარმოებლების მიერ კოოპერაციული საწარმოს შექმნა, დღეს არსებული ფინანსური სიმნივეების გათვალისწინებით, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული სამრეწველო საწარმოს პაებად დაყოფის და პაების ხანგრძლივი პერიოდის

მანძილზე ნატურით (ყურძენი, ჩაი, ხილი, ციტრუსი და ა.შ.). გამოსყიდვა, რაც ჩატარებულმა ნულოვანმა აუქციონმა დაადასტურა. საკვლები რაიონების ეროზირებულ მიწებზე სამეწარმეო საქმიანობის სრულყოფილი გარემოს შექმნის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას საბანკო სისტემის არასრულყოფილობა წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული არა ერთი მნიშვნელოვანი დონისძიების მიუხედავად, მოკლევადიანი კრედიტები, მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, ფაქტიურად მეწარმისათვის მიუწვდომელია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სესხზე შეადგენდა 26, ხოლო გრძელვადიანზე – 21 პროცენტს. საპროცენტო განაკვეთების დონის შემცირების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია საკრედიტო რესურსების დეფიციტი. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უზრუნველყონ კომერციული ბანკებისათვის შედავათიანი კრედიტების მიწოდება. აღნიშნული დონისძიებების განხორციელება ოდნავ მაინც შეამცირებს საკრედიტო რესურსების დეფიციტს და ხელს შეუწყობს კომერციულ ბანკებს ოპტიმალური საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებაში.

სოფლის მეურნეობაში ფინანსური რესურსების ალტერნატიული წყაროების ძიების ერთ-ერთი ფორმა საკრედიტო კავშირია, რომელიც დღეს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაკრედიტების მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდის დახმარებით ხორციელდება სოფლად საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროგრამა. 1995-2000 წლებში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში რეგისტრირებულია 117 სასოფლო-საკრედიტო კავშირი, რომელშიც გაერთიანებულია 9013 წევრი 1130,8 ათასი ლარის ოდენობის საერთო საპაიო კაპიტალით, მათ შორის 18 საკრედიტო კავშირი რეგისტრირებულია კახეთის მხარის რაიონებში.

საერთაშორისო ექსპერტების დასკვნები ცხადყოფს, რომ სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო და რიგი სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება სასურველია იმ რაიონებში, სადაც ფუნქციონირებს საკრედიტო კავშირები. აქედან გამომდინარე ამ მეტად მნიშვნელოვანი საფინანსო მექანიზმის უნარიან გამოყენებას დიდი როლის შესრულება შეუძლია საკვლევ რაიონებში ეროზიული მიწების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა დაფარვის ძირითად წყაროებთან (უცხოური ინვესტიციები) ერთად შემოსავლების ფორმირებას, კონტროლს და მათ მიზნობრივ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით საბაზრო ურთიერთობის პრინციპები თვისობრივად ახალ მოთხოვნებს უყენებს ყველა დარგის განვითარების ამოცანებს, რომლის განხორციელების ერთ-ერთ რგოლს საგადასახადო სისტემის საფუძველზე შემოსავლების მექანიზმის რეგულირება და მიზნობრივი გამოყენება წარმოადგენს.

ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელებისათვის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს:

- შემოსავლები მიწის გადასახადიდან;
- შემოსავლები დამატებითი ღირებულების გადასახადიდან;
- შემოსავლები ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების მომსახურებისათვის გადასახადისაგან;
- სხვა შემოსავლები.

როგორც აღვნიშნეთ, საკვლევ რაიონებში ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებები დიდად კაპიტალურ დაბანდებებთან არის დაკავშირებული, რომლის მოცულობა 2015 წლისათვის 301,2 მლნ ლარს მიაღწევს.

კაპიტალურ დაბანდებათა საპროექტო მოცულობით ხასიათდება მხოლოდ დასახული მიზნის მიღწევის ერთი მხარე – რომ მათი განხორციელების გარეშე აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოება

შეუძლებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მთავარია მიზანდასახულებათა მეორე მსარე – რა ეფექტის მიღება შეუძლია აღნიშნულ კაპიტალურ დაბანდებებს.

საორიენტაციო გაანგარიშებების შედეგად (ცხრილი 3.2.3) დადგინდა, რომ ეროვნირებული მიწების ინტენსიურად გამოყენების საფუძველზე აღნიშნული კაპიტალური დაბანდება გამოსყიდული იქნება 4,5 წელიწადში, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი – 0,22-ს მიაღწევს. მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ისეთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის და წმინდა შემოსავლის გამოსავალი ეროვნირებული მიწების ერთეულზე და საშუალო წლიურ მუშაკზე გაანგარიშებით (რომელიც რამოდენიმეჯერ აჭარბებს 2004 წლის დონეს). ამასთან ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთობლივი დანახარჯების დიდი მოცულობის მიუხედავად რენტაბელობასა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპი ყველა დასახული დონისძიების შესრულების ლოგიკური დასაბუთების საშუალებას იძლევა.

**ეროვნიულ მიწებზე კაპიტანდებების ეკონომიკური ეფექტიანობის  
მაჩვენებლების პროგნოზული პარამეტრები  
2015 წლამდე პერიოდისათვის**

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	2015წ.
I კაპიტალური დაბანდებები მათ შორის:	მლნ. ლარი	151,3
ა) ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებებზე	-	96,0
ბ) სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის	-	55,3
II აბსოლუტური წმინდა შემოსავალი	-	66,5
III კაპიტალურ დაბანდებათა გამოსყიდვის გადა	წელი	2,3
IV კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი		0,43
V მოდის ერთ პა სას. სამ. შავარგულზე:	ლარი	2300
ა) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია;	-	410
ბ) წმინდა შემოსავალი		

ამრიგად, საკვლევ რაიონებში ეროვნის საწინააღმდეგო და სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსურ დონისძიებათა განხორციელების მნიშვნელობა მხოლოდ ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით და მათი ეფექტიანობის ამაღლებით არ შემოიფარგლება, მას დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საბაზო ურთიერთობის მეცნიერულ საფუძველზე განვითარების და საერთოდ ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

## დასკვნები და წინადადებები

1. ეროვნიული პროცესების ზემოქმედებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეროვნის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთაგორიანი და მცირებიწიანი საქართველოსათვის. ამ და სხვა საშიში გეოლოგიური პროცესების მიხედვით იგი წარმოადგენს არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირის, არამედ შეიძლება ითქვას, თვით მსოფლიოს ერთ-ერთ საინტერესო და რთულ რეგიონს.
2. საქართველო მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ეროვნიულ პროცესებს მეტად ფართო გავრცელება და საშიში ხასიათი აქვს. თავისი რთული რელიეფური და კლიმატური პირობების მრავალფეროვნების გამო განსხვავებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მელიორაციული, აგრომელიორაციული, ეროვნის საწინააღმდეგო და აგროტექნიკურ დონისძიებათა განხორციელების პირობები და შესაძლებლობები, ამიტომ ქვეყნის ცალკეული მხარეების მიხედვით აღნიშნულ დონისძიებათა კომპლექსი დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს.
3. კახეთის მხარის საკველვ რაიონებში დაბალია მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებლები, რაც მიუთითებს იმ ძირითადი დონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ახალი მიწების ათვისება და ერთოვნის საწინააღმდეგო დონისძიებების ეფექტიანობის ამაღლება, საკვლევი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.
4. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ რაიონებში ეროვნირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები არა მარტო ქვეყნის საშუალო დონეზე დაბალია, არამედ საანალიზო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით განვიათარების რეზერვების ამოქმედება გარკვეულწილად ეროვნირებული მიწების ეფექტიანად გამოყენებაზეა დამოკიდებული.

5. წარმოების ეფექტიანობის მრავალფაქტორული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ძირითადი საწარმოო ფონდებით, მატერიალური საბრუნავი საშუალებებით, შრომითი რესურსებით უზრუნევლყოფის და მიწის ხარისხის გაუმჯობესების ერთი პროცენტით ზრდა იწვევს საშედეგო ნაჩვენებლების (ერთ ჰა-ზე მთლიანი პროდუქციის გამოსავალი), შესაბამისად – 0,15; 0,15; 0,16 და 0,62 პროცენტით ზრდას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ რაიონებში სხვა ფაქტორთა შორის პრიორიტეტი მიწის ნაყოფიერების ამაღლების დონისძიებების გატარებას უნდა მიენიჭოს.
6. კვლევამ გვიჩვენა, რომ საწარმოო პოტენციალის გამოყენების კოეფიციენტი ცალკეული რაიონების მიხედვით 0,7185-დან 1,3285-მდე მერყეობს. ეს კი თავის მხრივ ამ მხარეში გამოუყენებელი რეზერვების არსებობაზე მიუთითებს.
7. საკვლევი რაიონების ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები თითქმის ყველა საკვლევ რაიონში იდენტურია და 10-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. მაღალია ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგის მოვლა-დამუშავების ხარჯების ხვედრითი წილი, რაც ძირითადად ტექნოლოგიური პროცესების შესრულების მექანიზაციის დაბალი დონის, საწვავ-საპოხი მასალების, სათადარიგო მარაგ-ნაწილების მაღალი ფასებისა და ფიზიკური და მორალური ცვეთის ზღვარზე მყოფი ტექნიკის ექსპლოატაციის შედეგია.
8. აგრარულ სექტორში მიმდინარე გარდაქმნების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებითი პრობლემები კონცენტრირებულია არა უშუალოდ წარმოების სფეროში, არამედ საწარმო ინფრასტრუქტურაში. წარმოების სფეროს არასაკმარისი განვითარება კი მნიშვნელოვნად ამცირებს საწარმოო პოტენციალის განვითარებისათვის გაწეული ნებისმიერი ძალისხმევის ეფექტიანობას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სექტორში შეიქმნას საწარმო საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ერთიანი საბაზრო სისტემა, რომლის მთავარი ამოცანა იქნება სასოფლო-სამეურნეო

პროდუქციის მწარმოებელთა თანდათანობითი განთავისუფლება საწარმოო ინფრასტრუქტურის მომსახურების ფუნქციის შესრულებისაგან.

9. მიწის საგარეულების ტრანსფორმაციის ანალიზით დადასტურდა, რომ 2015 წლისათვის ეროვნირებული სახნავი არსებულთან შედარებით 24,7 ათასი ჰექტარით შემცირდება, რომლის ხარჯზე ძირითადად მრავალწლიანი ნარგავების (ვენახის) ფართობების ზრდაა გათვალისწინებული ეს მაშინ, როცა ვენახის ნარგაობის ბიოლოგიური მდგომარეობის ჯიშობრივი შემადგენლობის და ხანდაზმულობის გამო მოხდება მათი ფართობების ნაწილობრივ შემცირება.

10. ნათესი ფართობის სტრუქტურაში წამყვან ადგილს მარცვლეული კულტურების (39,7%) და ტექნიკური კულტურების (მზესუმზირა, თამბაქო, კარტოფილი) ნათესები (15,1%) დაიკავებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მარცვლეულის სახელმწიფო რესურსების თითქმის 45 პროცენტს საკვლევი რაიონებიდან, ხოლო 18 პროცენტამდე ეროვნირებული მიწებიდან, მიღებული მარცვლეულო დაიკავებს. საპროგნოზო პერიოდში წარმოებული 4962,1 ათ.ცენტნერი მარცვლეულიდან 2183 ათ.ცენტნერი მოხმარდება მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო დანარჩენი 2779 ათ.ცენტნერი გამოყენებული იქნება სათესლედ და საფურაჟედ.

11. საკვლევი რაიონების ბუნებრივ-სამეურნეო პირობები მეცხოველეობის ყველა დარგის განვითარების კარგ პირობებს ქმნის. პირუტყვის და ფრინველის ჯიშობრივი გაუმჯობესების, მათი სტრუქტურის თვისობრივი სრულყოფის მეცხოველეობის ყველა დარგის გაძლიერის უფრო ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლის საფუძველზე, სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის პირობებში 2015 წლისათვის საკვლევი რაიონების ეროვნირებულ მიწებზე შესაძლებელია წარმოებულ იქნეს რდე – 32,3, ხორცი (ც/წ) – 96,7

მატყლი – 0,3 თაფლი – 0,3 ათასი ცენტნერი, კვერცხი – 17,5 მლნ ცალი, რაც არსებით გავლენას მოახდენს ამ პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონეზე.

12. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ახლად შექმნილი სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ფორმა და შინაარსი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მელიორირებული და ეროზირებული მიწების ეფექტიანობის ამაღლებას, მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილების სრულყოფას, მოსავლიანობის ზრდას და ფერმერთა (მეწარმეთა) ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიწათმოსარგებლეთა ინტერესთა სფერო მხოლოდ სამელიორაციო მომსახურეობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფერო უნდა გაფართოვდეს და მას უნდა დაეკისროს აგრეთვე მიწების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიების განხორციელება.

13. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებასთან ერთად საჭიროა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაც. კერძოდ, აუცილებელია გარკვეული სანქციების (ჯარიმების) შემოღება მიწათმოსარგებლეთა მიერ მათ სარგებლობაში არსებულ ფართობებზე ნიადაგის მდგომარეობის გაუარესებისათვის და პირიქით – გარკვეული წახალისება, ნიადაგის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა მიერ ინდივიდუალურად ლოკალური ღონისძიებების გატარება შედარებით დაბალეფექტურია. ეს კი თავის მხრივ აყენებს საკითხს ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების კომპლექსური მართვის მეცნიერულად დასაბუთებული ახალი მიმართულებების შემუშავების თაობაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ყველა სამსახურის კოორდინაცია და შეთანხმებული საქმიანობა.) როგორც სამელიორაციო, ისე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების სამსახურის სფეროში ერთიანი მაკორდინირებული

როლის შესრულება უნდა დაეკისროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და მის სტრუქტურულ ერთეულს – მელიორაციისა და წყალთა მურნეობის დეპარტამენტს.

14. მრავალწლიანი სამეცნიერო გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთ ძირიტად რეზერვად აგროსატყეო მელიორაციული მეთოდით ქარისმიერი ეროზის აღკვეთა და გვალვის მავნე მოქმედების შემცირება ითვლება. ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა პროგრამა უნდა დამუშავდეს ტყე-ბუჩქნარის მრავალფუნქციონალური როლის მხედველობაში მიღებით, ისე, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე საუკეთესოდ და მცირედი დანახარჯებით გამოყენებულ იქნას ნარგაობათა სასარგებლო ფუნქციები.

15. გაანგარიშებით დადგენილია, რომ საკვლევ რაიონებში ნიადაგის ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისათვის 2015 წლამდე პერიოდისათვის საჭიროა 301,2 მლნ ლარის კაპიტალური დაბანდებანი, რომელთაგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებებს მოხმარდება 191,1 მლნ.ლარი, (წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებებს – 80,6 მლნ.ლარი, წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს – 23,4 მლნ.ლარი, ბუნების დაცვის ღონისძიებებს – 48,1 მლნ.ლარი, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას – 4,8 მლნ.ლარი და ა.შ.), ხოლო სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას – 110,1 მლნ.ლარი, აღნიშნული კაპიტალური დაბანდებები გამოსყიდული იქნება 4,6 წელიწადში, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი 0,22 მიაღწევს.

## გამოყენებული ლიტერატურა

### I მთავრობის ბრძანებულებები და განკარგულებები

- 1.1. საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ, 1992წ., 18.01. №48.
- 1.2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, 1992წ., 11.01. №829.
- 1.3. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ, 1992წ. 22.09. №949.
- 1.4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ, 1993წ., 16.01. №39.
- 1.5. 1993-1995 წლებში საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამის შესახებ, 1993წ. 05.03. №199.
- 1.6. საქართველოში კერძო მეწარმეობის მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამა, 1993წ., 15.07. №502.
- 1.7. კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის შესახებ, 1993წ. 18.12. №262.
- 1.8. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შესახებ, 1994წ. 2.03. №127.
- 1.9. საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწების სარგებლობისათვის გადასახადების შესახებ, 1994წ., 18.12. №338.
- 1.10. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ინდექსირების შესახებ, 1995წ. 16.05. №263.
- 1.11. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, 1994წ. 142გვ.

- 1.12. გადასახადების კანონთა კრებული – I,II,III ნაწ. თბ., 1994წ.  
122,162,100გვ.
- 1.13. საქართველოს რესპუბლიკის კანონი იჯარის შესახებ, თბ. 1994წ. 10 გვ.
- 1.14. დებულება სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ,  
თბ., 1994, 5გვ.
- 1.15. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „დასაქმების შესახებ“, თბ., 1991წ.,  
გვ. 4.
- 1.16. რადიკალური ეკონომიკური რეფორმების კურსის სახელმწიფოებრივი  
უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, 1995წ., 08.02.№38.
- 1.17. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში  
განსახორციელებელი რეფორმის პირველი ეტაპის შესახებ, 1997წ.  
13.01. №20.
- 1.18. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია (ძირითადი  
მიზანდასახულობანი), 1997წ. 07.04. №171.
- 1.19. სურსათით უზრუნველყოფისათვის წყლის მართვის (მიწის  
მელიორაციის კომპლექსური განვითარების) სახელმწიფო პროგრამის  
შესახებ, 1997წ. 22.08. №527.
- 1.20. საქართველოს კანონი მიწების მელიორაციის შესახებ, 1997წ.
- 1.21. ნიადაგის საფარის ეროზიისაგან დაცვის პირველი რიგის  
ღონისძიებათა შესახებ, 1998წ. 22.08. №493.
- 1.22. საქართველოს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის 1999-2005 წლების  
სახელმწიფო პროგრამის შესახებ, 1999წ. 30.05. №341.

## 2. წიგნები და სტატიები

- 2.1. აგრარული რეფორმების განხორციელების და კრიზისიდან გამოსვლის  
პრობლემები საქართველოში – საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აცადემია – თბ., 1994წ. 84 გვ.
- 2.2. ადეიშვილი ჭ. – საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის  
ამაღლების გზები - „საბჭოთა საქართველო”, თბ. 1982წ. გვ. 13.

- 2.3. ადეიშვილი გ. – დასაქმების პრობლემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში – ქურნ. „ეკონომიკა“, 1991წ., №6, 13-19 გვ.
- 2.4. ანდლულაძე რ. – საბაზრო ურთიერთობანი და აგრარული მეცნიერება – ქურნ. „ეკონომიკა“, 1993წ. №2-3; 24-27 გვ.
- 2.5. ასათიანი რ. – მართვის სოციალურ-ფიქოლოგიური მეთოდი სასოფლო-სამეურნეო საწარმოში – ასკემსკი შრომათა კრებული, თბ. 1990წ. 102 გვ.
- 2.6. ბურკაძე ვ. – მიწის კადასტრი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფასი - „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1991წ. გვ. 3.
- 2.7. ბურკაძე ვ. – მეურნეობრიობის საკუთრებით მრავალფეროვნების ეკონომიკური შინაარსი – ქურნ. „ეკონომიკა“, 1991წ. №3, №2, 20 გვ.
- 2.8. გორგაძე ჰ. – საწარმოო პოტენციალის გამოყენების აქტუალური საკითხები სამთო მიწათმოქმედების პირობებში – საქ. შრომის წითელი დოკუმენტის ორდენისანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები, თბ. 1990წ. 166გვ.
- 2.9. გოგოხია რ., ბურკაძე ვ., ქვაჩახია ი. – რადიკალური აგრარული რეფორმა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საფუძველი – ქურნ. „ეკონომიკა“, 1991წ.
- 2.10. გოგოხია რ. – გასახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების არსის გაგებისათვის – ქურნ. „ეკონომიკა“, 1992წ., №5-6, 12-18 გვ.
- 2.11. დოლონაძე გ. – მიწათსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლების გზები საადგილმამულ ურთიერთობის სრულყოფის საფუძველზე (საქართველოს მთის რაიონების მაგალითზე) - „სადისერტაციო მაცნე“, თბ., 1993 წ. გვ. 36.
- 2.12. ელიზბარაშვილი ზ. – აგრარული რეფორმა და საბაზრო ეკონომიკა – ქურნ. „ეკონომიკა“, 1991 წ., №5-22 გვ.
- 2.13. ვაშაკიძე ო. – აგრარული რეფორმა იგვიანებს – ქურნ. „ეკონომიკა“, 1992წ., №5-6, 3-6 გვ.
- 2.14. ზედგინიძე ა. – სატექ მეურნეობის განვითარების გზები – ქურნ. „ეკონომიკა“, №3-4, 1992წ. გვ. 74.

- 2.15. თავიდაშვილი ო. – აგროსერვისის მიწის რეფორმის პირობებში – ქურნ. „ეკონომიკა“, 1992წ. №12, გვ. 40.
- 2.16. კიკნაველიძე ა. – მიწათმოქმედება: მდგომარეობა, განვითარების გზები – ქურნ. „ეკონომიკა“, 1993წ. №6-7, 49-52 გვ.
- 2.17. კეცხოველი ნ. – საქართველოს მცენარეული საფარი – თბ., 1960წ. გვ.21.
- 2.18. კვირიკაძე ლ. – რეკომენდაციები კოლმეურნეთა სამუშაო დროის ფონდის დადგენის შესახებ – სსი, თბ. 1981წ. გვ. 23.
- 2.19. კობეშვილი ვ., კეკელიძე რ. – კოლხეთის ათვისების ზოგიერთი საკითხი – ქურნ. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1976წ. №2, 39040 გვ.
- 2.20. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები - „მეცნიერება“, თბ., 1977წ. 139გვ.
- 2.21. კანდელაკი თ. – გარდამავალ პერიოდში სატყეო დარგის რეფორმირების პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია, საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები - „დიოგენე“, თბ. 1977წ., 112-119 გვ.
- 2.22. კოლუაშვილი პ. – საქართველოს სასურსათო უშიშროება: „რეალობა და პროგნოზი, „კოლორი, თბ., 2004წ.
- 2.23. მახარაძე ჯ., კიკვაძე ტ. – საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობა – საკავშირო საკოორდინაციო თათბირის მოხსენებათა თეზისები, მოსკოვი, 1990წ. 81-83წელ.
- 2.24. მახარაძე თ. – ეროზიული მოვლენები და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ეფექტიანობა (საქართველოს სუბტროპიკული ზონის მაგალითზე), ასკემსკი შრომათა კრებული, თბ. 1998წ., 188-192 გვ.
- 2.25. მაჭავარიანი ვ. – ნიადაგის ეროზია და დაცვის ღონისძიებები – მეცნიერება, თბ. 1987წ. 102 გვ.
- 2.26. მესხია ი. – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებანი – ქურნ. „ეკონომიკა“, 1991წ., №2, 12-19 გვ.

- 2.27. მესხიშვილი დ. – აშშ-ში ფერმერულ მეურნეობათა გამოცდილება – ქურნ. „ეკონომიკა“, №12, 1992წ. გვ. 50,51.
- 2.28. მსოფლიო ბანკი, მიწის რეფორმის საკითხები – თბ. 1995წ. 6გვ.
- 2.29. ონიანი ო. – ლომიძე ზ. – პალიასტომის ტბის საპროპელი, როგორც სასუქი – ქურნ. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1980წ., №1, გვ. 39.
- 2.30. პაპავა გ. – საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები თბ., 1991წ. გვ. 116.
- 2.31. პაპავა გ. – საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია – თბ. 1996წ. გვ. 100.
- 2.32. ჭლენტი პ. მახარაძე ჯ. – კოლხეთის დაბლობი – სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის დიდი რეზერვი - „ცოდნა“, თბ. 1984წ. გვ.33.
- 2.34. რუხაძე ს. – აგრარული რეფორმა ჩინეთში – თბ. 1994წ. გვ. 28.
- 2.35. საბაშვილი გ. – ნიადაგმცოდნეობა – თბ. 1970წ. გვ. 308.
- 2.36. საღარეიშვილი ო. – მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა აქციონერის მექანიზმი – ქურნ. „ეკონომიკა“, 1993წ., №2-3, გვ. 43-48.
- 2.37. ტურაბელიძე ნ. – მიწის რესურსები და მათი გამოყენების პროგნოზირება – საქ. განათლების სამინისტრო, აგრ. ნივერსიტეტი, თბ., 1996წ.
- 2.38. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეონომიკური მდგომარეობის შესახებ – თბ., 1994წ. გვ. 25.
- 2.39. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური განვითარების მოდელის ფორმირების ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბ. 1992წ. გვ. 124.
- 2.40. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი გ. – ეკონომიქსი, სახელმძღვანელო (რედაქტორი ი.კრაველოვი), თბ., 1992წ. გვ. 15.
- 2.41. ქავთარაძე ა., ჩეკურიშვილი ნ., მახარაშვილი ვ., დოლიძე ბ. – შრომით დანახარჯებზე მოქმედი ფაქტორები და გაანგარიშების სრულყოფის საკითხები – ასკემსკი შრომათა კრებული, თბ., 1991წ., გვ. 32-33.

- 2.42. ქარქაშაძე ნ. – მსოფლიო სოფლის მეურნეობა – „განათლება“ თბ. 1993წ. გვ. 376.
- 2.43. ქეშელაშვილი ო. – სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში – „საქართველო“, თბ., 1991წ. გვ. 150.
- 2.44. ქეშელაშვილი ო. – ბიზნესის ორგანიზაცია - „მნათე“, თბ. 1995წ. გვ. 191.
- 2.45. ჩარქსელიანი ა., პეტრიაშვილი რ., ყიფიანი მ. – საქართველოს სსრ მიწის კადასტრი – თბ., 1988წ. გვ. 735.
- 2.46. ჩიკვაიძე ო. – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩარების ეკონომიკური პრობლემები - „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1988წ. გვ. 152.
- 2.47. ჩიქავა ლ. – ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნა – ქურნ. „ეკონომისტი“, 1989წ. №1, გვ. 20-27.
- 2.48. ძნელაძე დ. – მბრძანებლური ეკონომიკიდან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაკენ – ქურნ. „ეკონომიკა“, 1991წ., №2, გვ. 4-9.
- 2.49. წერეთელი გ. – გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები - „მენციერება“, თბ. 1987 წ. გვ. 142.
- 2.50. წერეთელი გ. – საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო-ეკოლოგიურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების მნიშვნელობა – რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბ., 1992წ. გვ. 15-18.
- 2.51. ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები - „საქართველო“, თბ. 1993წ. გვ. 81, 57.
- 2.52. ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), ნაწილი I, თბ. 1995წ. გვ. 188.
- 2.53. ჭინჭარაული ნ., ბალანჩივაძე ც. – პრივატიზაცია აგრარულ სექტორში: ფორმები, მეთოდები – ქურნ. „ეკონომიკა“, 1992წ. №8-9, გვ. 40-44.
- 2.54. ჭინჭარაული ნ., – მიწის კადასტრი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების დონისძიებათა სისტემაში მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის

დოოს - „სადისერტაციო მაცნე“, სადოქტორო დისერტაცია, გბ. 1993წ.  
გვ. 39.

- 2.55. ხარაიშვილი გ. – ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის სატყეო-  
სამელიორაციო დონისძიებანი – საქონო საქართველო ობ., 1971წ. გვ.  
197.
- 2.56. ხუციშვილი გ. – ნიადაგის ეროზის დაძლევის ორგანიზაციულ-  
ეკონომიკური საფუძვლები – სოციალური ეკონომიკა. 2004წ. გვ. 142.
- 2.57. ხუციშვილი გ. – სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების  
ზოგიერთი საკითხი კახეთის რეგიონში – საქ. ს/კ ეკონომიკისა და  
მართვის ს/კ ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი, 2004წ.
- 2.58. ხუციშვილი გ. – მიწის პრივატიზაცია და მათი გამოყენების  
ეფექტურება – აგრარული მეცნიერების პრობლემების სამეცნიერო  
შრომათა კრებული, თბილისი, 2005წ. გვ. 234.
- 2.59. ხუციშვილი გ. – საქართველოში ირიგაცია-დრენაჟის სისტემების  
რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება სასოფლო-სამეურნეო  
წარმოების განვითარების დიდი რეზერვი – ასკემსკის შრომათა  
კრებული, 2005წ.
- 2.60 ხუციშვილი გ. – აგროსატყეო სისტემის ფუნქციონირების  
ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები აგრარული  
მეცნიერების პრობლემების სამეცნიერო შრ. კრებული. თბილისი, გ.  
XXXVI, 2006წ.
- 2.61. Абалкин Лю – Современный кризис перспективы развития советской  
экономики – журн. «Вопросы экоеомики», 1991 г. стр. 3-8.
- 2.62. Аграрная программа, состояние и тенденции развития агропромышленного  
производства. – М. 1992г. 30 стр.
- 2.62. Акрамов З. – Проблемы эффективности капитальных вложений – Ташкент,  
1973г. 176 стр.
- 2.63. Андрийчук В. - Эффективность использования производственного  
потенциала в сельском хозяйстве – М. 1983 г. 13 стр.

- 2.64 Демьяненко В. – Экономические методы стимулирования сельскохозяйственного промышленного производства США – М. 1991г. стр. 53.
- 2.65. Вартанов М. – Экономическая эффективность мелиорации земель Колхидской низменности – Автореферат, канд. Диссертация, М. 1977г. 24 стр.
- 2.66. Вайнер М. – Производство фонды в колхозах и совхозах – М. 1972 г. стр. 261.
- 2.67. Газета «Известия» - 1989г. 15 февраля.
- 2.68. 1. Каюмов Д. – Эффективность капитальных вложений земель – Ташкент, 1968 г. 128 стр.
- 2.69. Кизилашвили Ш. – Экономическая эффективность орошения и пути ее повышение в Груз. ССр – Автореферат, докт. Диссертации, Тб., 1987г. 53 стр. 161 из 163
- 2.70. Кузнецов Ю. – Государственное регулирование инвестиций: акцент смешаемости на микроуровень – жур. «Вопросы экономики», 1992 г. №9, стр. 5-54.
- 2.71. Курцев И. – Организационно-экономические основы развития крестьянских хозяйств – журн. АПК, экономика, управление, 1992 г., №4, стр. 19-22.
- 2.72. Мирцхулава Ц. – Предельно допустимая интенсивности эрозии доклады ВАСХНИЛ, М. 1989г. №2.
- 2.73. Лич Г. Эффективность Мелиорации – М. 1975г. Стр. 52
- 2.74. Маркс К. Энгельс Ф. – соч.изд. 2-е, т.25, част II, стр. 168.
- 2.75. Мирцхулава Ц. – Экологические нарушения – Тб. 1993г. Стр. 432.
- 2.76. Методологические рекомендации по определению производственного потенциала в сельском хозяйстве – М. 1990 г. Стр. 42.
- 2.77. Малишев И. – Важнейшие проблемы социалистического производства – М., 1968г. Стр. 58.
- 2.78..Нехамкин А. – Модель регулируемой риночной экономики – «Российский экономический журнал», 1993г. №12, стр. 77-84.
- 2.79. Новечкина Л. – Структурные преобразования и инвестиционная политика в странах с риночной экономикой журн. «Вопросы экономики», 1991г. №6 стр. 28-32.

- 2.80. Нормативные документы по созданию общего оарного рынка мтран СРГ и заинтересованных государств – Министерство Российской федерации, М., 1993 г. 42 стр.
- 2.81. нормативы затрат труда на производство сельскохозяйственной продукции на 1991-1995 годы – Ростовна-Дону, 1990г. 133 стр.
- 2.82. Пасхавер Б. – Интегралбный показатель эффективности сельскохозяйственного производства – журн. «Вопросы экономики», 1979г. №10, стр. 67-68.
- 2.83. Пошкус Б. – Формы хозяйствования в период перехода на риочные отношения – «Международный агропромышленный журнал», 1991г. №3, стр. 2-9.
- 2.84. Петраков И. – Некоторые аспекты дискусии об экономических методах хозяйствования – М., 1966г. Стр. 126.
- 2.85. Раттазу М. – Аттарные преобразования в восточном регионе ФРГ – журн. АПК, экономика, управление, 1992г. №5, стр. 38-42.
- 2.86. Сергеев С. – Вопроизводство и эффективность основных фондов в сельском хозяйстве – М., 1982г. Стр. 250.
- 2.87. Справочник, Мелиорация и водное хозяйство, 1. «экономика» (под ред. Михайлова В) – М., 1984г., стр 41.
- 2.88. Справочник, Нормативы капитальных вложений в отраслях АПК – М., 1986 г. стр. 163.
- 2.89. Сравнительная оценка качества земли (методическая указания) – М., 1990г. стр. 88.
- 2.90. Свободин В. – Эволюция форм собственности – журн. «Экономика с/х переработ. Предприятии» - 1991 г. №11, стр. 8-13.
- 2.91. Трапезников В. – Главный показатель – газета «Известия», 1970 г. 17 февр.
- 2.92. Черемушкин С. – Экономическая оценка земли – М., 1961 г. стр. 183.
- 2.93. Чаянов А. – Основные идеи и формы организации крестьянской кооперации – М., 1991 г. стр. 305.
- 2.94. Шириев Е. – Методы экономической оценки эффективности мелиоративных и водохозяйственных проектов – «Международный агропромышленный журнал», 1991 г. №6, стр. 81-85.

- 2.95. Укрупненные нормативы уделенных капитальных вложений сельское строительство и освоенные мелиорированных земель на 1986-1990 годы с прогнозом до 2005г. СТЭН 33-2.1.04-85. Мин. Мелиорации и водного хозяйства СССР, М., 1986 г. стр. 59.
- 2.96. Нормативы капитальных вложений в отраслях АПК, справочник – М., 1986г. стр. 415.
- 2.97. Нормативы удельных капитальных вложений на хакладку чайных плантаций и субтропических культур и уход за юшдшвыми насаждениями – М., 1986г. стр. 14.
- 2.98. Методика учета эффективности дополнительных затрат и местоположения хозяйств при экономической оценке земель – М., 1989г. стр. 40.
- 2.99. Предложения по совершенствованию планирования и эффективному использованию капитальных вложений в АПК – М., 1990г. стр. 84.
- 2.100. Генеральная схема противоэрозионных мероприятий Грузинской ССР на 1981-1990 годы и на период до 2002 года – Тб., 1982. стр. 726.